უსახლკაროობა, სოციალური საცხოვრისი და სოციალური მუშაობა

ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო

სოციალური მუშაობის სამაგისტრო
პროგრამის სტუდენტებისათვის

უსახლკარობა, სოციალური საცხოვრისი და სოციალური მუშაობა

სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის

ავტორი: სალომე ნამიჭეიშვილი

2014

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

სახელმძღვანელო შემუშავებულია
და გამოცემულია გაეროს განვითარების
პროგრამისა და შვეიცარიის განვითარებისა
და თანამშრომლობის სააგენტოს ხელშეწყობით.

Empowered lives.
Resilient nations.

სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება
არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა და შვეიცარიის განვითარებისა
და თანამშრომლობის სააგენტოს თვალსაზრისს.

საავტორო უფლებები დაცულია ©UNDP, 2014

ISBN 978-9941-0-6508-8

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: ნუგზარ არჩემაშვილი
დაბეჭდილია საქართველოში, შპს „სი-ჯი-ესი“

წინასიტყვაობა

უსახლკარობა მწვავე სოციალური პრობლემაა საქართველოში. ადექვატური საცხოვრისი ერთ-ერთი საბაზისო საჭიროებაა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობისთვის. საცხოვრისის უფლების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც. სამწუხაროდ, უსახლკარობა შეიძლება პიროვნული წარუმატებლობის შედეგად შეაფასონ ხშირად საზოგადოებაში, არადა სინამდვილეში იგი გამოწვეულია პირის ინდივიდუალური მდგომარეობისა და ხელისშემშლელი სტრუქტური ფაქტორების ურთიერთგავლენით.

წინამდებარე სახელმძღვანელო განიხილავს უსახლკარობას, როგორც სოციალურ პრობლემას და სოციალურ საცხოვრისს, როგორც ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას. საქართველოში, სადაც უკანასკნელი ოცწლეულის მანძილზე დიდია იძულებით გადაადგილებული და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვი, სოციალური საცხოვრისი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

სახელმძღვანელოში მიმოხილულია სოციალური საცხოვრისის განვითარების ისტორია, პოლიტიკა, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო ძირითად ევროპის კონტექსტში. სახელმძღვანელო, ასევე, განიხილავს რიგ საკითხებს ამერიკის შეერთებული შტატების, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და გარდამავალი პოლიტიკური სისტემების ქვეყნების კონტექსტში. სახელმძღვანელო მოგვითხრობს სოციალური საცხოვრისის განვითარებაზეც საქართველოში.

სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს სოციალური მუშაობის პერსპექტივაზე საცხოვრისთან დაკავშირებით და გვთავაზობს სოციალური მუშაობის სხვადასხვა თანამედროვე პრაქტიკას ამ სფეროში. ასევე, სახელმძღვანელოში მოკლედ არის განხილული სხვადასხვა ტიპის საცხოვრისის მომსახურება დაუცველი ჯგუფებისათვის.

სახელმძღვანელო შეიქმნა სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში იგეგმება სალექციო კურსის დანერგვა სოციალური საცხოვრისის თემატიკაზე. იმედია, სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტებს, ასევე, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებსა და სოციალურ საკითხებზე მომუშავე სხვა სპეციალისტებს უსახლკარობის, როგორც სოციალური პრობლემის, სოციალური საცხოვრისისა და სოციალური მუშაობის როლის გააზრებაში.

სალომე ნამიჭეიშვილი
სოციალური მუშაობის მაგისტრი, დოქტორანტი

ავტორის შესახებ

სალომე ნამიჭეიშვილი: ავტორს მიღებული აქვს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი კოლუმბიის უნივერსიტეტში (ა.შ.შ. ნიუ იორკი). იგი ამჟამად არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების ასისტენტ პროფესორი და დოქტორანტი. ასევე, მონაწილეობს სასწავლო კურსში: საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა სოციალურ მუშაობაში (INDOSOW). იგი აქტიურად მუშაობს საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესიის განსავითარებლად და არის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებელი და ამჟამინდელი თავმჯდომარე. ასევე, სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის ევროპის რეგიონის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. მისი გამოცდილება მოიცავს პოლიტიკის, მენეჯმენტის, კვლევისა და ბენეფიციარებთან პირდაპირი მუშაობის პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ 2008 წლიდან აქტიურად მონაწილეობს სოციალური საცხოვრისის მომსახურების განვითარებაში. 2012 წელს იგი გახდა ა.შ.შ-ს სახელმწიფო მდივნის საერთაშორისო მამაც ქალთა ჯილდოს ქართველი ნომინანტი ადამიანის უფლებების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ქალთა თანასწორობის დასამკვირდებლად არსებული პრაქტიკის გამოწვევის, პოლიტიკური ბარიერების რღვევის და სოციალური მუშაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. აქვს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სოციალური მუშაობის კონსულტანტად მუშაობის გამოცდილება.

მადლიერების გამოხატვა

ავტორი მადლობას უხდის ყველას, ვინც წვლილი შეიტანა წინამდებარე სახელმძღვანელოს შემუშავებასა და გამოცემაში. მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამის თანამშრომელს, ვიქტორია ვასილევას და ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, (სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სახელმძღვანელოს შექმნაში.

სარჩევი

თავი 1: სოციალური საცხოვრისის ისტორიული განვითარება 1

თავი 2: საცხოვრისის პოლიტიკა – საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა..... 10

თავი 3: უფლება საცხოვრისზე – სამართლებრივი ჩარჩო 18

თავი 4: ინსტიტუციური ჩარჩო 23

თავი 5: სოციალური საცხოვრისი და სოციალური ერთობა 28

თავი 6: სოციალური საცხოვრისის მომსახურება – ქართული გამოცდილება..... 33

თავი 7: სოციალური მუშაობის პერსპექტივა საცხოვრისთან დაკავშირებით 38

თემა 8: სოციალური მუშაობის თანამედროვე პრაქტიკა უსახლკაროებთან: ნარატიული მიდგომა 42

თემა 9: სოციალური მუშაობის თანამედროვე პრაქტიკა უსახლკარო დედებთან: ფემინისტური მიდგომა 47

თავი 10: სხვადასხვა ტიპის საცხოვრისის მომსახურება დაუცველი ჯგუფებისათვის: სათემო ზრუნვის მოდელი 52

თავი 1: სოციალური საცხოვრისის ისტორიული განვითარება

სოციალური საცხოვრისის ისტორია დასავლეთ ევროპაში

სოციალური საცხოვრისის ისტორია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ევროპის ქვეყნებს სოციალური საცხოვრისის მშენებლობა-განვითარების საერთო საფუძველი, ერთნაირი მიზნები, მაგრამ განსხვავებული გამოცდილება აქვთ. თითოეულ ქვეყანაში სოციალური საცხოვრისის კონცეფციის განვითარება კავშირშია ამ ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიასა და კეთილდღეობის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან.

მე-19 საუკუნეში იინდუსტრიალიზაციის შედეგად რეგიონებიდან ქალაქებში სამუშაოს მაძიებლების მასობრივი მიგრაცია დაიწყო. ქალაქების ინფრასტრუქტურა კი არ იყო მზად მიეღო მიგრანტების ასეთი დიდი ნაკადები. მიგრანტების განსახლების საკითხი ძირითადად წყდებოდა დამსაქმებლების მიერ, მათ მოამზადეს თავიანთი მუშა ხელისათვის საცხოვრისები, სადაც არ იყო ელემენტარული პირობები, გათბობა, წყალი, მაგრამ რომლებსაც დიდი რაოდენობის ადამიანებისათვის თავშესაფრის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. მაგალითად ბერლინსა და ვენაში ასეთი საცხოვრისები იმდენად გადატვირთული იყო, რომ ადამიანებს მხოლოდ რამდენიმე საათით შეეძლოთ ესარგებლათ საწოლით, შემდეგ კი ის სხვა მუშისათვის უნდა დაეთმოთ. ასეთ ანტისანიტარიულ პირობებს შედეგად მოყვა დაავადებათა მკვეთრი ზრდა. ურბანიზაციის ამ ეტაპზე არ არსებობდა მუშათა ფენისათვის საცხოვრისის დაგეგმვის ან რეგულირების პრაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში წამოჭრილი საცხოვრისის პრობლემის გადასაჭრელად პირველი ნაბიჯები არა სახელმწიფომ, არამედ კერძო სექტორის წარმომადგენლებმა გადადგეს. ქარხნებისა და ფაბრიკების მეპატრონეებმა და ქველმოქმედებმა შექმნეს კერძო ფონდები (როთშილდის, როუსტონის), რომლებიც აფინანსებდნენ საცხოვრისის შექმნას მუშა ხელისათვის, რადგან მათი შეხედულებით საცხოვრისი იკავებდა ცენტრალურ ადგილს ადამიანის სასიცოცხლო ციკლის ორგანიზებაში. საცხოვრისის ამგვარი კონცეფცია გავრცელებული იყო დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში- ქვეყნებში, სადაც საზოგადოება ტრადიციულად ღრმა რელიგიურობით გამოირჩეოდა. ამ ფონდების მიერ განხორციელდა ამბიციური პროექტებიც, რომელთა მიზანი იყო საცხოვრისში მცხოვრები ადამიანის მხარდაჭერა „აკვნიდან სამარემდე", მაგრამ ასეთი კეთილმოწყობილი და კეთილგანწყობილი საცხოვრისის რაოდენობა მინიმალური იყო. მუშა ხელის ძირითადი მასა ცხოვრობდა გაუსაძლის პირობებში. მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, ასეთი ტიპის სახლების შექმნა საცხოვრისის პრობლემის გადაჭრის საკითხისადმი საზოგადოების ჩარევის პირველ მცდელობას წარმოადგენდა, რომელსაც რიგ ევროპულ ქვეყნებში მოყვა სოციალური საცხოვრისის სახელმწიფო რეგულირება საკანონმდებლო აქტების მეშვეობით.

პირველი ასეთი საკანონმდებლო აქტი სოციალური საცხოვრისის შესახებ მიღებულ იქნა ბელგიაში 1889 წელს, ხოლო 1890 წელს ანალოგიური ნაბიჯი გადადგა დიდმა ბრიტანეთმა, 1894 წელს კი – საფრანგეთმა. 1901 წელს ნიდერლანდებში მიღებულმა კანონმდებლობამ მიწათმესაკუთრეთა პირადი ინტერესები დაუქვემდებარა სათემო/სამეზობლო ინტერესებს. ამ კუთხით, აქ „სოციალური მუნიციპალიზმი" შეიქმნა. ავსტრია კი უფრო შორს წავიდა და 1910 წელს სახელმწიფოს დააკისრა საცხოვრისის მშენებლობის სუბსიდირება გადასახადებიდან შემოსული თანხებით.

ამგვარად, მე-20 საუკუნის დასაწყისში მიუხედავად ეროვნული თავისებურებებისა, ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური მხარდაჭერის საფუძველზე აღმოცენდა საცხოვრისის ეროვნული პოლიტიკა, რომელმაც მოიცვა ისეთი კომპლექსური საკითხები, როგორიცაა გადასახადების ცვლილებები, საცხოვრისის ასოციაციების შექმნა, დანაზოგების მიმართვა სახლების მშენებლობაზე, ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერა, ბინის დამქირავებლების დაცვა, საცხოვრისის გამოუსადეგარობის გამოსასწორებლად ადმინისტრაციული ზომების მიღება. შესაბამისად, ჩამოყალიბდა სოციალური საცხოვრისის კონცეფციის და მისი

რეგულირების პოლიტიკის ფრაგმენტები, ხოლო თავად სოციალური საცხოვრისი იქცა ინდუსტრიული ქვეყნების სოციალური კეთილდღეობის სისტემის საკვანძო ელემენტად.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, სოციალური საცხოვრისი გასცდა თავის თავდაპირველ ფუნქციას – დააკმაყოფილოს მუშა ხელი და მათი ოჯახები სახლებით. მისი დამატებითი ფუნქცია გახდა ღატაკთა ფენის განათლება და მორალური რეფორმის ხელშეწყობა. ასეთი მაგალითებია ჰოლანდიური სახლები (*Woonscholen*), სადაც მაცხოვრებლებს უხსნიდნენ, როგორ უნდა იცხოვრონ „ნორმალურ სახლში“ და ისარგებლონ ქონებით, ხოლო ის პირები, ვინც ღირსეულად არ იქცეოდა გაძლიერებული კონტროლის ქვეშ ჰყავდათ. საფრანგეთსა, ავსტრიაში და ნიდერლანდებში საკმაოდ დიდ ხანს არსებობდნენ საცხოვრისის ინსპექტორები, რომლებსაც ორმაგი ფუნქცია ეკისრებოდათ: ქირის შეგროვება ან სოციალური დახმარების განაწილება და ამავდროულად ბინების ფიზიკური მდგომარეობის ზედამხედველობა. ვენაში ინსპექტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ოჯახებში ჰიგიენის დაცვას.

ზემოხსენებულ სამივე ქვეყანაში მუნიციპალური ხელმძღვანელობა სოციალური სახლების მობინადრეებს ირჩევდა სოციალისტური ან კომუნისტური კავშირებიდან, კათოლიკური, პროტესტანტული წრეებიდან იმის და მიხედვით, რომლის მომხრე იყო თავად მუნიციპალიტეტი. ასე წარმოიქმნა საზოგადოების დაყოფა უბნებად იდეოლოგიების მიხედვით, რომელიც მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე გაგრძელდა.

პირველი მსოფლიო ომის მიერ გამოწვეულმა ნგრევამ აიძულა მთავრობები საცხოვრისის მიმართ უფრო ინტერვენციული დამოკიდებულება გამოემუშავებინათ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კი სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად იმოქმედა საცხოვრისზე. ნიდერლანდებში საცხოვრისის სამთავრობო სუბსიდირება შეწყდა, მშენებლობა კერძო სექტორმა გადაიბარა, თუმცა უმუშევრობის გამო გაღატაკებულ მოსახლეობას არ შეეძლო ქირის გადახდა და ახალი სახლები ხშირად გამოუყენებელი რჩებოდა. საფრანგეთში კი საცხოვრისები ისევ ბიზნესმენების მიერ იყო გაშენებული (1.8 მილიონი ბინა), ხოლო სახელმწიფო დაფინანსებით ორჯერ უფრო ნაკლები ბინა (900 ათასი ბინა) აშენდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 30 წელი ითვლება სოციალური ბინათმშენებლობის ოქროს ხანად. 1945-60 წლები საცხოვრისის „აღდგენის“ ფაზად განიხილება (ეს და ტექსტში შემდგომ გამოყენებული საცხოვრისის განვითარების 3 ფაზა აღებულია Priemus, Kleinman, Maclennan and Turner 1993წ ნაშრომიდან). ამ პერიოდში ომით დაზარალებული ქვეყნების საერთო აღმშენებლობა მიმდინარეობდა და ამიტომ სწრაფი ტემპებით და დიდი რაოდენობით სხვა ტიპის მშენებლობაც ხორციელდებოდა. სოციალურმა საცხოვრისმა სახე იცვალა. ამჯერად ის იყო გემოვნებით დაპროექტებული, კეთილმოწყობილი, კარგ ადგილებში გაშენებული სახლები, რომლებიც მიმზიდველი გახდა არა მხოლოდ მუშათა ფენისათვის, არამედ საჯარო მოხელეთათვისაც. სოციალური საცხოვრისის პოლიტიკის მიზანი იყო მუშა ხელის და მისი ოჯახების უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი და ღირსეული საცხოვრისით. ამ დროის საცხოვრისს ახასიათებს სახლების ხელმისაწვდომობა, ერთგვაროვნება და ფუნქციონალურობა. ამ პერიოდში სოციალურმა საცხოვრისმა მილიონობით ოჯახს გაუუმჯობესა საცხოვრებელი პირობები.

50-იან წლებში ომისშემდგომმა „ბეიბიბუმმა“ კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნა საცხოვრისზე. ამ პერიოდში საცხოვრისის საკმარისი რაოდენობის შექმნა პოლიტიკურ პრიორიტეტად იქცა. 1960-75 წლები საცხოვრისის “მზარდი მრავალფეროვნების“ პერიოდად არის წოდებული. ამ დროს სოციალური საცხოვრისის პოლიტიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რის მაგალითიც არის სკანდინავური ქვეყნები. სოციალური საცხოვრისის ფართო ხელმისაწვდომობამ მოსახლეობის დიდ ნაწილს საშუალება მისცა ეკონომიკური ბუმის შედეგად შექმნილი დოვლათით ესარგებლა.

1975-90 წლების ფაზა არის „საცხოვრისის ახალი რეალობა“. 70-იანი წლებიდან იწყება საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხში სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორისათვის ადგილის დათმობა. მთელს ევროპაში, გარდა სკანდინავიური ქვეყნებისა და ავსტრიისა, სახელმწიფოს მიერ გაღებული პირდაპირი სამშენებლო სუბსიდიები შემცირდა ინდივიდუალური სუბსიდიების სასარგებლოდ, როგორიცაა საცხოვრისის შემწეობები და გადასახა-

დების შემცირება მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისათვის. სახელმწიფო სექტორის უკან დახევამ წინა პლანზე წამოსწია არასამთავრობო და კერძო სამშენებლო სექტორი.

21-ე საუკუნის დასაწყისში სოციალური საცხოვრისის კონცეფცია ხასიათდება პასუხისმგებლობათა დეცენტრალიზაციითა (სახელმწიფო სექტორის კერძო მოთამაშეებით ჩანაცვლება) და იდეოლოგიური ინდივიდუალიზმით (პიროვნებამ თავად უნდა მიხედოს საკუთარ თავს).

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემები მეტყველებენ საცხოვრისის პირობების გაუმჯობესებაზე მთელი ევროპის მასშტაბით, საცხოვრისის საკითხის ირგვლივ კვლავ მიმდინარეობს პოლემიკა: სოციალური საცხოვრისი არის პრობლემის მოგვარება თუ პრობლემის წარმოქმნა? ამ და სხვა კითხვებზე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს, მაგრამ სოციალური საცხოვრისი ევროპის ქვეყნებში კვლავ ეროვნული სოციალური პოლიტიკის ნაწილად რჩება. დღესდღეობით, ხელმისაწვდომობის და საცხოვრისის ხარისხის უზრუნველყოფის გარდა, საცხოვრისის პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში მიზნად ისახავს უსახლკარობის, სოციალური პოლარიზებისა და სეგრეგაციის თავიდან აცილებას და მდგრადი სამეზობლოების შექმნით სოციალური ერთობის გაძლიერებას.

სოციალური სახლების ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში

სოციალური საცხოვრისის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში წარუმატებელი ექსპერიმენტით დაიწყო. ქ. ბოსტონის ხელისუფლების დაკვეთით მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩატარდა თავშესაფრების გამოკვლევა და მოხდა მათში მცხოვრები ადამიანების აღრიცხვა-კლასიფიცირება ოთხ კატეგორიად: ღარიბები ხანდაზმულობის გამო, ღარიბები არასრულწლოვნების გამო, ღარიბები უბედური შემთხვევების გამო და ღარიბები თავიანთი მანკიერების გამო. ამ უკანასკნელ კატეგორიაში შედიოდნენ მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულები, მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალები, გაზარმაცებული მათხოვრები და ა.შ. შესაბამისად, გადაწყდა ორი სხვადასხვა ტიპის სახლის აშენება, რომელთა მიზანი იყო ამ კატეგორიების ერთმანეთისაგან დაშორება. „ცუდი, არასაიმედო ღარიბები“ მოთავსდნენ „გამოსასწორებელ სახლში“, ხოლო „კარგი, საიმედო ღარიბები“ – „შრომის სახლში“. თეორიულად ყველაფერი კარგად გამოდიოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ღარიბებს შორის „არასაიმედო, ცუდი“ ღარიბების რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე „კარგი“ ღარიბების. „გამოსასწორებელი სახლი“ გადაივსო და ვეღარ იტევდა ახალ ნაკადებს. ამიტომ აუცილებელი გახდა მათი მოთავსება „შრომის სახლში“, რომელიც აგრეთვე გადაივსო „არასაიმედო“ ღარიბებით. ხოლო რამდენიმე წელიწადში განსხვავება ორივე სახლს შორის საბოლოოდ წაიშალა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში არავის ეგონა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოდესმე დადგებოდა საცხოვრისის კრიზისი. აქტიურად შენდებოდა ცათამბჯენები და საცხოვრისი ყველასათვის საკმარისი იყო. ბაზრის ეს სეგმენტი მთლიანად კერძო სექტორით იმართებოდა და სახელმწიფოს ჩარევის საჭიროება არ ისახებოდა. ყველაფერი შეიცვალა დიდი დეპრესიის დაწყებისთანავე. მშენებლობა შეჩერდა, გაიზარდა უმუშევრობა, ბინების დამქირავებლები ვეღარ იხდიდნენ ქირას და ხდებოდა მათი მასიური გამოსახლება, ხშირად პოლიციის ჩარევით. სოციალური სიტუაცია ქვეყანაში ძალიან დაიძაბა. სიტუაციის განსატვირთად, მთავრობამ დაიწყო იაფი საცხოვრისების მშენებლობის სუბსიდირება, მაგრამ ოთხ წელიწადში აშენებული 25 ათასი ბინა როდი იყო საკმარისი.

პრეზიდენტ რუზველტის ადმინისტრაციამ სამშენებლო საკითხში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გადაწყვეტილება მიიღო. 1937 წელს კონგრესმა მიიღო საცხოვრისის აქტი, რომელიც განსაზღვრავდა ღარიბებისათვის საცხოვრისის მშენებლობის პრინციპებს და სოციალური ბინების ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმებს. ოჯახის საერთო შემოსავალი არ უნდა ყოფილიყო ხუთჯერ უფრო მეტი ვიდრე მის მიერ ბინაში გადახდილი ქირა. იმდროინდელი ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილ ქალაქებში კერძო სექტორის ბინების უმრავლესობას არ ქონდა ინდივიდუალური სველი წერტილები, არ მიეწოდებოდა

ცხელი წყალი. ახლად აშენებული სოციალური სახლები კი სრულად კეთილმოწყობილი იყო. გარდა აღნიშნულისა, მათში გადასახდელი ქირა იყო საბაზრო ფასზე უფრო დაბალი.

სოციალური სახლები შენდებოდა სწრაფი ტემპებით დიდ ფართობებზე ისე, რომ ხდებოდა ღარიბების მიერ დასახლებული ახალი უბნების ფორმირება, რომლებსაც „პროექტებს“ უწოდებდნენ. პროექტების ადგილმდებარეობა იყო ისე დაპროექტებული, რომ მათი მოსახლეობა არ ყოფილიყო მოწყვეტილი: საბავშვო ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები, პარკები ახლო მანძილებზე მდებარეობდა. ამ პროექტებმა გადაუწყვიტეს საცხოვრისის პრობლემა მილიონობით კვალიფიციურ, მომუშავე ამერიკელს, რომლებსაც ქვეყნის ეკონომიკურ დეპრესიამდე სტაბილური შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ დეპრესიის მერე გაღარიბდნენ. პროექტებში მთავრობა რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკას ატარებდა. თეთრკანიანი და შავკანიანი მოსახლეობა სხვადასხვა პროექტებში ხვდებოდა, ხშირად შავკანიანები სულაც ვერ ხვდებოდნენ პროექტებში და იძულებულები იყვნენ სხვა ძველ, არაკეთილმოწყობილ სახლებში შესულიყვნენ.

1941 წლისათვის შეერთებულ შტატებში წელიწადში 90 000 სოციალური ბინა შენდებოდა. ამ პროცესს ძალიან დიდ წინააღმდეგობას უწევდა კერძო სექტორი (ბინების გამქირავებლები ბინათმესაკუთრეები და სამშენებლო კომპანიები), რადგან კერძო სექტორის მოძველებული ბინები ახალ სოციალურ ბინებს კონკურენციას ვერ უწევდნენ ვერც პირობებითა და ვერც ქირის ოდენობით.

სოციალურ ბინებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა 1945 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანაში ომის ვეტერანები დაბრუნდნენ. ისინი აქტიურად ითხოვდნენ ბინენით დაკმაყოფილებას. ამ პერიოდში, მთელს ქვეყანაში 8 მილიონი ადამიანი საჭიროებდა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. პრეზიდენტ ტრუმენის ადმინისტრაციამ სასწრაფოდ შეიმუშავა ვეტერანების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამა, ხოლო 1947 წელს მისივე ინიციატივით გადაწყდა შვიდი წლის განმავლობაში 800 000 სოციალური ბინის აშენება. ეს იყო უდიდესი მასშტაბის სოციალური მიზნების მქონე მშენებლობა, რომელიც შემდგომში აღარ განმეორებულა.

1953 წელს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი პრეზიდენტის ეიზენჰაუერის არჩევის შემდგომ სოციალურ მშენებლობაზე ხარჯები შემცირდა. ამჯერად წელიწადში მხოლოდ 20-30 ათასი ბინა შენდებოდა. თანდათანობით სოციალურმა საცხოვრისმა დაკარგა თავისი თავდაპირველი მიმზიდველობა. 50-იანი წლების ბოლოსთვის პროექტები წარმოადგენდნენ არა რუზველტისეულ მცირესართულიან სახლებს, არამედ ცათამბჯენებს, რომელშიც ათასობით ხალხი ცხოვრობდა, სადაც იყო ხმაური, სივიწროვე და არაჰიგიენური გარემო. ამერიკელების შეხედულებებიც შიცვალა. თუ 40-იან წლებში ისინი ოცნებობდნენ პროექტში ცხოვრებაზე, 60-იან წლებში პირიქით, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ამ სახლებში საცხოვრებლად არ მოხვედრილიყვნენ.

60-იანი წლებიდან პროექტებში ძირითადად აფროამერიკული და ლათინოამერიკული მოსახლეობა ცხოვრობდა. თეთრკანიანი მოსახლეობა კერძო ბინათმესაკუთრეების მიერ გაქირავებულ ბინებში ცხოვრებას ანიჭებდ უპირატესობას. ვინაიდან არც თეთრკანიანი მოსახლეობის შემოსავლები იყო მაღალი, მათ უწევდათ კერძო სექტორში არსებული იაფი ბინების დაქირავება, ხოლო იმის სანაცვლოდ, რომ ბინის მესაკუთრე დაბალშემოსავლიან ოჯახს ბინას იაფად აქირავებდა, სახელმწიფო მას კომპენსაციას უხდიდა. პროექტები, რომელიც ოდესღაც ხელს უწყობდნენ მომუშავე მოსახლეობას დაეძლიათ სიღარიბე, გადაიქცნენ კრიმინალის წყაროდ. მოთხოვნა სოციალურ საცხოვრისზე მაღალი იყო და მშენებლობაც დიდი ტემპებით მიდიოდა. 70-იან წლებში პროექტებში ერთი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 80-იანებში კი უკვე სამი მილიონი.

90-იან წლებში მთავრობამ გაამკაცრა პროექტების ადმინისტრირების ზომები. ახალი წესის მიხედვით, თუ სოციალური სახლის რომელიმე მაცხოვრებელი ან მისი ოჯახის წევრი ჩაიდენდა კრიმინალურ დანაშაულს მას დაუყოვნებლივ გაასახლებდნენ. ამ წესის ამოქმედებიდან პირველ ექვს თვეში პროექტებიდან გაასახლეს 3847 ადამიანი.

2000-იან წლებში სოციალური საცხოვრისის მშენებლობის სისტემა შეიცვალა. ამჯერად, ხელისუფლება აფინანსებდა ტერიტორიის განმენდა-მომზადებას ახალი მშენებლობისათვის, შემდეგ აცხადებდა ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ტენდერს. იმარჯვებდა

ის კომპანია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის პარალელურად, დამქირავებლისთვის ბინის ქირის ყველაზე ხელსაყრელი ოდენობის დაწესების ვალდებულებას იღებდა.

სოციალური საცხოვრისის სექტორის გაუმჯობესების მიზნით ფედერალური და შტატების ბიუჯეტებიდან ყოველწლიურად უზარმაზარი თანხები იხარჯება.

საცხოვრისი გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში

მე-20 საუკუნის დასაწყისში ინდუსტრიალიზაციამ და ურბანიზაციამ ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, გავლენა მოახდინა საცხოვრისის მშენებლობაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალური ნაწილის, ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს. ამ პერიოდში საცხოვრისის რეგულირებას ბაზარი ახდენდა. პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა 1919-1920 წლებში წარმოქმნა სოციალური ქირავნობის პროგრამები, რომელნიც საშუალო ფენაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

1945 წლიდან კი სიტუაცია შეიცვალა: ევროპა ორ პოლუსად დაიყო და საცხოვრისის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში გეგმიური ეკონომიკის გავლენის ქვეშ მოექცა. აქ საცხოვრისი განიხილებოდა, როგორც სოციალური უფლება, რომლის რეალიზების გარანტად სახელმწიფო გამოდიოდა. საცხოვრისი არ წარმოადგენდა ჩვეულებრივ პროდუქტს ან მომსახურებას, რომელიც საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობდა. სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებდა საცხოვრისის წარმოებას, მიწოდებას და მოხმარებას. ასეთ პირობებში ბინის ქირა იყო ძალიან დაბალი დამქირავებლისათვის, თუმცა საზოგადოებას ის ძვირი უჯდებოდა მაღალი სუბსიდირებისა და საცხოვრისის დაბალი ეკონომიკური ეფექტურობის გამო. ეს იყო საბჭოურ ბლოკში შემავალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის საერთო დამახასიათებელი თვისება, თუმცა ცალკეულ ქვეყნებს შორის საცხოვრისის პოლიტიკა ძლიერ განსხვავდებოდა.

სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში საცხოვრისი სახელმწოფო მფლობელობაში იყო. სახელმწიფო იყო საცხოვრისის მიმწოდებელი ყველასათვის, ამიტომ საცხოვრის არ გააჩნდა სოციალური საცხოვრისის ფუნქცია. ცალკე "სოციალური საცხოვრისი" როგორც ცნება საერთოდ არ არსებობდა სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში, რადგან თანასწორობასა და სოლიდარობაზე დაფუძნებული მთელი სისტემა იყო „სოციალური". ამ პერიოდში არ შეიძლებოდა თუნდაც მხოლოდ თეორიულად ეარსება ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორიცაა უსახლკარო ან ღატაკი. საცხოვრისზე დაბალმა ფასებმა გამოიწვია მასზე გადაჭარბებული მოთხოვნა, მაგრამ საცხოვრისის არასაკმარისობის აღიარებაც არ ხდებოდა. სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ბინები ნაწილდებოდა „დამსახურების" მიხედვით, რაც ნიშნავდა, რომ კომუნისტური პარტიის წევრი ან მასთან მიახლოებული პირის მიმართ პრეფერენციული დამოკიდებულება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ ბლოკში საცხოვრისი სოციალური საცხოვრისის ძირითად ელემენტებს მოიცავდა (სახელმწიფო საკუთრება, სუბსიდირება, ქირის ოდენობის რეგულირება), ამ ქვეყნებში სოციალური საცხოვრისის საჭიროება და მისი რეალური არსებობა აღიარებული არ ყოფილა.

საცხოვრისის პოლიტიკის ცვლილება დაიწყო 1989 წლიდან, როცა ცალკეულმა ქვეყნებმა დაიწყეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. საცხოვრისის რეფორმამ რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველმა ეტაპმა შეამცირა სახელმწიფო ჩარევა საცხოვრისის საკითხში, შესაბამისად, შემცირდა მშენებლობის სუბსიდირება, მოხდა სამშენებლო და საბანკო სექტორის პრივატიზება, განხორციელდა ბინის ქირის ლიბერალიზაცია, დაიწყო არსებული სახლების პრივატიზება. ეს პროცესი სწრაფი ტემპებით განხორციელდა მანამ, სანამ მომზადდებოდა საკანომდებლო და ინსტიტუციური ბაზა, რომელიც ამ მტკივნეულ პროცესს გარკვეულ „ჩარჩოებში" მოაქცევდა. ამან გამოიწვია მზარდი სოციალური დიფერენციაცია, ცხოვრების დონის დაწევა და ა.შ.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში უსახლკარობის პრობლემის რისკი უფრო მაღალი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში. აღნიშნულ ქვეყნებში პრივატიზების პროცესი ჩატარდა სწრაფი ტემპით და მთელ

რიგ ქვეყნებში საცხოვრისის 90% მდე კერძო მფლობელობაში გადავიდა. ამ ქვეყნებში ასევე, დაირღვა ბალანსი ხელმისაწვდომ საცხოვრისზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. მოთხოვნა გაიზარდა, ვინაიდან მოხდა ქალაქებში სოფლის მოსახლეობის მიგრაცია. ამ გარემოებამ, ერთის მხრივ, გაზარდა საცხოვრისის ფასი, ხოლო, მეორეს მხრივ – უსახლკაროთა რიცხვი.

ასეთ ვითარებაში ზოგიერთი გარდამავალი ქვეყნის ხელისუფლებამ აღიარა, რომ საცხოვრისის პრობლემის მოგვარება მხოლოდ ბაზრის თვითრეგულირების პრინციპებზე დაყრდნობით არ იძლევა დადებით რეზულტატს და სახელმწიფოს „არჩარევა" მოსახლეობას უარეს მდგომარეობაში აყენებს. დაიწყო საკანონდებლო ჩარჩოს შემუშავება, რომელიც მოაწესრიგებდა საცხოვრისის პრობლემებს, მაგრამ, რეფორმის ეს ეტაპი უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე პირველი ეტაპი- პრივატიზება (Tsenkova 2003: 193).

ამ დროიდან სოციალური საცხოვრისი გარდამავალ ქვეყნებში უკვე განიხილებოდა, როგორც მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა შინამეურნეობებს, რომლებსაც არ შეეძლოთ ბაზარზე არსებულ ფასად ბინის დაქირავება, ხელმისაწვდომი და კეთილმოწყობილი სახლით. შესაბამისად, მრავალმა გარდამავალმა ქვეყანამ დაიწყო მუშაობა დასავლეთ ევროპული ტიპის სოციალური საცხოვრისის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით. მაგრამ ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები შეზღუდულია, სოციალური საცხოვრისის რაოდენობაც არასაკმარისია და ძირითადად გათვლილია ყველაზე ღატაკების დასახმარებლად, რაც სოციალური პოლარიზების რისკს ქმნის.

მხოლოდ რამდენიმე გარდამავალ ქვეყანას აქვს სოციალური საცხოვრისის პროგრამები. კარგი მაგალითია პოლონეთი, რომელიც არამომგებიანი კომპანიების მეშვეობით საშუალო ფენისათვის საცხოვრისის მიწოდებაზე ზრუნავს, და ჩეხეთის რესპუბლიკა, რომელიც სუბსიდირების გზით აფინანსებს მუნიციპალური გასაქირავებელი სახლების მშენებლობას, რომლებიც ღარიბ და საშუალო ფენებს მოემსახურება.

საცხოვრისის პრივატიზაცია გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი წარმოადგენდა რეგულირებადიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მნიშვნელოვან ნაწილს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრისის პრივატიზებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ბინათმესაკუთრეთა რიცხვი პოსტ-საბჭოური ბლოკის ქვეყნებში.

თავდაპირველად საცხოვრისის პრივატიზება ემსახურებოდა საცხოვრისით მომსახურების სისტემის ეკონომიკური ეფექტურობის გაუმჯობესებას. შემდეგ კი რამდენიმე სხვა მიზანი დაემატა: სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან ბიუჯეტის შემოსავლების შევსება, სახელმწიფო ხარჯების შემცირება ბინების შეკეთებაზე, ამორტიზებული სახლების თავიდან მოშორება. ამ ეკონომიკური მიზნების გარდა არსებობდა პოლიტიკურიც – ახალი რეჟიმის მხარდაჭერის გაძლიერება მოსახლეობისთვის დოვლათის (ამ შემთხვევაში საცხოვრისის) მიცემის გზით. თუმცა, გარდამავალმა სახელმწიფოებმა და მომავალმა ბინათმესაკუთრეებმა არ გაითვალისწინეს, თუ რაოდენ რთული იქნება ბინის მესაკუთრეობა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის, ბინების შეკეთებისა და მოვლის თვალსაზრისით. ამგვარად, სახელმწიფოს საკუთრებაში თითქმის აღარ დარჩა საცხოვრებელი სახლები და საცხოვრისის არმქონე საზოგადოების ყველაზე ღარიბ ფენასაც კი უწევს დასაქირავებლად იაფი ბინების ძებნა პრივატიზებული ბინების სექტორში (განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში) (Tosics and Hegedus 2003: 26).

ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში ბინათმესაკუთრეობის სხვადასხვა ტრადიციები იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ასეთი სახლები სჭარბობდა (75-90%), ხოლო ჩრთილოეთ და ცენტრალურ ნაწილში სახელმწიფო საკუთრების ტიპის ბინები იყო გავრცელებული, რომელშიც მცირე ქირის გადახდის საფასურად წლობით ცხოვრობდა ეგრედ წოდებული დამქირავებელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარსა და სახელმწიფო ქონებას შორის ზღვარი სოციალისტური რეჟიმის დროს წაშლილი იყო. ბინის მე-

საკუთრეთა უფლებები შემცირებული იყო სახლის პირად მოხმარებამდე, ხოლო სახელმწიფო ბინის დამქირავებლების უფლებები ბინათმესაკუთრეთა უფლებებს უტოლდებოდა.

პრივატიზების პროცესი 90-იან წლებში დაიწყო და სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა: სახელმწიფო ქონების პრივატიზება, ადრე ნაციონალიზებული ქონების დაბრუნება, კოოპერატიული სახლების გარდაქმნა კონდომინიუმებად. აქედან ყველაზე გავრცელებული ფორმა მაინც სახელმწიფო ქონების პრივატიზება იყო. ძირითადად ის წარმოადგენდა ბინების უსასყიდლოდ გადაცემას (მაგ. საქართველო, რუსეთი) ან სიმბოლურ ფასად (საბაზრო ფასის მხოლოდ 15%-ის გადახდით) მიყიდვას მასში მცხოვრებ დამქირავებლებზე. ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა ფინანსური მექანიზმი იყო გამოყენებული ამ პროცესში: ვაუჩერები, კომპენსაციები, სპეციალური სესხები. სიმბოლურ ფასად გაყიდვა ყველაზე გავრცელებული და სახელმწიფოსათვის მისაღები მოდელი აღმოჩნდა. მან საშუალება მისცა სახელმწიფოს თავიდან მოეშორებინა ამორტიზებული უხარისო შენობები, რომელთა მოვლა მას ძვირი უჯდებოდა. ეს არ იყო წინდახედული ნაბიჯი: პერსპექტივაში სახელმწიფო კარგავდა ქონებას, რომელიც შეეძლო გამოეყენებინა მომავალში იაფი და ხელმისაწვდომი საცხოვრისის საჭიროებებიათვის. გარდა ამისა, შეიქმნა რისკი, რომელიც დროთა განმავლობაში გამართლდა- ამორტიზებულმა ბინებმა პრობლემები შუქმნეს თავიანთ მესაკუთრეებს მათი შეკეთების მხრივ. ზოგს არ გააჩნდა მათი დროულად შეკეთების სახსრები და ნაწილი ასეთი ბინებისა სახცოვრებლად უვარგისი გახდა, რამაც უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა.

ბინის მაცხოვრებლებზე სახელემწიფო ბინების პრივატიზებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოების შიგნით სიმდიდრის გადანაწილებაზე. ამ პროცესის შედეგად ზოგი დარჩა მოგებული, ზოგი კი წაგებული. პირველებმა სიმბოლურ ფასად შეიძინეს მაღალხარისხიანი, ძვირადღირებული ქონება, ხოლო უკანასკნელებმა, ვისაც გარკვეული მიზეზების გამო არ ერგო ბინები პრივატიზების პროცესში ან ვინც მიიღო ძველი, ამორტიზებული ქონება, რომლის მოვლა-შეკეთება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული (Tsenkova 2000 : 32-34).

საბჭოურ რეჟიმში არ არსებობდა განსხვავებები სხვადასხვა ტიპის მესაკუთრის სოციალურ სტატუსებს შორის. დღესდღეობით, ეს სფერო პოლუსებად არის დაყოფილი: ახალი, ხარისხიანი სახლების მქონე მესაკუთრეები და სახელმწიფო ამორტიზებული ბინების პრივატიზების შედეგად მესაკუთრეები. ამ უკანასკნელ ჯგუფში შედიან სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები, როგორიცაა პენსიონრები, უმუშევრები და ა.შ.

გარდამავალ ქვეყნებში ვხვდებით პარადოქსულ სიტუაციას – საცხოვრისი პრივატიზების შედეგად არის კერძო მფლობელობაში, მაგრამ მას აქვს ორი საერთო მახასიათებელი დასავლეთ ევროპის სოციალურ საცხოვრისთან: უმრავლესწილად ორივე წარმოადგენს დაბალი ხარისხის საცხოვრებელს და ორივეში ცხოვრობს დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები.

დღესდღეობით საცხოვრისის ექსპერტები თვლიან, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს ორ აქამდე უყურადღებოდ დარჩენილ ფაქტორს: პრივატიზებული საცხოვრისების მოვლა-განახლებას და ღარიბთა საცხოვრისის პრობლემების გადაჭრას (Tosics and Hegedus 2003: 39).

საცხოვრისის პოლიტიკა საბჭოთა კავშირში

საბჭოთა ხელისუფლების 1917 წელს მიღებულმა პირველივე დადგენილებებმა განსაზღვრეს სოციალისტური სახელმწიფოს საცხოვრისის პოლიტიკა. კერძო საკუთრება გაუქმდა ქონების ნაციონალიზაციის მეშვეობით. დაიწყო საცხოვრისის არმქონე პირების შესახლება დაკეტილ გამოუყენებელ ბინებში, რომლებსაც იურიდიულად ჰყავდათ მესაკუთრე, მაგრამ ნაციონალიზაციამ მარტივად გადაწყვიტა იურიდიული პრობლემა – ნებისმიერი სახის საცხოვრებელი ერთეულები გადავიდა სახელმწიფოს ხელში და მხოლოდ მას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება ვინ გამოესახლებინა ბინებიდან და ვინ შეესახლებინა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიენიჭა ექსკლუზიური უფლებამოსილება დაედგინა სად, რამდენი და როგორი ხარისხის საცხოვრისები აეშენებინა. ამგვარად, საბჭოთა კა-

ვშირის რეგულირებადმა ეკონომიკამ მოახდინა საცხოვრისის საკითხების რეგულირების ცენტრალიზება. სახელმწიფო საბინაო ფონდის მართვა და მისი მოვლა-პატრონობა ადგილობრივ საბჭოებს დაეკისრა.

სტალინის დროინდელმა საცხოვრისის ტოტალიტარულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გააღრმავა სახლების ომამდელი და ომისშემდგომი დეფიციტი. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია:

- სახელმწიფოს ცენტრალური როლი საცხოვრისის პრობლემის მოგვარებაში. ამ პერიოდში საცხოვრისის პრობლემის გადაჭრის მთავარი მიზანი იყო სახელმწიფო ინტერესების დაცვა, ხოლო მოქალაქეთა უშუალო ინტერესები უგულებელყოფილი იყო.
- ეკონომიკური პრაგმატულობა, რომელიც საბინაო დეფიციტს იაფი, უსახო, მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის მეშვეობით აგვარებდა. აღსანიშნავია, რომ ასეთ პრაგმატიზმს დადებითი ეფექტიც ჰქონდა. ომის შედეგად განადგურებული საბინაო ფონდის აღდგენა სწრაფი ტემპებით განხორციელდა 50-იანი წლების დასაწყისისათვის. თუმცა, ომით გამოწვეული ნგრევით უსახლკაროდ დარჩენილი 25 მილიონი ადამიანის ამ დროისათვის სრულად დაკმაყოფილება მაინც ვერ მოხერხდა.
- ბინების განაწილების სოციალური უთანაბრობა. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე კომფორტაბელური ბინები ქალაქების ცენტრებში ნაწილდებოდა სამეცნიერო-ტექნიკურ და ხელოვანთა ელიტაზე, ხოლო მოსახლეობის ძირითადი ნაწილის განსახლება კომუნალურ ბინებში ხდებოდა.
- მოქალაქეთა ჩამოშორება თავიანთ საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტილების მიღებიდან, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ომამდე, გამოიწვია მობინადრეთა აპათიური განწყობები და ჩამოაყალიბა „ბინაში დროებითად მყოფის“ ფსიქოლოგია. ეს უკანასკნელი გამოვლინდა სრული უინტერესობით საერთო სარგებლების ფართების (სადარბაზო, კიბეები, სარდაფები და ა.შ.) მოვლის მიმართ.
- ქალაქების განვითარების სოციალისტური პრინციპების რეალიზება, რომლის მიხედვით ურბანიზაციის და ქალაქების გეგმიური განვითარების პროცესები სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე იმართებოდა. ის მოიცავდა ისეთ პრინციპებს, როგორიცაა ყველა რესურსის (მათ შორის მიწის) ნაციონალიზაციას, კოლექტიურის უზენაესობას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დომინირებას, საცალო ვაჭრობის წერტილების შეზღუდვას, გეგმიურ ურბანიზაციას, ქალაქების როლის გაძლიერებას სოფელთან შედარებით, საცხოვრებელი ადგილის პერსონალური არჩევისა და შიდა მიგრაციის შეზღუდვას. საბჭოთა ქალაქების განვითარების ეს პრინციპები გაგრძელდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე, პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

50-იან წლებში ხელისუფლება, რომელსაც ნიკიტა ხრუშოვი ჩაუდგა სათავეში, ახალი საბინაო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების საჭიროების წინაშე დადგა. მისი ძირითადი მიზანი იყო საცხოვრისის მასიური მშენებლობა. ხრუშოვის 10 წლიანი მმართველობის დროს მოხდა „საბინაო რევოლუცია“, აშენდა 13 000 ხუთსართულიანი სახლი, ე.წ. „ხრუშოვკები“, რის შედეგად მოხდა ოჯახების გადასახლება კომუნალური ბინებიდან და ბარაკებიდან იზოლირებულ ბინებში. პირველად საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე პრიორიტეტი დაეთმო ბინების განაწილებას ოჯახების ზომისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამგვარად, „ხრუშოვკების“ პოლიტიკა საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე იყო ყველაზე სოციალურად ორიენტირებული საბინაო პოლიტიკა.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში კორუფციამ პიკს მიაღწია საბჭოთა კავშირის ფუნქციონირების ყველა სფეროსა და დონეზე. ჩამოყალიბდა ახალი კლასი – „პოლიტიკური ელიტა“. ბინის მიღებაზე რიგში დგომა რიგითი მოქალაქისათვის წლები გრძელებო-

და, ხოლო პარტიულ ელიტას და მასთან დაახლოებული წრეების წარმომადგენლებს საუკეთესო ბინები „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ რიგგარეშე ეძლეოდათ.

ამგვარად, საბჭოთა კავშირის არსებობის ახალი ეტაპის – „გარდაქმნის“ დაწყებისათვის ბინის მიღების რიგში 14 მილიონი ოჯახი, ანუ 40 მილიონი ადამიანი იდგა. „გარდაქმნის“ საბინაო პოლიტიკის მიზანი- თითოეული ოჯახის ცალკე ბინით უზრუნველყოფა, ქვეყნის იმდროინდელი ეკონომიკური რესურსებიდან გამომდინარე აბსოლუტურად უტოპიური იყო. რასაკვირველია, ის ვერ განხორციელდა და მხოლოდ პოლიტიკურ ლოზუნგად დარჩა. „გარდაქმნის“ ეტაპი სულ რამოდენიმე წელი გაგრძელდა, შემდეგ კი საბჭოთა კავშირი და მთელი სოციალისტური ბლოკი დაიშალა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Guidelines on Social Housing, Principles and Expamles, (2006). Economic Comission for Europe, Geneva, United Nations, New York and Geneve. Chapter I, The Historical Development of Social Housing.

Whitehead, K. Scanlon (2007). Social Housing in Europe. Chapter 2. in C. Whitehead, K. Scanlon (Eds.), *Social Housing in Europe* (pp. 8-33), London School of Economics and Political Science.

Hegedüs J. (2007). Social Housing in Transition Countries. Chapter 12. in C. Whitehead, K. Scanlon (Eds.), *Social Housing in Europe* (pp. 165-177), London School of Economics and Political Science

Malpass P. (2008). Histories of Social Housing: A Comparative Approach. Chapter 2. in C. Whitehead, K. Scanlon (Eds.), *Social Housing in Europe* II, *A Review of Policies and Outcomes*. (pp. 15-30), London School of Economics and Political Science

Levy-Vroelant, C. Reinprecht, C. Wassenberg. F. (2008). Learning from history: changes and path dependency in the social housing sector in Austria, France and the Netherlands (1889-2008). Chapter 3. in C. Whitehead, K. Scanlon (Eds.), Social Housing in Europe II, A Review of Policies and Outcomes. (pp. 31-46), London School of Economics and Political Science

Государственная жилищная политика как политический инструмент в строительстве нового общества в России. Камолов С.Г. Вестник № 4 ст. 81-86

Бедность под социальной крышей или достойные бедняки. Кирилл Новиков,

Журнал «Коммерсантъ-Деньги» N49 (806), 13.12.2010

თავი 2: საცხოვრისის პოლიტიკა – საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა

სოციალური საცხოვრისისა და სხვა საცხოვრისის პოლიტიკების შედარება

საცხოვრისის პოლიტიკის მიზნები

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საცხოვრისის პოლიტიკა სოციალური პოლიტიკის ნაწილად განიხილება. არ არსებობს სოციალური საცხოვრისის ერთიანი საერთაშორისო განმარტება. ყველა ქვეყანა თავისი კანონმდებლობით სხვადასხვაგვარად განმარტავს სოციალურ საცხოვრისს, თუმცა განმარტებებში ბევრი საერთოა, რაც იძლევა სოციალური საცხოვრისის საერთაშორისო შედარების საფუძველს. ამ თავში გამოყენებული ტერმინი „სოციალური საცხოვრისი“ გულისხმობს საცხოვრისს, რომელიც დაბალ და ზოგჯერ საშუალო შემოსავლების მქონე შინამეურნეობებზე ქირავდება.

საცხოვრისის პოლიტიკის ძირითადი მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა ადექვატურად მოწყობილი, შესაბამისი ზომის საცხოვრებლით, რომელიც მდებარეობს კარგად ფუნქციონირებად გარემოში და აქვს ხელმისაწვდომი ფასი.

საცხოვრისის პოლიტიკის შემუშავებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი საკითხები:

- **საცხოვრისის საყოველთაო წვდომა**: რა გზით უნდა მოხდეს მოწყვლადი ფენების უზრუნველყოფა საცხოვრისით?
- **ფინანსური ხელმისაწვდომობა**: რა ინსტრუმენტები უნდა იყოს გამოყენებული, რათა დაბალშემოსავლიანმა შინამეურნეობებმა იცხოვრონ მისაღები ზომის ბინებში ისე, რომ არ ხარჯავდნენ ბინის ქირის გადახდაზე მათი შემოსავლის უდიდეს ნაწილს?
- **ხარისხი:** რა ინსტრუმენტები უნდა იყოს ამოქმედებული, რომ ამჟამინდელი და მომავალში აშენებული საცხოვრისები პასუხობდნენ სახლებისადმი და გარემოსადმი მუდამ ცვალებად მოთხოვნებს?
- **სპეციალური საჭიროებები:** ეკონომიკური ფაქტორების გარდა ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების სპეციალურ საჭიროებებს (ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა);
- **სოციალური ერთობა:** სოციალური გარიყულობისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შერევა საცხოვრისებში, რათა თავიდან იქნას აცილებული სეგრეგაცია;
- **საცხოვრისის დამქირავებლის დაცულობა:** დამქირავებელთა დაცვა გაუმართლებელი გასახლებისაგან;
- **დამქირავებელთა მონაწილეობა გადაწვეტილების მიღებაში:** რა გზით უნდა მოხდეს დამქირავებელთა ჩართულობა საცხოვრისის შენობებსა და მათ გარემოსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის დროს.

ვინაიდან შეუძლებელია პოლიტიკის ყველა მიზანი ერთდროულად იყოს მიღწეული, აუცილებელია მათი პრიორიტეტებად დაყოფა. საცხოვრისის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად არსებობს სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომელთა კომბინაცია გამოიყენება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. თუ საცხოვრისის არჩეული პოლიტიკა ახერხებს გააუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც ყველაზე რთულ პირობებში ცხოვრობენ, მაშინ საუბრობენ მის „სოციალურ ეფექტურობაზე“. თუ ზემოაღნიშნული მიზნები მიიღწევა საზოგადოებისათვის ყველაზე დაბალ ფასად, მაშინ საუბარია გამოყენებული პოლიტიკის „ეკონომიკურ ეფექტურობაზე“. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის განხორციელებას გვერდითი ეფექტებიც მოსდევს. მაგალითად, როდესაც პოლიტიკა მიმართულია საცხოვრისის ხარჯების შემცირებაზე და ამისათვის ინსტრუმენტად გამოიყენება ბინის დამქირავებელთა ფინანსური მხარდაჭერა (ამ მიზნით შეიძლება სხვა-

დასხვა მეთოდი იყოს გამოყენებული: ბინის ქირის გადახდა, საცხოვრისის შემწეობა, სუბსიდირება, გადასახადებისგან გათავისუფლება და სხვა), მას შეიძლება შედეგად მოყვეს საცხოვრისზე მოთხოვნის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ქირის ოდენობასაც. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული ინსტრუმენტი ამცირებს მოსალოდნელი შედეგის დადებით ეფექტს ან სულაც აუარესებს არსებულ სიტუაციას.

სოციალური საცხოვრისის პოლიტიკა საცხოვრისის პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და მისი არჩევა ხდება მას მერე, რაც მოხდება კონკრეტულ ვითარებასთან მიმართებაში მისი გამოყენებით მიღწეული სავარაუდო ეფექტის შედარება საცხოვრისის პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტების სავარაუდო შედეგებთან.

სოციალური საცხოვრისისა და საცხოვრისის პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტების შედარება

სოციალური საცხოვრისის საჭიროება მცირდება ისეთ ადგილებში, სადაც საცხოვრისის ფასი მცირდება და საშუალო და დაბალშემოსავლიან ოჯახებს შესაძლებლობა ეძლევათ შეიძინონ საცხოვრებელი ბინა ან დაიქირაონ ის კერძო სექტორში. სიტუაცია გაცილებით უფრო რთულია ისეთ ადგილებში, სადაც საცხოვრისის ფასი მაღალია. აქ ჩნდება სოციალური საცხოვრისის საჭიროება, რომლის დაკმაყოფილება შეიძლება ან არსებული საცხოვრისის შეძენით და მისი გადაქცევით სოციალური საცხოვრისად ან ახალი სოციალური საცხოვრისის მშენებლობის წახალისებით. საცხოვრისის შემწეობების გაცემამ შეიძლება შეამციროს დაბალ შემოსავლიანი ოჯახის მიერ გადასახდელი ქირის რეალური ოდენობა იმ ზღვრამდე, რომლის გადახდაც ოჯახს შეუძლია. თუმცა, ეს რთულად ადმინისტრირებადი პროცესია და გამართლებულია მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც შემოსავლების აღრიცხვის სამსახური კარგად ფუნქციონირებს და არ ხდება რეალური შემოსავლების დამალვა.

საცხოვრისის შემწეობას საპირისპირო ეფექტიც შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, საცხოვრისის ქირის შემცირების ნაცვლად მისი ზრდა, რადგან შემწეობები გაზრდიან მოთხოვნას საცხოვრისზე და თუ მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება ბინის მესაკუთრეთა მხრიდან შესაბამისი რაოდენობის საცხოვრისის მიწოდებით არსებული ბინების რაოდენობის სიმცირის გამო, მოხდება ბინის ქირის ზრდა, რაც წარმოადგენს უარყოფით შედეგს არა მხოლოდ საცხოვრისის შემწეობის მიმღებთათვის, არამედ ბინის ყველა მაძიებელთათვის.

ბინის ქირის დაწევის კიდევ ერთი ინსტრუმენტია საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობების ზრდა. საცხოვრისის შემწეობა არ შეუწყობს ხელს ახალი ბინათმშენებლობის გააქტიურებას. ამ მიზნისათვის გამოყენებული უნდა იქნას წარმოების მხარდაჭერა. ხოლო როდესაც ბინათმშენებლობის პროცესი პიკს მიაღწევს საჭიროა მისი ჩანაცვლება საცხოვრისის შემწეობით. საცხოვრისის შემწეობის თანდათანობით გაზრდამ შესაძლოა ხელი შეუწყოს კერძო სექტორში საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რადგან მოიმატებს მაღალი ქირის გადახდის შესაძლებლობის მქონე ბინის დამქირავებელთა რიცხვი, ხოლო ბინათმესაკუთრეები დაინტერესებულები იქნებიან მიაქირავონ მათ თავიანთი ბინები.

რა რაოდენობით არის საჭირო სოციალური საცხოვრისი ამა თუ იმ ქვეყანაში დამოკიდებულია თუ რამდენად კარგად უზრუნველყოფს საცხოვრისზე მოთხოვნას ამ ქვეყანაში არსებული საცხოვრისის სხვა სახეები (კერძო საკუთრებაში არსებული გასაქირავებელი ბინები, კოოპერატიული ბინები, ბინათმესაკუთრეთა საცხოვრისები). ფინანსურად ხელმისაწვდომი გასაქირავებელი ბინების სიმცირე აგრეთვე არის სოციალური საცხოვრისის არსებობა-ფუნქციონირების განმაპირობებელი ფაქტორი. დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში სოციალური საცხოვრისი მიჩნეულია სოციალური პოლიტიკის უმთავრეს ინსტრუმენტად, რომელიც მოწყვლადი ფენების საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების საცხოვრისის პოლიტიკა
სოციალური საცხოვრისის მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციები

ევროპის ქვეყნებში (ავსტრია, დანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ნიდერლანდები, უნგრეთი და შვედეთი) სოციალური საცხოვრისი ბინების საერთო რაოდენობის დაახლოებით 4-35% წარმოადგენს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ოდენობა შემცირდა, რადგან კერძო ბინათმშენებლობამ გაუსწრო სოციალური საცხოვრისის მშენებლობას, ან საცხოვრისი იყო პრივატიზებული, ან სიძველის გამო გაუქმებული. საფრანგეთს სოციალური სახლების ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვს – 4 230 000[1] ერთეული. მეორე ადგილს იკავებს დიდი ბრიტანეთი, მიუხედავად სოციალური სახლების მასიური პრივატიზებისა – 3 983 000 ერთეული. შემდეგ კი ნიდერლანდები მოდის 2 400 000 ერთეულით.

სოციალურ სახლებზე მოთხოვნა მაღალია და თანაც მზარდი. მსხვილ ურბანულ ცენტრებში ასეთ სახლში მოხვედრამდე აღრიცხვის ხანგრძლივ რიგებში დგომა უწევთ. ეს, ნაწილობრივ, ევროპაში საცხოვრისის ფასის ზრდის და საკუთარი ბინის შეძენის შეუძლებლობის შედეგია, ნაწილობრივ კი გაზრდილი მიგრაციის, რის გამოც ბინის დაქირავება კერძო სექტორში რთულდება.

მიუხედავად საცხოვრისის სიმცირისა, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მიმდინარეობს 50, 60 და 70-იან წლებში აშენებული მსხვილი, მაგრამ ამორტიზირებული საცხოვრისის დანგრევა. მათ ადგილას შენდება კარგად დაპროექტებული, მაღალი ხარისხის, გარემოს მიმართ მეგობრული სამშენებლო მასალებით აგებული შერეული ტიპის საცხოვრებლები, რათა შეიქმნას უფრო ძლიერი და მდგრადი სამეზობლო და მოხდეს მიწის აქტივის უფრო ეფექტური გამოყენება.

სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა სოციალური საცხოვრისის მშენებლობაში

ბოლო წლებში ევროპაში მიმდინარეობს მუნიციპალიტეტების მხრიდან სოციალური საცხოვრისის დაფინანსების კლება და მისი ჩანაცვლება კერძო სექტორის დაფინანსებით. სახელმწიფო/მუნიციპალური სუბსიდიები ძალიან ლიმიტირებულია და მხოლოდ ვიწრო მიზნებს ემსახურება. ევროკავშირის მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ შეამცირა თავისუფალი თანხები. ასეთ კონტექსტში არაა გასაკვირი, რომ კერძო სექტორი იძულებულია ჩაერთოს არა მხოლოდ მშენებლობის პროცესში, არამედ მის დაფინანსებაშიც. ამგვარად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაძლიერდა საცხოვრისის მშენებლობის მიზნით სახელმწიფო/ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა. ასეთი თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება მაშინ, როცა ადგილობრივი ხელისუფლება მშენებლობისათვის უსასყიდლოდ ან ძალიან დაბალ ფასად თმობს საკუთარი მიწის ნაკვეთს.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ზოგიერთ ქალაქში ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, კერძო სამშენებლო კომპანიამ უნდა დათმოს ახლად აშენებული ბინების გარკვეული ოდენობა სოციალური საცხოვრისისათვის. ასეთი პრაქტიკა არის ირლანდიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, ბრიტანეთში.

სოციალური საცხოვრისის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა დონეებზე ხდება. ზოგი საკითხის გადაჭრა ექსკლუზიურად ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა (მაგ. სოციალური საცხოვრისის ქირის განსაზღვრა), ზოგი კი ადგილობრივის. ქვემოთ ცხრილში მოყვანილია გადაწყვეტილების მიმღები დონეები სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში.

[1] 2005 წ სტატისტიკის მონაცემები

ცხრილი 1

	საცხოვრისის გაშენების მასშტაბები	საცხოვრისის გაშენების ადგილები	საცხოვრისის ქირის განსაზღვრა	დაფინანსების წყარო
ავსტრია	ადგილობრივი	ადგილობრივი	ადგილობრივი	ცენტრალური
დიდი ბრიტანეთი	ცენტრალური ადგილობრივთან თანამშრომლობით	ცენტრალური ადგილობრივთან თანამშრომლობით	ცენტრალური	ცენტრალური
გერმანია	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ცენტრალური	ადგილობრივი
დანია	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ცენტრალური	ცენტრალური
ირლანდია	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ცენტრალური	ცენტრალური
ნიდერლანდები	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ცენტრალური	ცენტრალური
უნგრეთი	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით
საფრანგეთი	ცენტრალური ადგილობრივთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ცენტრალური	ცენტრალური
შვედეთი	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ადგილობრივი ცენტრალურთან თანამშრომლობით	ცენტრალური	ცენტრალური

სოციალური საცხოვრისის ქირა

ქირის ოდენობა, იქნება ეს კერძო თუ სოციალური საცხოვრისი, კავშირშია დანახარჯებთან, ანუ ქირის ოდენობამ უნდა დაფაროს ფინანსური ხარჯები, რაც მის მესაკუთრეს აქვს გაწეული. თუმცა ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში სოციალური საცხოვრისის ქირის ოდენობა მიბმულია საცხოვრისის შენობის ისტორიულ ღირებულებასთან, ანუ იმ პერიოდის ფასებთან, როცა ის იყო აშენებული ან შეკეთებული. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა ძველ, კარგ ადგილას მდებარე დიდი ფართის მქონე სოციალურ სახლში ქირის ოდენობა უფრო დაბალია, ვიდრე ახალ აშენებულ, მაგრამ პატარა ზომის, არახელსაყრელ ადგილას მდებარე სახლში.

შენობის გარემონტება და განახლება ზრდის მასში მდებარე საცხოვრისის ქირას, ამიტომ ხდება, რომ საცხოვრისში ინტერიერის ან კომუნიკაციების შეკეთება-შეცვლა იშვიათად ხდება. დანიაში მოძველებული სოციალური საცხოვრისების რესტავრაციისათვის ეროვნული ფონდიდან სუბსიდირება გამოიყენება. ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში საცხოვრისის კერძო მფლობელები ან ორგანიზაციები ერთობლივად ახორციელებენ შენობების შეკეთებას, რისთვისაც ქირიდან შემოსულ შემოსავალსაც აერთიანებენ.

კერძო სექტორში ნაქირავები ბინის ქირა ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე სოციალური საცხოვრისის. ქირის ოდენობის გაზრდაც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული გზით ხდება. გაზრდაზე გადაწყვეტილებას მთავრობა იღებს (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი). ზოგიერთ ქვეყანაში ქირის ოდენობის ცვლილება ბინის მესაკუთრესა და დამქირავებელს შორის მოლაპარაკების გზით ხდება (შვედეთი).

საცხოვრისის ექსპერტებს შორის არ არის მიღწეული შეთანხმება იმის თაობაზე, თუ სოციალური საცხოვრისის ქირის განსაზღვრის რომელი გზა იძლევა უფრო ეფექტურ შედეგს ეკონომიკური თვალსაზრისით, ხოლო ადამიანის უფლებების თვალსაზრისით უზრუნველყოფს თანასწორობას სოციალური სახლების ბენეფიციართა შორის. ქირა, რომელიც შენობის ისტორიულ ღირებულებასთან არის მიბმული, მაგრამ არ ასახავს მიმდინარე საბაზრო ფასებს, იწვევს ეკონომიკური ეფექტურობიდან გადახრას. ამიტომ ზოგ

ექსპერტს მიაჩნია, რომ ქირა უნდა ჩამოცილდეს შენობის ისტორიულ ღირებულებას და გახდეს უფრო ბაზარზე ორიენტირებული.

სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა შემოსავალზე მიბმული ქირაც (ირლანდია, გერმანიის ნაწილი), რაც გულისხმობს, რომ ქირის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა შემოსავლების დადგენილ წილს, არ გამომდინარეობს საბაზრო ურთიერთობებიდან და ექსპერტები მისი წინააღმდეგები არიან. ქვეყნებს, სადაც ქირა მიბმულია შემოსავლებზე სოციალური საცხოვრებელი მცირე რაოდენობით აქვთ და წარმოიქმნება მისი დეფიციტი. ხოლო ქვეყნებში, სადაც ქირა დაბალია და ამიტომ საცხოვრისი ხელმისაწვდომია (უნგრეთი, ირლანდია) ქირიდან შემოსული თანხების ოდენობა ვერ ფარავს მათ ადმინისტრირებასა და შენახვაზე გაწეულ ხარჯებს. ასევე უნდა ითქვას, რომ ქირის ოდენობაზე მოქმედებს სახელმწიფოს მიერ გაცემული საცხოვრისის შემწეობა. ასეთი შემწეობები არ არსებობს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რაც ქმნის საცხოვრისის ხელმისაწვდომობისა და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

სოციალური საცხოვრისით სარგებლობის უფლება

მრავალ ევროპულ ქვეყანაში დაწესებულია შინამეურნეობის ზედა ზღვრული შემოსავალი, რომელიც ზღუდავს ოჯახის უფლებას ისარგებლოს სოციალური საცხოვრისით. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ეს ზღვარი ისე მაღლაა დაფიქსირებული, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ხვდება პოტენციურ ბენეფიციარ პირთა წრეში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი.

ცხრილი 2

	შემოსავლის ზედა ზღვარის კრიტერიუმის არსებობა	მოსახლეობის %, რომელსაც აქვს უფლება ისარგებლოს სოციალური საცხოვრისით	ზომები, რომელიც მიიღება თუ ბენეფიციარი ოჯახის შემოსავალი გადააჭარბებს ზღვრულ ოდენობას
ავსტრია	+	80-90	ქირა არ იცვლება
დიდი ბრიტანეთი	-	100	ინფორმაცია არ არის
გერმანია	+	20	ქირა შეიძლება გაიზარდოს
დანია	-	100	ინფორმაცია არ არის
ირლანდია	+	ძალიან შეზღუდული	ქირა იზრდება
ნიდერლანდები	+	40-მდე	ქირა არ იცვლება
უნგრეთი	+	ძალიან შეზღუდული	ინფორმაცია არ არის
საფრანგეთი	+	30-80	ქირა ოდნავ იზრდება
შვედეთი	-	100	ინფორმაცია არ არის

სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარ პირთა წრე

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა შერჩევის შემდეგი სქემაა გავრცელებული: ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც შეუძლია ისარგებლოს სოციალური საცხოვრისით, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება სწავლობს მათ შესაბამისობას კრიტერიუმებთან და უზრუნველყოფს მათ საცხოვრისით. ხშირად სოციალურ საცხოვრისში მოხვედრის პრიორიტეტი აქვთ საჯარო სექტორში მომუშავეებს, როგორიცაა მასწავლებლები, პოლიციელები, მეხანძრეები, საავადმყოფოების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პერსონალი და ა.შ. ასეთი პოლიტიკა არის გაზრდილი სეგრეგაციის დამარცხების ევროპული დღის წესრიგის გამოძახილი. მაგრამ მეორეს მხრივ, პრობლემის ასეთი გადაწყვეტა ქმნის ახალ პრობლემას: თუ სოციალურ საცხოვრისში შეასახლებენ საჯარო სექტორის დაბალშემოსავლიან მოხელეებს,

სად და როგორ განაწილდებიან ღატაკები და სპეციალური საჭიროებების მქონე პირები, რომელთა რიცხვი აგრეთვე დიდია?

საცხოვრისი მოწყვლადი ფენისათვის – „ჭეშმარიტად სოციალური“ საცხოვრისი

ევროპის უმრავლეს ქვეყნებში სოციალური საცხოვრისი გამოიყენება მოსახლეობის ისეთი მოწყვლადი ფენების შესასახლებლად, როგორიცაა უსახლკაროები, ფსიქიატრიული კლინიკების ყოფილი პაციენტები, მავნე ნივთიერებებზე ყოფილი დამოკიდებულები, ქალები-ოჯახური ძალადობის მსხვერპლები. საცხოვრისი ამ მოწყვლადი ჯგუფებისათვის „ჭეშმარიტად სოციალურ“ საცხოვრისად არის აღიარებული და მიეწოდება მათ საცხოვრისის სხვადასხვა ტიპის მესაკუთრის მეშვეობით: მუნიციპალიტეტი ან რომელიმე მოწყვლად ჯგუფზე მიზანმიმართულად მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია. დღის წესრიგში დგას სოციალური სახლების სამიზნე ჯგუფის საკითხიც: ვისთვის უნდა იყოს განკუთვნილი სოციალური სახლები? მომუშავე, მაგრამ დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობებისათვის თუ საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენებისათვის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ევროპის ქვეყნების შედარება მოწყვლადი ჯგუფების სხვადასხვა ტიპის საცხოვრისში განთავსების მხრივ.

ცხრილი 3

	კერძო სექტორი	მუნიციპალიტეტის საკუთრება	სოციალური ინსტიტუციები
ავსტრია	+ (მიგრანტები)	ზოგიერთ ქალაქში გადაუდებელი აუცილებლობის დროს ხდება მუნიციპალურ სახლებში ოჯახების განთავსება	თავშესაფრის მაძიებლები, უსახლკარო პირები განთავსებულია საქველმოქმედო ინსტიტუციებში
დიდი ბრიტანეთი	+	მოწყვლადთა მაღალი კონცენტრაცია	უსახლკაროთა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა თავშესაფრები
გერმანია	+	მუნიციპალიტეტების ფუნქციაა მოწყვლადთა განსახლება	
დანია	+	ძალიან დიდი რაოდენობის მოწყვლადი მოსახლეობის განსახლება მუნიციპალურ სახლებში	უსახლკაროთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა სოციალური ინსტიტუციების მიერ
ირლანდია	+		
ნიდერლანდები	5%	მუნიციპალიტეტები არ მონაწილეობენ მოწყვლადი ფენების განსახლებაში. უბინაო მოსახლეობის 65% დასახლებულია საცხოვრისის ასოციაციების საკუთრებაში არსებულ ბინებში	30%
უნგრეთი	-	ძალიან შეზღუდული რაოდენობის მოწყვლადთა განთავსება მუნიციპალურ საცხოვრისში	
საფრანგეთი	+ (მაგრამ სფერო მცირდება, სხვა საცხოვრისებს ეძლევათ უპირატესობა)	მუნიციპალურ საცხოვრისში მოწყვლადთა განთავსება არ გდება, თუმცა მუნიციპალიტეტების ვალდებულებაა დაეხმარონ მოწყვლად ოჯახებს საცხოვრისის მოძიებაში	საფრანგეთში ეს პრაქტიკა არ არის. ხდება უსახლკაროთა მხოლოდ დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ
შვედეთი	+ (ახალგაზრდა დაუოჯახებელი პირები)	ღატაკი ოჯახები ცხოვრობენ მუნიციპალურ საცხოვრისში	

სოციალური საცხოვრისის დემოგრაფია

ევროპის ქვეყნებში სოციალურ საცხოვრისს ჰყავს თავის სამიზნე ჯგუფები. ესენია: მარტოხელა ან მრავალშვილიანი ოჯახები, ხანდაზმულები ან ძალიან ახალგაზრდები. საშუალო დონის შემოსავლების მქონე საშუალო სტატისტიკური ორ მშობლიანი შინამეურნეობები უპირატესობას ანიჭებენ თავიანთ საკუთრებაში არსებულ საცხოვრისს. ამგვარად, ბევრ ევროპულ ქვეყანას შემუშავებული აქვს სპეციალური მხარდამჭერი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს საშუალო ფენების გასვლას სოციალური საცხოვრისიდან. თუმცა, სპეციალისტების აზრით სოციალურ საცხოვრისებს ახასიათებს სოციალური სეგრეგაცია და პოლარიზაცია.

ცხრილი 4 ევროპის სოციალური საცხოვრისი დემოგრაფიული ვითარება

	ბენეფიციართა ტიპი
ავსტრია	ახალგაზრდა ოჯახები ან მარტოხელა მოხუცების ოჯახები
დიდი ბრიტანეთი	ხანდაზმულები, მარტოხელა მშობლები, მარტოხელა პირები
გერმანია	ხანდაზმულები
დანია	ერთი მშობლისაგან შემდგარი ოჯახი ბავშვებით
ირლანდია	მარტოხელა მშობლები, ბავშვებიანი წყვილები
ნიდერლანდები	საშუალო ასაკზე უფროსები და უმცროსები
საფრანგეთი	მარტოხელა მშობლები, ბავშვებიანი წყვილები
შვედეთი	მარტოხელა მშობლები, მარტოხელა მოხუცები

სოციალური საცხოვრისის ეთნიკური შემადგენლობა არის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა. მაგალითად, საფრანგეთში აკრძალულია ინფორმაციის შეგროვება ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური კუთვნილების შესახებ. ავსტრიაში კი ოფიციალური სტატისტიკა მოიპოვება ზოგადად ყველა მოქალაქის შესახებ და არ იძლევა ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფის საშუალებას.

საცხოვრისის სუბსიდიები

სოციალური საცხოვრისის სისტემის მუშაობა მჭიდრო კავშირშია სოციალური დაცვის სისტემასთან, კერძოდ კი საცხოვრისის ინდივიდუალურ სუბსიდიებთან. სხვადასხვა ქვეყნებში მას განსხვავებული სახელწოდებებით მოიხსენიებენ: ქირის გადასახადი, საცხოვრისის შემწეობა/დახმარება, დანამატი ქირის გადასახდელად და სხვა. ირლანდიის გარდა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ასეთი სუბსიდიის მიღება შეუძლია როგორც სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებ, ისე კერძო სექტორში ბინის დამქირავებლებს. ზოგ ქვეყანაში კი საცხოვრისის სუბსიდიას ბინის მესაკუთრეებიც იღებენ. შემდეგ ცხრილში მოცემულია მონაცემები თუ ვის შეუძლია მიიღოს სუბსიდია, რა პირობებით და რა რაოდენობით.

ცხრილი 5. ქირის სუბსიდიის მიღების პირობები ქვეყნების მიხედვით

	ვიზე ვრცელდება სუბსიდიის მიღების უფლება	სუბსიდიის მიღების პირობები	სუბსიდიის ოდენობა
ავსტრია	ა) სოციალურ სექტორში ბ) კერძო სექტორში ბინის დამქირავებელი, გ) ბინის მესაკუთრე	სუბსიდიის დანიშვნა-არდანიშვნა და მისი ოდენობა დამოკიდებულია შემოსავლის და ქირის ოდენობაზე	
დიდი ბრიტანეთი	ა) სოციალურ სექტორში ბ) კერძო სექტორში ბინის დამქირავებელი,	დამოკიდებულია ქირის ზომასა და ოჯახის შემოსავალზე	ქირის 100% სოციალურ სექტორში და იშვიათად სრულ ოდენობას კერძო სექტორში
გერმანია	ა) სოციალურ სექტორში ბ) კერძო სექტორში ბინის დამქირავებელი, გ) ბინის მესაკუთრე	სოციალური შემწეობის მიმღები პირები იღებენ ქირის სუბსიდიის 100% , ხოლო საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე პირები იღებენ ქირის სუბსიდიის ნაწილს	
დანია	ა) სოციალურ სექტორში ბ) კერძო სექტორში ბინის დამქირავებელი, გ) ბინის მესაკუთრე პენსიონრები	დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები, რომლებშიც ცხოვრობენ ბავშვები და/ან საპენსიო ასაკის პირები	მაქსიმუმ 410 ევრო
ირლანდია	კერძო სექტორში ბინის დამქირავებელი	სოციალური შემწეობის მიმღები ან შრომის ბაზარზე დაბრუნების სქემების მონაწილენი	ქირის 90%
ნიდერლანდები	ა) სოციალურ სექტორში ბ) კერძო სექტორში ბინის დამქირავებელი,	ოჯახები, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ და ქირა თვეში 541 ევროზე დაბალია	მაქსიმუმ 300 ევრო თვეში
საფრანგეთი	ა) სოციალურ სექტორში ბ) კერძო სექტორში ბინის დამქირავებელი გ) ბინის მესაკუთრე	დამოკიდებულია ოჯახის ზომასა და მის შემოსავალზე	ღატაკის შემთხვევაში 100%-მდე
შვედეთი	ა) სოციალურ სექტორში ბ) კერძო სექტორში ბინის დამქირავებელი, გ) ბინის მესაკუთრე	ოჯახები, პენსიონრები, ახალგაზრდები	დამოკიდებულია შემოსავლისა და ქირის ოდენობაზე

გამოყენებული ლიტერატურა:

Guidelines on Social Housing, Principles and Expamles. (2006). Economic Comission for Europe, Geneva, United Nations, New York and Geneve. Chapter ll, The Role of Social Housing in Housing Policies.

Oxley, M. (2000, June). *The Future of Social Housing, Learning from Europe. Housing Policies in Practice, Key Points Based on Eperience in other Countries.* Paper presented at IPPR forum of Paul Hamlyn Foundation.

თავი 3: უფლება საცხოვრისზე – სამართლებრივი ჩარჩო

დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში „უფლება საცხოვრისზე» არის განსზღვრული და დაცულია განსხვავებულად. ასეთი უფლება ყველა ქვეყანას არ აქვს კონსტიტუციურად აღიარებული. იმ ქვეყნებში, სადაც ეს უფლება აღიარებულია (მაგალითად, ფინეთი, პოლონეთი, პორტუგალია და ესპანეთი) კონსტიტუციით დაცული უფლებები შეიძლება განსხვავდებოდეს: კონსტიტუციები შეიძლება ავალებდნენ ხელისუფლებებს, უზრუნველყონ ყველას საბინაო უფლება და ამისათვის განახორციელონ კონკრეტული ქმედებანი. ნაცვლად ამისა, მათ შეიძლება უბრალოდ აღნიშნონ პიროვნების უფლება საცხოვრისზე. ამ უკანასკნელი მიდგომის მაგალითია პორტუგალიის 1976 წლის კონსტიტუცია. მისი 65–ე მუხლის თანახმად: «ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ადეკვატური ზომის საცხოვრებელი, რომელიც აკმაყოფილებს ჰიგიენის, კომფორტის და პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის შენარჩუნების სტანდარტებს.» საცხოვრისზე უფლება შეიძლება მხოლოდ მოცემული ქვეყნის მოქალაქეებისათვის იყოს განსაზღვრული. მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციის 47–ე მუხლით «ყველა ესპანელს აქვს უფლება ჰქონდეს ღირსეული და ადეკვატური საცხოვრებელი. საჯარო ხელისუფლებას ევალება ხელი შეუწყოს საჭირო პირობების შექმნას ამისათვის და დაადგინოს შესაბამისი სტანდარტები, რათა უზრუნველყოს ამ უფლების განხორციელების ეფექტურობა».

უფლება საცხოვრისზე და მისი გამოყენება

საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, საცხოვრისთან და უსახლკარობასთან დაკავშირებით, შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. ბევრ ქვეყანაში, საცხოვრისთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით. ყველაზე მნიშვნელოვანია კანონები, რომლებიც არეგულირებენ სოციალური საცხოვრისის დაფინანსებას და მასზე ხელმისაწვდომობას. თითქმის ყველა ქვეყანას აქვს საცხოვრისის შესახებ კანონი. გერმანიაში ეს არის 2001 წლის კანონი სოციალური საცხოვრისის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. სხვა საკითხებთან ერთად, იგი ეხება გარანტიებს მინიმალური საცხოვრისით უზრუნველყოფის უფლებაზე და კეთილდღეობის სხვა სარგებლებზე (welfare benefits) . ნიდერლანდებს აქვს ორი კანონი, რომლებიც არეგულირებენ როგორც სამშენებლო სტანდარტებს, ასევე, სუბსიდიებს საცხოვრისის მშენებლობისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის. კონსტიტუციურ დებულებებზე დაყრდნობით პოლონეთის პარლამენტმა მიიღო მრავალი კანონი მობინადრეთა უფლებებისა და საცხოვრისის დაფინანსების შესახებ. ბრიტანეთის საბინაო აქტი ავალდებულებს ადგილობრივ ხელისუფლებას დააბინაოს უსახლკაროები. ეს მაგალითები მიუთითებენ სხვადასხვა ქვეყნებში საცხოვრისთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების მრავალფეროვნებაზე.

ქვეყნების ფედერალური/ცენტრალური და რეგიონული/ადგილობრივი კანონმდებლობა შესაბამისი დონის პოლიტიკებთან ერთად ასახავს მათ ძალისხმევას იკისრონ საცხოვრისთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა, მათ შორის სოციალურ საცხოვრისთან. სოციალური საცხოვრებლით უზრუნველყოფის საქმეში დაფინანსების ნორმები გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამგვარი დაფინანსების უზრუნველმყოფი კანონები აქვს მრავალ ქვეყანას; მაგალითებია – ავსტრია, დანია, ფინეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, პოლონეთი და პორტუგალია.

სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის სამიზნე ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად განსხვავდება. კანონები შეიძლება განსაზღვრავდნენ ამ ჯგუფებს როგორც “მთელ მოსახლეობას”, “ყველას” ან “ყოველ მოქალაქეს“, ანდა იფარგლებოდნენ მხოლოდ სპეციფიური ჯგუფებით როგორიცაა ორსული ქალები, ოჯახი, ბავშვები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და უსახლკარონი. ბევრი ნორმა/რეგულაცია მოიცავს საცხოვრისთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა

მდგრადობა, ენერგო ეფექტურობა, და გენდერული თანასწორობა. სამიზნე ჯგუფების შეზღუდვის ტენდენციას ადგილი აქვს მწირი დაფინანსების გამო.

სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის და უსახლკარობის თავიდან აცილების ხელშეწყობა საჭიროებს საცხოვრისის დაფინანსების რეგულაციებს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა კიდევ სხვა კანონებიც. სრულიად დახვეწილი სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს, ასევე, საცხოვრისთან დაკავშირებულ კანონებს და კანონქვემდებარე აქტებს სოციალური საცხოვრისის შესახებ, მათ შორის დაფინანსების კანონებს (სუბსიდირების, გადასახადების, სპეციფიური მიზნობრივი ჯგუფებისათვის სესხების და პროგრამების შესახებ), ბინის გაქირავების კანონებს და გაქირავების კონტროლის წესებს, მიწის და იპოთეკის კანონებს, კონდომინიუმების და კოოპერატიული ბინათმშენებლობის კანონებს, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და ენერგიის დაზოგვის სტანდარტებს.

ძირითადი ტენდენციები

ცენტრალური ხელისუფლება სულ უფრო და უფრო იშორებს თავიდან საცხოვრისის პოლიტიკაზე პასუხისმგებლობას და გადასცემს მას ადგილობრივ ხელისუფლებებს. საცხოვრისის/საბინაო კანონმდებლობის და პოლიტიკის განხორციელება ხდება ადგილობრივ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ესეთი რამ არ არის ახალი ისეთი ფედერალური სისტემებისათვის, როგორიცაა ავსტრია და გერმანია, ეს სიახლეა წარსულში ცენტრალიზებული ქვეყნებისათვის, როგორებიცაა გარდამავალი (ცვლილების პროცესში მყოფი) პოლიტიკური სისტემების ქვეყნები (countries in transition).

ადგილობრივად მოსაგვარებელი ბევრი ამოცანა და პრობლემა იწვევს თანამშრომლობის ზრდას სხვადასხვა ადგილობრივი აქტორებს (მოქმედ პირებს) შორის, როგორებიცაა მუნიციპალიტეტები, სამშენებლო კომპანიები, საბინაო კოოპერატივები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოქალაქეები. ფინანსურმა თანამშრომლობამ შეიძლება მიიღოს თანადაფინანსების ფორმა სხვადასხვა ადმინისტრაციული დონის ჩართულობით (ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი). ასეთი რამ ხდება, მაგალითად, ავსტრიაში, გერმანიაში, იტალიასა და შვედეთში.

მიუხედავად პასუხისმგებლობის დელეგირების (გადაცემის), დეცენტრალიზაციისა და პრივატიზაციის ზოგადი ტენდენციისა კომპეტენციების მკაფიო სტრუქტურა და ამოცანების ნათელი განაწილება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საერთო ჩარჩო მაინც უნდა დადგინდეს ცენტრალურ დონეზე მაშინ, როცა რეგიონალურმა თუ ადგილობრივმა დონეებმა უნდა ითავონ აღსრულებისა და ჩარჩო რეგულაციების ადგილობრივ საჭიროებებთან ადაპტაციის საქმე. კომპეტენციების და ამოცანების განაწილება უნდა ხდებოდეს სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან რესურსების განაწილებასთან მჭიდრო კავშირში.

მზარდი აქცენტი საკონტრაქტო ურთიერთობასა და ხელშეკრულებებზე

საჯარო ამოცანები და საჯარო დაფინანსების შემცირებასთან ერთად იზრდება კერძო თანამშრომლობა სახელშეკრულებო შეთანხმებების გზით. აქცენტმა გადაინაცვლა სახელმწიფო რეგულაციებიდან საჯარო–კერძო პარტნიორობასა (public-private partnerships) და კონტრაქტებზე. ამჟამად სრული მომსახურების მიმწოდებელი საბინაო კომპანიები ითვლებიან ნორმად. ისინი აკეთებენ ყველაფერს დაგეგმვიდან დაწყებული, მშენებლობით, საბინაო ფონდის გაქირავებით და ბინების გაყიდვით დამთავრებული. საჯარო–კერძო პარტნიორობა მყარდება საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო შეთანხმებების საფუძველზე. ეს შეთანხმებები შეიძლება შეეხოს ისეთ ამოცანებს, როგორიცაა კერძო კომპანიის მიერ საცხოვრებლის მიწოდება ხელმისაწვდომობა შეზღუდული ოჯახებისათვის; ბინათმშენებლობა და საბინაო ფონდის მართვა; მოიჯარეების და გაქირავების ადმინისტრირება; და მოიჯარეებისათვის ისეთი ფინანსური, სოციალური,

ჯანმრთელობის ან სხვა პრობლემების მოგვარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბინის ქირაობის ხელშეკრულებაზე.

სახელშეკრულებო შეთანხმებების მართვა უნდა მოხდეს საბინაო ფონდის პრივატიზაციის კონტექსტში. პრივატიზაცია გარდამავალი პოლიტიკური სიტემის ქვეყნებში ნიშნავდა მაცხოვრებლებისათვის ან მუნიციპალიტეტებისათვის სახელმწიფო საბინაო ფონდის საკუთრებაში გადაცემას.

დასავლეთ ევროპაში პრივატიზაციამ უკვე გამოიწვია საჯარო (სახელმწიფო ან მუნიციპალური) საბინაო ფონდის კერძო კომპანიების ხელში ფართომასშტაბიანი გადასვლა. პრივატიზაციის შედეგი იყო საჯარო ორგანოების, ძირითადად მუნიციპალიტეტების, გავლენის შემცირება. გრძელვადიან პერსპექტივაში, პრივატიზაცია, სავარაუდოდ შექმნის პრობლემებს, რამდენადაც სოციალური საბინაო ფონდი ქრება, ხოლო მოთხოვნა ხელმისაწვდომი საცხოვრისზე იზრდება ზემოთაღნიშნული აღნიშნული სამიზნე ჯგუფების ზრდასთან ერთად.

რეკომენდაციები

1. სოციალური საცხოვრისისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნასა და გაუმჯობესებაში, უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი ასპექტი, კერძოდ კი შემდეგი:

დაფინანსება: სოციალური საცხოვრისის სამართლებრივი ჩარჩო/ბაზა უნდა შეიცავდეს დაფინანსების კანონებს (სუბსიდირება, საგადასახადო შეღავათები, სესხები და პროგრამები სპეციალური მიზნობრივი ჯგუფებისათვის და ა.შ.), მიწის და იპოთეკის კანონებს, სახლის გადარჩენის საბანკო რეგულაციების და ადმინისტრაციულ და პროცესუალური კანონებს, რამდენადაც დემოკრატიულ და გამჭვირვალე პროცედურებს დიდი წვლილი შეაქვთ უფლებების განხორციელებაში.

იჯარის კანონი: ეს კანონი უნდა მოიცავდეს ქირის დადგენას, მოიჯარეების უსაფრთხოებას; ასევე, შენარჩუნების, მომსახურების, შეკეთების და მართვის ხარჯებს. საკანონმდებლო ბაზა შესაძლოა, ასევე ითვალისწინებს გაქირავების კონტროლს. საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია გაქირავების კონტროლის კანონების გამოყენება სამოქალაქო სამართლე დაფუძნებული საკონტაქტო შეთანხმებების დანამატად. მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ მოიჯარეებს უფლება მოითხოვონ ქირის შემცირება, თუ არსებობს ქირის დადგენილი ლიმიტები. საპროცესო კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს მეპატრონის უფლებას გაასაჩივროს ქირის შემცირების ეს მოთხოვნა. ცენტრალური მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შეზღუდონ ჩარევა საგანგებო სიტუაციებით, როგორიცაა ზღვარსგადასული ქირა ან საშიში და არაჯანსაღი საცხოვრებელი პირობები.

იჯარის კანონი, გაგებული როგორც საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი ინსტრუმენტი, ასევე უნდა უზრუნველყოფდეს მფლობელის უფლებას გააფრთხილოს (განსაკუთრებით ქირის გადაუხდელობის და მოიჯარის მიუღებელი ქცევის შემთხვევებში) და გამოასახლოს მდგმური სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. პრინციპში, თუ სასამართლო გადაწყვეტს გამოსახლებას მდგმურმა უნდა დატოვოს ბინა და მოძებნოს ახალი საცხოვრისი. ამ კონტექსტში აუცილებელია სოციალური დაცვის მექანიზმები, რათა თავიდან ავიცილოთ უსახლკარობა. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სამართლებრივი ტრადიცია გამოსახლებას აქცევს არაეფექტურ სამართლებრივ ინსტრუმენტად. ამ ქვეყნებში გამოსახლების ნების დართვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბინათმფლობელი უზრუნველყოფს ალტერნატიულ საცხოვრებელს,

კანონმდებლობა უსახლკარობის შესახებ და მისი პრევენცია: ხშირად ადგილობრივ ხელისუფლებათა პასუხისმგებლობაა უსახლკარობის თავიდან აცილება და უსახლკაროებზე ზრუნვა. ტრადიციულად მათ ერგებათ ასევე უსახლკაროთა საცხოვრისით უზრუნველყოფის ფინანსური ტვირთი. მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ სამართლებრივ ინსტრუმენტად გამოიყენონ უფლება დააბრუნოს მდგმური იმავე ბინაში შესაბამისი ქირის გადახდით

(თუ მოიჯარეს ეს არ ძალუძს). გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს შეუძლია დაფაროს მდგმურის დავალიანება, რათა თავიდან აიცილოს გამოსახლება (მაგალითად, გერმანიაში). მუნიციპალიტეტები, ასევე, შეიძლება ფლობდნენ საკუთარ თავშესაფარს უსახლკაროთათვის ან ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობდნენ სოციალური საცხოვრისის მფლობელებთან (ხშირად მუნიციპალური საბინაო კომპანიები). ბოლოდროინდელი მიდგომა არის ფართო და ინტეგრირებული, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ საცხოვრისის შეთავაზებას, არამედ დახმარებას სხვა პრობლემების მოგვარებაშიც, როგორიცაა დავალიანება, უმუშევრობა, ავადმყოფობა და მავნე ჩვევები. სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომელიც ასეთ საქმიანობას უდევს საფუძვლად, შეიძლება წარმოადგენდეს საბინაო კანონებს, კეთილდღეობის კანონმდებლობას ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის კანონებს.

კონდომინუმების და კოოპერატიული ბინათმშენებლობის კანონები: ეს არის მნიშვნელოვანი არა მარტო გარდამავალი პოლიტიკური სისტემის ქვეყნებში, სადაც ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია მოხდა და პრივატიზებული საბინაო ფონდის ორგანიზების ახალი ფორმების აუცილებლობა დადგა (კონდომინიუმების კანონმდებლობით ან კოოპერატიული ბინათმშენებლობის კანონების აღორძინებით), არამედ დასავლეთ ევროპაშიც, სადაც კონდომინიუმების და კოოპერატივების საკუთრების და საბინაო ფონდის მართვის საკითხები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

დაგეგმვა, მშენებლობა, ურბანული განახლების და სამშენებლო კანონები და უსაფრთხოების, მინიმალური ფართის, აღჭურვისა და ენერგიის მოხმარების სტანდარტები: მაშინ, როცა ჩვეულებრივ ცენტრალური ხელისუფლება ადგენს ზოგად სტანდარტებს, მათი დეტალიზაცია და აღსრულება სულ უფრო და უფრო მეტად ხდება ადგილობრივი ხელისუფლების ამოცანა. ამის ბოლოდროინდელი მაგალითებია მუნიციპალური კონცეფციების შემუშავება სოციალური საცხოვრისის მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ, რათა უკეთ იქნეს დაგეგმილი, თუ სად და როგორ უნდა გადანაწილდეს არსებული საშუალებები.

საკონტაქტო შეთანხმებები საჯარო–კერძო პარტნიორობისათვის სხვადასხვა კანონების კონტექსტში (ურბანული დაგეგმვის სამართალი, სამოქალაქო სამართალი): იზრდება მნიშვნელობა და სპექტრი ბინათმშენებლობაზე განაცხადებებისა, რომლებიც განპირობებულია ურბანული დაგეგმვის ნორმებისა და სამოქალაქო კანონმდებლობის ბაზაზე შედგენილი საკონტრაქტო შეთანხმებებით. "ტრადიციული" მიდგომად რჩება კერძო მეპატრონის ან საბინაო კომპანიის მიერ საჯარო დაფინანსებით განხორციელებული (სოციალური) საბინაო მშენებლობა, როცა ბინების განაწილების უფლებები მუნიციპალიტეტების ხელშია. პარტნიორობის ბოლოდროინდელი ფორმები გავრცელდა ინფრასტრუქტურის სექტორშიც, ისეთ აქტივობებზე, რომლებიც საცხოვრისთანაა დაკავშირებული – სამეზობლო აქტივობები. მაგალითად, კერძო პარტნიორების შენატანები სულ უფრო იზრდება მაშინ, როცა ხშირად მუნიციპალიტეტებს აღარ ძალუძთ საკუთრებაში (ბინათმფლობელობაში) ინვესტირება.

2. თითოეულ ეროვნულ კანონმდებლობა არჩევს სხვადასხვა სამართლებრივ იარაღებს, როგორიცაა კონსტიტუციური უფლებები, ფედერალური აქტები, ბრძანებების ან აქტორებს შორის სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმებები. სოციალური საცხოვრისისათვის მნიშვნელობა აქვს არა თვითონ ფორმალური სამართლებრივ იარაღს, არამედ კომპეტენციების, ამოცანების, და ფინანსური საშუალებების განაწილებას.

3. ფუნქციონირებადი ინსტიტუციური ჩარჩო არის წინაპირობა ნებისმიერი კანონმდებლობის მოთხოვნათა განხორციელებისათვის.

- ადგილობრივი დონის აქტორების (მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი ოპერატორები – საცხოვრებელი კომპანიები, საბინაო კოოპერატივები, არასამთავრობო

ორგანიზაციები და ა.შ.) როლის სულ უფრო და უფრო ზრდას თან უნდა ახლდეს შესაფერისი სამართლებრივი უზრუნველყოფა.

- საბინაო კანონმდებლობა აღარ ეხება მხოლოდ ღირსეული საცხოვრისის მშენებლობას და დაფინანსებას, არამედ გადაჯაჭვულია სოციალურ საკითხებთან. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად არის მზად ადგილობრივი ხელისუფლება თავი გაართვას საბინაო პრობლემატიკის დაძლევას ამ ფართო გაგებით: მუნიციპალიტეტების ვალდებულებებთან დაკავშირებული კანონები კოოპერაციისა და დაფინანსების შესახებ; ცენტრალური და რეგიონალური მთავრობების სამართლებრივი მექანიზმები სხვადასხვა ბიუჯეტებიდან (სოციალური, შრომის, საცხოვრისის, და ა.შ.) ერთობლივი დაფინანსებისათვის; საჯარო და კერძო აქტორებს შორის სავალდებულო და ფორმალიზებული თანამშრომლობის დებულებები – ყოველივე ეს ერთობლიობაში არის ის რაც მოითხოვება საცხოვრისით უზრუნველყოფის კანონების განხორციელებისათვის. წარმატებისათვის, სოციალური საცხოვრისის პოლიტიკები უნდა მოერგოს ჯანსაღ და ხარჯეფექტიან ინსტიტუციურ სტრუქტურას, რომელიც საშუალებას იძლევა სამთავრობო ორგანიზაციებმა იმუშაონ ეფექტურად და ითანამშრომლონ სხვა დაინტერესებული პირებთან.
- მუნიციპალიტეტები უკვე მოქმედებენ, როგორც ინიციატორები და ფასილიტატორები საბინაო კომპანიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საბინაო კოოპერატივების, კერძო ბინათმფლობელების, ინვესტორების, საწარმოების და ბანკების ერთობლივი ძალისხმევისა. ეს ძალისხმევა ეხება არა მხოლოდ ბინების და სახლების მიწოდებას, არამედ მუნიციპალური კვარტალების მდგრად შენარჩუნებას და კეთილმოწყობასაც. შესაფერისი ფინანსური სახსრების გამოყოფის პარალელურად კომპეტენციების, მოვალეობების, და ამოცანების კანონიერი განაწილება არის კანონით დაკისრებული ნებისმიერი ამოცანის/მიზნის განხორციელების წარმატების მაჩვენებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Guidelines on Social Housing, Principles and Expamles. (2006). Economic Comission for Europe, Geneva, United Nations, New York and Geneve. Chapter IV, The Legel Framework.

თავი 4: ინსტიტუციური ჩარჩო

ამ თავში აღწერილია სოციალური საცხოვრისის ინსტიტუციური ჩარჩოს საერთო მახასიათებლები გაეროს ევროპის კომისიის რეგიონის ქვეყნებისათვის[2]. შევეხებით მთავარი ინსტიტუციური პროცესებს, მათ დეფინიციებს, და მათ განაწილებას რეგიონის სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტებს შორის.

განსხვავებული ინსტიტუციური ჩარჩოები

ინსტიტუციური ჩარჩოს დეტალები თითოეული ქვეყნაში უნიკალურია და ასახავს მისთვის დამახასიათებელ გარემოებებს და ისტორიას. მიუხედავად ამისა, ევროპაში არსებობს მსგავსება სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობის განაწილების მხივ საჯარო სექტორს (ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე), კერძო სექტორს, სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებსა და ოჯახებს[3] შორის.

სოციალური საცხოვრისით ეფექტური უზრუნველყოფა დამოკიდებულია ინსტიტუციონალური გადაწყვეტების გამჭვირვალე და კარგად შედგენილ ერთობლიობაზე. ეს ის გადაწყვეტებია, რომელიც აკავშირებს ურთიერთგაგების მქონე და კოორდინირებულ სხვადასხვა აქტორს. ინსტიტუციური გადაწყვეტილებები იშვიათადაა გაყინული და განიცდის ცვლილებას და განვითარებას ყველა ქვეყანაში.

მთავარი ის არის, რომ განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, ყველა აქტორი მხედველობაში იღებს სოციალური საცხოვრისის პოლიტიკის არა მხოლოდ ტექნიკური ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ განვითარებას, არამედ სოციალური საცხოვრისის პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების ადეკვატურობას. იქ, სადაც ამ მხრივ დეფიციტია, სტრატეგიები და გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ამ ინსტიტუტების განვითარებისთვის საჭირო მექანიზმებს და რესურსებს (უნარების განვითარების პროგრამები).

წარმატების საწინდარი

წარმატების მისაღწევად, სოციალური საცხოვრისის პოლიტიკები უნდა იყოს ჩართული ჯანსაღ და ეფექტურ ინსტიტუციურ სტრუქტურაში, რომელიც იძლევა საშუალებას, როგორც ყველა სამთავრობო ინსტიტუტის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, ასევე მათი ერთმანეთს შორის და სხვა აქტორებთან თანამშრომლობისათვის.

როლების განაწილება ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, ასევე დეველოპერებს, ბინათმფლობელებს, მენეჯერებსა და ინვესტორებს შორის დამოკიდებული იქნება არსებულ გადაწყვეტებზე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. როლები უნდა იყოს მკაფიო და უნდა ასახავდეს პასუხისმგებლობისა და რისკის ყველაზე ეფექტური განაწილებას. პასუხისმგებლობისა და რესურსების შესაფერისი განაწილება ეფექტური სოციალური საცხოვრისის პოლიტიკის მთავარი მახასიათებელია.

სოციალური საცხოვრისის პოლიტიკა აღმოჩნდა წარმატებული იქ, სადაც მთავრობა ცდილობდა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას და აქტიურად იყო ჩართული პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაში. ეს მოიცავდა თანამშრომლობას ხელისუფლების ყველა დონეზე და კერძო და სამოქალაქო სექტორების ორგანიზაციების მონაწილეობას ეროვნული და ადგილობრივი დონის პოლიტიკების დიზაინსა და განხორციელებაში.

ქვემოთ განვიხილავთ სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფაში ჩართული ინსტიტუტების (ეროვნული/ცენტრალური მთავრობები, რეგიონული/ადგილობრივი მთავ-

[2] 56 ქვეყანა ევროკავშირიდან, ევროკავშირის მიღმა მყოფი დასავლეთ და აღმოსავლეთევროპიდან, სამხრეთაღმოსავლეთი ევროპიდან, და ესენგედან და ჩრდილო ამერიკიდან http://www.unece.org/termsofreferenceandrulesofprocedureoftheunece.html

[3] ინდივიდუალურად ან ერთობლივად მოქმედება

რობები, კერძო სექტორი, სამოქალაქო/ნებაყოფილობითი/არამოგებიანი სექტორი, კოოპერატივები და ადგილობრივი თვითმმართველობა, ოჯახები) ძირითად აქტივობებს და თითოეული მათგანის როლს მათი განხორციელებისას.

1. სტრატეგია/ რეგულირება

განსაზღვრება: ეს ამოცანა ეხება სოციალური საცხოვრისის სტრატეგიის დაგეგმვისადმი მიდგომას, მათ შორის სოციალური საცხოვრისის მოთხოვნის ოდენობის, მისი დაფინანსების და მიწოდების განსაზღვრას. რეგულაციები ხშირად აწესებენ სავალდებულო შესრულების სტანდარტებს ან სხვა მოთხოვნებს იმ ინსტიტუტებისა და ინდივიდუმებისათვის, რომლებსაც აქვთ როლი სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფაში. ამას გარდა რეგულაციები ეხება ამ როლების განხორციელების უზრუნველყოფასა და ამ განხორციელების მონიტორინგს.

საცხოვრისის სტრატეგია, მათ შორის სოციალური საცხოვრისის საჭიროებები, უნდა შემუშავდეს ხელისუფლების მიერ ეროვნულ დონეზე. ეს მნიშვნელოვანია, რათა:

- განისაზღვროს საბინაო ბაზრების განვითარების მიზნები;
- განისაზღვროს სოციალური საცხოვრისის აქტივობის მიზანი და მასშტაბი ამ ბაზრების განვითარების ფარგლებში;
- განისაზღვროს ამ სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო დაფინანსების მოთხოვნები, მათ შორის როგორც ახალი სოციალური საცხოვრისის განვითარების, ასევე, არსებული სოციალური საცხოვრისის შენარჩუნებაში ინვესტირებისა და სხვა პრიორიტეტებისათვის;
- მიეწოდოს მკაფიო სიგნალები უძრავი ქონების ბაზრის ყველა მონაწილეს დაგეგმილ მიდგომების შესახებ, მათ მხარდაჭერაში სახელმწიფოს როლის შესახებ, და ამ სტრატეგიის ეფექტურობისათვის სხვა მონაწილეებისადმი წასაყენებელი მოთხოვნების შესახებ;
- მოხდეს იმის დადგენა, თუ რა ახალი კანონები სჭირდება მთავრობას ამ სტრატეგიის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

რეალისტური სტრატეგიის გასავითარებლად მთავრობებს უნდა ჰქონდეს სანდო ინფორმაცია და მოდელები ეროვნული, რეგიონული, და ადგილობრივი საბინაო ბაზრების ფუნქციონირების, ეკონომიკურ აქტივობისა და განვითარებასთან მათი კავშირების შესახებ. ეს ინფორმაცია და ანალიტიკური მოდელები ეხმარებიან მთავრობას ჩამოაყალიბოს მკაფიო ხედვა სოციალური საცხოვრისის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების დაფინანსების ინსტრუმენტების ოპტიმალური კომბინაციის შესახებ.

ამ ხედვამ, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს ბალანსი არსებული საბინაო ფონდის გაუმჯობესებას/ შენარჩუნებასა და მოიჯარეთა და მფლობელთა საცხოვრებლის ახალი ფონდის განვითარებას შორის. ამას გარდა სტრატეგიამ უნდა მიცვას, ასევე, იმის გაგება თუ რა ჯდება მთლიანობაში სოციალური საცხოვრებელი, როგორც მოკლე ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

საცხოვრისის ეროვნულმა სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს ის მხარდაჭერაც, რაც აუცილებელია იმ აქტორთა განვითარებისა და შენარჩუნებისათვის, რომლებმაც უნდა შეასრულონ სოციალური საცხოვრისისათვის საჭირო როლები; კერძოდ, ლაპარაკია არასამთავრობო–არამომგებიან და სათემო ორგანიზაციებზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყნებში, სადაც ეს ორგანიზაციები ჯერ არ არსებობენ ან არ აქვთ უნარი შეასრულონ მათთვის განკუთვნილი როლები. ასეთ ქვეყნებში, სტრატეგიის ეს ასპექტი საყრდენია ყველა დანარჩენი რეკომენდირებული სამუშაოს ეფექტურობისათვის და უნდა ითვლებოდეს პრიორიტეტულად.

ეროვნული ხელისუფლება, ასევე, უნდა იყოს პასუხისმგებელი სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის განხორციელების რეგულაციების (თუ ვინ და როგორი სისტემების

მეშვეობით ახორციელებს) და ყოველი საკვანძო ინსტიტუციური პროცესისთვის აუცილებელი სტანდარტების განსაზღვრაზე.

2. დეველოპერობა (საცხოვრისის განვითარება)

განსაზღვრება: სოციალური საცხოვრისის მშენებლობის დაკვეთა, როგორც წესი, დეველოპერის კუთვნილ ან დეველოპერისთვის სახელმწიფოს მიერ მიცემულ მიწაზე (მაგალითად, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის სავალდებულო შესყიდვის გზით).

ადგილობრივი ხელისუფლებები თამაშობენ გადამწყვეტ როლს დეველოპერობაში; კერძოდ კი შემდეგი მიმართულებებით:

- მიწის გამოყოფა
- მიწათსარგებლობის დაგეგმვა
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და მდგრადობის მოთხოვნების მხარდაჭერა
- სოციალური პოლიტიკის სხვა მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა
- ადგილობრივი თემების ჩართვის ხელშეწყობა დეველოპერული წინადადებებზე ზეგავლენის პროცესში.

იქ, სადაც საცხოვრისის განვითარება ნაწილია უფრო ფართო რეგენერაციის (საბინაო ფონდის აღდგენის) ინიციატივისა, არსებული მოიჯარეები და მაცხოვრებლები სრულად უნდა ჩაერთონ საცხოვრისის წინადადებების მომზადებაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იქ, სადაც ახალმა საცხოვრებელმა უნდა ჩაანაცვლოს უკვე არსებული.

3. მშენებლობა

განსაზღვრება: სოციალური საცხოვრისის ფიზიკური მშენებლობა, როგორც წესი, დეველოპერთან ხელშეკრულების საფუძველზე. დეველოპერული და სამშენებლო საქმიანობა ხშირად ხორციელდება ერთი და იგივე აქტორის მიერ.

სოციალური საცხოვრისის მშენებლობა ძირითადად უნდა განხორციელდეს კერძო სექტორის მიერ, დეველოპერებთან დადებული ხელშეკრულებით. ეს მიდგომა ზოგადად განიხილება ეფექტურ სტიმულად, როგორც სოციალური საცხოვრისი მოწოდების ფასების კონკურენციის, ასევე, ადგილობრივ და ეროვნულ ეკონომიკის განვითარებისათვის.

ხელისუფლებამ უნდა შექმნას ნათელი ტექნიკური სამშენებლო სტანდარტები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მშენებლობის უფრო ეფექტური და მდგრადი მეთოდების გამოყენება.

მთავრობამ, ასევე, უნდა იმუშაოს კერძო და არაკომერციული სექტორებთან მშენებლობის ინოვაციური მეთოდების გამოყენების და მიწოდების ჯაჭვის გაუმჯობესების მხარდასაჭერად. მთავრობამ შესაძლოა მხარი დაუჭიროს – როგორც წესი, მცირე მასშტაბით – ბინათმფლობელების მიერ საკუთარი საცხოვრისის განვითარებას მშენებლობის როლის თავის თავზე აღებით, როგორც ტექნიკური მხარდაჭერის (ინგლისის მაგალითი), ასევე, ფინანსური მხარდაჭერის (საბერძნეთის მაგალითი) მეშვეობით.

სოციალური საცხოვრისის დაგეგმვისას, ხელისუფლებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს სამშენებლო მეთოდების და მასალების სრულ (სიცოცხლის მანძილზე წარმოშობილ) ხარჯებზე. დეველოპერებისათვის ეს ნიშნავს უფრო მაღალ საწყის კაპიტალურ ხარჯს (და რისკს), რომელიც მათ უნდა აინაზღაურონ გაყიდვების და გაქირავების მაღალი ფასით ან სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარებით. თუმცა, ამ მიდგომას შეუძლია შეამციროს შენახვის გრძელვადიანი ხარჯები.

4. დაფინანსება

განსაზღვრება: არსებობს სხვადასხვა სახის დაფინანსება სოციალური საცხოვრისის ხელშესაწყობად. დაფინანსების აქტივობაში შედის კაპიტალის და შემოსავლების ფინანსების შემდეგი ძირითადი ფორმები: კაპიტალი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საჯარო სექტორის გრანტის, ან კერძო სესხის, ან მონაწილეთა მიერ აკუმულირებული მოგების

რეინვესტირების, ან კაპიტალური ხარჯების რემისიის სახე (მაგალითად მიწის ხარჯების შემცირება);

მფლობელის, მენეჯერის, ან ოჯახის შემოსავალი, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა ფორმა ქონდეს, მათ შორის – სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა ქირის პირდაპირი სუბსიდიის, ან საშემოსავლო გადასახადის სუბსიდიის. ეს არის სოციალური საცხოვრებლის მფლობელებისათვის იმ ფაქტობრივი ხარჯების დასაფარად, რასაც ვერ ფარავს საიჯარო შემოსავლები (განსაკუთრებით მაშინ თუკი იჯარის ოდენობა კონტროლდება კანონმდებლობით).

მთავრობებმა უნდა მოაგვარონ შემდეგი ძირითადი საკითხები:

- სხვა სფეროებში სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტებთან ბალანსი და ის მასშტაბი, რაც უნდა ჰქონდეს საბინაო ხარჯებს, რათა სხვა სფეროებში ხარჯების ეფექტურობა იქნეს მიღწეული (მაგ. ხელმისაწვდომი საცხოვრისი საჭიროა მშრომელთა მობილობის მხარდასაჭერად).
- კაპიტალისა და შემოსავლების სუბსიდიების ბალანსი და ის მასშტაბი, რაც უნდა ჰქონდეთ მათ, რათა მათი ეფექტი იყოს სამართლიანი და, საჭიროების შემთხვევაში, სიმდიდრის გადამანაწილებელი, რათა უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი დონე მოცემული დონის ხარჯისათვის — მაგალითად, ეს შეიძლება მივაღწიოთ კაპიტალის სუბსიდიების სატენდერო პროცესით განაწილების მეშვეობით.
- საბინაო ბაზრის მდგრადობა და და ის მასშტაბი, რაც უნდა ჰქონდეს საბინაო ხარჯებს, რათა თავიდან ავიცილოთ თაობათაშორისი უსამართლობა გამოწვეული საცხოვრისში, როგორც გრძელვადიანი აქტივში, არასაკმაო ინვესტირებით.
- კერძო ინვესტიციების მასშტაბის მაქსიმიზაცია.

არსებობს კერძო სექტორის ინვესტიციების და სხვა დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობები სოციალური საცხოვრისის განვითარებისათვის. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო დაფინანსებაზე ძვირი, მაგრამ ხარჯი შეიძლება შემცირდეს შემდეგნაირად:

- სოციალური საცხოვრებელი პროვაიდერების გრძელვადიანი სტაბილურობის და სესხების აღების უნარიანობის ხელშეწყობა, მათ შორის ეფექტური რეგულაციების საშუალებით;
- სუბსიდირების დაბალანსებული რეჟიმის შენარჩუნება და
- ჯანსაღი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ქონების საკუთრებასთან და დამფინანსებლების უნართან მიმართებაში გამოიყენონ სოციალური საცხოვრებელი, როგორც სესხების კოლატერალი (უზრუნველყოფა).

5. ფლობა და მენეჯმენტი

ფლობის განსაზღვრება: სოციალური საცხოვრისის ფიზიკური სტრუქტურის კანონიერი ფლობა, ხშირად, იმ მიწის ჩათვლით, რომელზეც საცხოვრისი არის აგებული. ფლობის მოვალეობები, როგორც წესი, მოიცავს საკუთრების ფინანსურ ვალდებულებებს (მათ შორის ვალის მომსახურებას და ქონების საცხოვრებად ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნებას), და სოციალური საცხოვრებლის კანონებისა და რეგულაციების მოთხოვნებისადმი დამორჩილებას (თუმცა, ხელშეკრულებით ეს შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს მართვის/მენეჯმენტის აგენტებს). სოციალური საცხოვრისის მფლობელი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ოჯახი. მფლობელი, ასევე, შეიძლება იყოს კოოპერატივი, სადაც მობინადრეების ხელშია სოციალური საცხოვრისის კოლექტიურ საკუთრება.

მართვის/მენეჯმენტის განსაზღვრება: ეს არის პასუხისმგებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სოციალური საცხოვრისის საქმიანობა, მათ შორის მაცხოვრებლების მომსახურების ადმინისტრირება, საიჯარო მოსაკრებლის შეგროვება და ვაკანტური ბინების გაქირავება, ეფექტურად განხორციელდეს. სოციალური საცხოვრისის ფიზიკური შენობების შენარჩუნება, ასევე, არის მართვის ამოცანა. ეს საქმიანობა შეიძლება თავად დაიყოს ნაწილებად: ყოველდღიური ტექნიკური მოვლა, გრძელვადიანი ციკლური სარემონტო

სამუშაოები და კაპიტალური რემონტი. მოვლა–შენარჩუნება, მსგავსად მშენებლობისა, ხშირად შეიძლება განხორციელდეს კერძო სექტორის ორგანიზაციების მიერ, მაგრამ ამ საქმიანობის დაგეგმვა, დაფინანსება და დაკვეთა, ასევე, მართვის ამოცანის ნაწილია.

სოციალური საცხოვრისის მფლობელი უკვეთავს/განსაზღვრავს მართვის აქტივობას და ფლობისა და მართვის როლები ხშირად შერწყმულია. თუმცა, მართვა შეიძლება გასხვისდეს კონტრაქტით მთელი რიგ ორგანიზაციებზე, მათ შორის კერძო და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებზე, რომელთაც ძალუძთ პროფესიონალური მენეჯმენტი, ან კოოპერატივებსა და მობინადრეთა კუთვნილ სხვა სახის მართვის ორგანიზაციებზე.

მფლობელის და დეველოპერის როლების კომბინირება ხელს უწყობს საცხოვრისის განვითარებისადმი მდგრად მიდგომას, როდესაც ფლობა იწვევს პასუხისმგებლობას საკუთრების გრძელვადიანი მართვის ეფექტურობაზე.

თუ გარემოებები იძლევა საშუალებას, სოციალური საცხოვრისის მართვა შეიძლება კონტრაქტით გასხვისებულ იქნეს მთელ რიგ ორგანიზაციებზე, რომლებიც ფაქტობრივად პროფესიული საბინაო მართვის ორგანიზაციები არიან. ესენია კერძო ფირმები, მეიჯარეთა მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი არასამთავრობო–არამომგებიანი ორგანიზაციები, და ადგილობრივი ხელისუფლების კუთვნილი კომპანიები, რომლებიც იმართებიან ადგილობრივი პოლიტიკური კონტროლისაგან დამოუკიდებლად.

მართვის ამოცანის დეტალიზება კონტრაქტის მეშვეობით გვეხმარება სისტემატური ხედვის ჩამოყალიბებაში სოციალური საბინაო ფონდის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო საქმიანობების შესახებ და იმაში, რომ პასუხისმგებლობა ამ საქმიანობებზე ნათლად იყოს განაწილებული მონაწილეებს შორის. მენეჯმენტის გასხვისებისას კონტრაქტით, მფლობელებმა უდა გააკეთონ შემდეგი რამ:

- უზრუნველყონ, რომ (ა) გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები შენობების ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნებისა და (ბ) ეფექტიანი ადმინისტრირება ქირის შეკრების და შენობის შენარჩუნების ნათლადაა დამკვიდრებული, როგორც მართვის პრაქტიკის ნაწილი;
- რეგულარულად შეაფასონ ეფექტურობის გაუმჯობესების ან სერვისების ხარჯის შემცირების სასურველობა კონტრაქტის საშუალებით სპეციალისტ ფირმებთან (რომლებიც შესაძლოა იყვნენ კერძო ან არაკომერციული/არამომგებიანი სექტორიდან ან წარმოადგენდნენ მოიჯარეთა ჯგუფებს).

მართვის რომელი ვარიანტიც არ უნდა აირჩიონ ბინათმფლობელებმა, მიღებულმა გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოიჯარეებს ჰქონდეთ გავლენა მენეჯერის მიერ მიწოდებულ მომსახურების ხასიათსა და ხარისხზე, თუ მოიჯარეები თვითონ არ ახორციელებენ ამ ამოცანებს კოოპერატივებით ან კოლექტიური მართვის ღონისძიებების საშუალებით.

ზოგადად მართვისა და შენარჩუნების აქტივობათა ხარჯები უნდა ფინანსდებოდეს საიჯარო შემოსავლით ან მომსახურებათა მიწოდებაში გადახდილი საფასურით. იმ შემთხვევაში, თუ იჯარის და სხვა შემოსავლები საკმარისი არაა, მომსახურების ხარისხი იქნება არასაკმარისი გარკვეული ფორმის სამთავრობო სუბსიდიების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

Guidelines on Social Housing, Principles and Expamles. (2006). Economic Comission for Europe, Geneva, United Nations, New York and Geneve. Chapter lll, The lnstitutaional Framework.

თავი 5: სოციალური საცხოვრისი და სოციალური ერთობა

სოციალური ერთობა: განმარტება სოციალური საცხოვრისის პერსპექტივაზე დაყრდნობით

სოციალური საცხოვრისის როლი ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო და ევროპის ქვეყნების ადგილობრივ კანონმდებლობაში სოციალური ერთობის მიზნის მისაღწევად. მაგალითად, ადამიანის საყოველთაო უფლებების ქარტიაში ღირსეული საცხოვრისი მიჩნეულია სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად.

წარმოქმნისთანავე ცნება „სოციალური ერთობა“ დაკავშირებული იყო სოციალურ წყობასთან. ლიმიტირებული რესურსებისათვის ბრძოლაში ადამიანებს შორის მუდმივი კონკურენციის პირობებში რა იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანებმა იცხოვრონ მშვიდობიანად ერთ საზოგადოებაში? (Cope et al. 1995:39) სოციალური ერთობის კონცეფციის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი ***ემილ დურჰეიმი***. მან მე-19 საუკუნეში განმარტა სოციალური ერთობა, როგორც საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთკავშირი, ერთმანეთისადმი ერთგულება და სოლიდარობა. მას შემდეგ სოციალური ერთობის კონცეფცია კიდევ რამდენჯერმე განიმარტა. 2000 წელს ***ბერგერ-შმიდტის*** შემუშავებული განმარტებით სოცილურ ერთობის ასპექტებია: ძლიერი სოციალური ურთიერთობები, გაზიარებული ღირებულებები, საერთო იდენტობის შეგრძნება, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთნდობა და უთანაბრობის აღმოფხვრა.

სოციალური ერთობა, სოციალური გარიყულობა და სოციალური კაპიტალი

სოციალურ ერთობასთან ასოცირებულია **სოციალური გარიყულობის** ცნებაც. სოციალური გარიყულობის ცნება სიღარიბეზე ახლებური ხედვის ჩამოყალიბების შედეგად გაჩნდა. ეს არის მრავალგანზომილებიანი კონცეფცია, რომელიც სიღარიბის არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ სოციალურ და კულტურულ მხარეებსაც მოიცავს.

სოციალური გარიყულობა ინდივიდუალურ დონეზე განისაზღვრება, როგორც კეთილდღეობის დაბალი დონე (ეკონომიკური ხელმოკლეობა) და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის შეუძლებლობა (სოციალურ-პოლიტიკური ხელმოკლეობა). საზოგადოებრივ დონეზე კი სოციალური გარიყულობა სოციალური ერთობის გაუარესების მანიშნებელია, რაც გამოწვეულია სახელმწიფო ინსტიტუციების ისეთი რეგულაციებით, რომლებიც ზღუდავენ საზოგადოების წევრთა წვდომას საქონელზე, მომსახურებებზე, აქტივობებზე, რესურსებზე.

დარენდორფს მიაჩნია, რომ სოციალური ერთობა არსებობს იმ საზოგადოებაში, რომელშიც აღმოფხვრილია სოციალური გარიყულობა. ***ბერგერ-შმიდტის*** აზრით, სოციალური ერთობა ორ მნიშვნელოვან მიმართულებას აერთიანებს: 1) სოციალური გარიყულობის შემცირება (უთანაბრობა, დისბალანსი) და 2) სოციალური კაპიტალის გაძლიერება (სოციალური ურთიერთობები და კავშირები).

ევროპის საბჭო მიიჩნევს, რომ სოციალური ერთობა არ არის მხოლოდ სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის დამარცხება, არამედ საზოგადოებაში ისეთი სოლიდარობის გაჩენა, რომელსაც მინიმუმამდე დაყავს გარიყულობა (2000წ).

სოციალურ ერთობასთან კავშირში მყოფი მეორე კონცეფცია არის **სოციალური კაპიტალი**. არსებობს სოციალური კაპიტალის სხვადასხვა განმარტებები. მის ერთ-ერთ თეორეტიკოსს, ***რობერტ პუტმანს***, მიაჩნია, რომ სოციალური კაპიტალის დონე ქვყანაში გაიზომება ნებაყოფლოფითი ორგანიზაციების რაოდენობით, მოქალაქეებს შორის ურთიერთნდობის სიღრმისა და ურთიერთდახმარების შესაძლებლობით (Putnam 1993 a). სო-

ციალური კაპიტალი არის არა მხოლოდ საზოგადოების ინსტიტუციების ერთობლიობა, არამედ „წებო“, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს (Social Capital Initiative 1998: 1).

სოციალური ერთობა და საცხოვრისი

სოციალური ერთობის მიმართ ინტერესი ბოლო ათწლედის განმავლობაში გამოწვეულია ქვეყნებში ნეოლიბერალური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების შედეგად წარმოქმნილი მრავალი პრობლემით. ბაზარს არ ძალუძს დაარეგულიროს მრავალი საკითხი, რომელთა მოუწესრიგებლობა იწვევს სერიოზულ დისბალანს საზოგადოების წევრთა შორის. წარმოიქმნებიან მოგებულები და წაგებულები და რაც უფრო დიდია მათ კეთილდღეობას შორის სხვაობა – მით უფრო რისკის ქვეშ დგება სოციალური ერთობა.

გლობალიზაცია, საერთაშორისო კონკურენცია, დემოგრაფიული ცვლილებები ახალი გამოწვევების წინაშე აყენებენ სოციალურ საცხოვრისსაც. გაზრდილი უმუშევრობა აღრმავებს პოლარიზებას და უთანაბრობას საზოგადოების წევრებს შორის. ბევრ ქვეყანაში გაიზარდა უსახლკაროთა რიცხვი (Edgar et al. 2004). ზოგ მსხვილ ქალაქში გაჩნდა უსახლკაროებით დასახლებული მიყრუებული უბნები (მაგ. სამხრეთ ესპანეთში, პორტუგალიაში, პარიზსა და ლიონში). საშუალო ფენებს უჭირს ხელმისაწვდომი საცხოვრისის შოვნა. მაგალითად, „საკვანძო“ პროფესიის სახელმწიფო მოხელეები (პოლიციელები, მასწავლებლები, მომვლელები და ა შ.) ვერ პულობენ საცხოვრებელ ბინებს თავიანთი სამუშაო ადგილების მახლობლად, ამიტომ ისინი სამუშაოდ გადადიან სხვა უბნებში, ამიტომ, ზოგიერთ უბნებში ხდება გარკვეული სერვისის მიწოდების უკმარისობა და შესაბამისად, გაძვირება. საცხოვრისის ბაზრის დისბალანსის გამოსასწორებლად და სოციალური გარიყულობის აღმოსაფრხველად ევროკომისიამ მოუწოდა ყველა წევრ ქვეყანას, რომ ჩაერიონ საცხოვრისის ბაზრების ფუნქციონირებაში.

Czasny-ი (2004) სოციალური ერთობის და სოციალური ინტეგრაციის მაკრო და მიკრო დონეებს გამოყოფს:

სოციალური ერთობის და სოციალური ინტეგრაციის მაკროდონე სახელმწიფო, მუნიციპალური და საბაზრო მარეგულირებელი მექანიზმებს ერთობლიობაზეა დაფუძნებული, რომელიც ქმნის საქონლისა და მომსახურების წარმოება-განაწილების პრობლემების მოგვარების საფუძველს. საცხოვრისთან მიმართებაში თუ განვიხილავთ, არარეგულირებადი საცხოვრისის ბაზრის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების მაკრო დონეზე გადაჭრა არის სოციალური საცხოვრისის გამოყენება.

სოციალური ერთობის და სოციალური ინტეგრაციის მიკრო დონე არის პიროვნების ინტეგრირება სამეგობრო, ოჯახის, სამეზობლო, საგანმანათლებლო, სამუშაო ქსელების ურთიერთობებში. საცხოვრისთან მიმართებაში თუ განვიხილავთ, ამის მაგალითია, თუ შინამეურნეობა, რომელიც გარიყულია გაუმკლავდება თავის მდგომარეობას მიკრო-დონეზე სტრატეგიების განვითარებით.

სოციალური საცხოვრისი და სოციალური ერთობა: როლი, გამოწვევები და გადაჭრის გზები

საზოგადოებაში სოციალური ერთობის მისაღწევად აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სოციალური გარიყულობის აღმოფხვრა;
- შემოსავლების უთანაბრობის შემცირება;
- სოციალური პოლარიზების თავიდან არიდება;
- საერთო მიზნების მისაღწევად ურთიერთდახმარება;
- ერთიდაიგივე საზოგადოებისადმი კუთვნილების შეგრძნება;
- ადამიანებს შორის სოციალური კავშირებისა და ნდობის გაძლიერება (სოციალური კაპიტალი);
- სოლიდარობა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.

სოციალური საცხოვრისის როლი

როგორ შეიძლება სოციალურმა საცხოვრისმა ხელი შეუწყოს ზემოხსენებულ მიზნებს? ქვევით მოცემულია სოციალური სახლების როლის რამდენიმე მაგალითი:

- სოციალური საცხოვრისი ხელს უწყობს სოციალური გარიყულობის აღმოფხვრას სამუშაო ცენტრებთან ახლოს განლაგებულ ადგილებში მოსახლეობის ღირსეული და ფინანსურად ხელმისაწვდომი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის გზით. გარიყულობის აღმოფხვრაზე მოქმედებს არა მხოლოდ საცხოვრისით უზრუნველყოფა, არამედ მისი განლაგება ხელსაყრელ ადგილებში (DEთღ, 1999; ღოგერს, 1997).
- სოციალურ საცხოვრის შეუძლია შემოსავლების უთანაბრობის შემცირება სხვადასხვა გზით. ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლების წილი, რომელიც დახარჯულია საცხოვრისის ქირის გადახდაში უფრო მეტია, ვიდრე საშუალო და მაღალი შემოსავლების შინამეურნეობების. ეს იმის გამო ხდება, რომ ღარიბთა შემოსავალი დაბალია, ხოლო ქირა მაღალი. თუ საცხოვრისის ფასი დაიკლებს, ღარიბ შინამეურნეობებს დარჩებათ მეტი თავისუფალი თანხა, რომელსაც სხვა მიზნებისათვის განკარგავენ.
- სოციალურ საცხოვრის შეუძლია თავიდან აირიდოს სოციალური პოლარიზება სივრცითი სეგრეგაციის დამარცხებით. სოციალურ საცხოვრისში ყველაზე მოწყვლადი ფენების შესახლება იწვევს მის სიღარიბისა და გარიყულობის „გეტოებად“ გადაქცევად. უკანასკნელ ათწლეულამდე ასეთი სოციალური „გეტოები“ განიხილებოდა უფრო, როგორც პრობლემა, რომელსაც სჭირდება გაკონტროლება, ვიდრე ეკონომიკური და სოციალური განვითარების საჭიროების მქონე ადგილები. სოციალურ საცხოვრის ძალუძს შეაბრუნოს პროცესი და სოციალური სეგრეგაცია სოციალურ ჩართულობად გადააქციოს, რისთვისაც საჭიროა განხორციელდეს კრიმინალის წინააღმდეგ მიმართული პროგრამები, ადგილობრივი დასაქმების მხარდაჭერა, ბავშვებზე ზრუნვა, შერეული ტიპის საცხოვრისების სამეზობლოს შექმნა, სადაც იცხოვრებენ განსხვავებული შემოსავლების მქონე ოჯახები.
- სოციალური საცხოვრისი უზრუნველყოფს ურთიერთდახმარებას სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის (არასრულწლოვნები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები). მათთვის შესაბამისი საცხოვრისის უზრუნველყოფის მიზნით სოციალური საცხოვრისის მიმწოდებელი ორგანიზაციები მომსახურების მიმწოდებლებად გარდაიქმნენ. ამ ხალხისათვის საცხოვრისის მიწოდება უნდა ხდებოდეს ისე, რომ არ ხდებოდეს „გეტოიზაცია“, ანუ სოციალურად შერეულ საცხოვრისებში. ბაზარი ვერ გაითვალისწინებს ამ ხალხის საჭიროებებს, ვინაიდან მათი შედარებით მცირე რიცხვოვნობის და მაღალი რისკის გამო მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად წარმოებული ბიზნესი არამომგებიანი იქნება. ამიტომ ასპარეზზე გამოდის სოციალური საცხოვრისი, რომელიც მოწყვლადი ფენებისათვის ღირსეული და ხელმისაწვდომი საცხოვრისის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება.
- სოციალური საცხოვრისი ხელს უწყობს მათში მცხოვრები ოჯახების ერთი და იმავე სამეზობლოს ნაწილად ყოფნის აღქმას, საცხოვრისის და სამეზობლო საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში მათი აქტიური ჩართულობის გზით. გარდა აღნიშნულისა, სოცაილური საცხოვრისის მიმწოდებელი ორგანიზაციები სოციალურ მომსახურებასაც აწვდიან სახლების ბენეფიციარებს, რაც მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას იწვევს (ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობა ახალგაზრდებისათვის, ტრეინიგების ჩატარება და ა.შ.)

სოციალური საცხოვრისის და სოციალური ერთობა: გამოწვევები

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ერთობისაკენ მიმავალ გზაზე არსებობს გამოწვევები, როგორც სტრუქტურულ (პოლიტიკის და ინსტიტუციების) ისე სოციალური საცხოვრისის მიმწოდებლების დონეზე. ეს სირთულეები სხვადასხვა სფეროს მოიცავს:

სამიზნე ჯგუფების შერჩევა: საცხოვრისის ზოგო ექსპერტი ფიქრობს, რომ უფრო ეფექტურია სოციალური საცხოვრისისათვის შეირჩეს მოწყვლადი ფენები, ზოგს კი მიაჩნია, რომ თუ სოციალური საცხოვრისი მიმართული იქნება მხოლოდ დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე, ის უფრო და უფრო სტიგმატიზებული გახდება. ამიტომ სოციალურ საცხოვრისში რეკომენდებულია საზოგადოების სხვადასხვა ფენების შერევა. სამიზნე ჯგუფების შერჩევა რთული თემაა, არ უნდა ხდებოდეს ადამიანების გარიყვა, ამიტომ ეს მთლიანად საცხოვრისის პოლიტიკის სფერო უფროა, ვიდრე მხოლოდ სოციალური საცხოვრისის. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს ყველაფერზე მოსარგები ფორმულა და თითოეულ სიტუაციას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება.

ბინათმესაკუთრეობის პოლიტიკა: ევროპის ქვეყნებში უკანასკნელ წლებში გაიზარდა ბინათმესაკუთრეობის ტენდენციები, რაც მისასალმებელია, თუმცა ზოგჯერ ეს ტენდენციები იწვევს სოციალურ ფენებზე მისაქირავებელი საცხოვრისის რაოდენობის შემცირებას. ეს უკანასკნელი კი უარყოფითად მოქმედებს იმათზე, ვისაც არ აქვს საშუალება შეიძინოს ბინები. გარდა აღნიშნულისა, ბინათმესაკუთრეობას აქვს უარყოფითი გავლენა ადამიანების მობილურობაზეც. დაბალი მობილურობა კი აღიარებულია „სიღარიბის ხაფანგის“ შემქმნელ ფაქტორად, რადგან შინამეურნეობები უფრო მიბმულები ხდებიან თავიანთ საკუთრებაში არსებულ საცხოვრისებზე და არ ცდილობენ ეძებონ უკეთესი სამუშაო სახლიდან მოშრებით. შესაბამისად, ისინი კარგავენ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების შანსს. გარდა ამისა, სოციალური საცხოვრისის საკმარისი რაოდენობა აუცილებელია მათთვის, ვინც შემოსავლის წყაროს დროებითი ან მუდმივი შემცირების გამო იძულებულია სოციალურ სახლში საცხოვრებლად გადავიდეს. ამ კატეგორიისათვის ეს ნაბიჯი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საუკეთესო გამოსავალი, რომელიც საშუალებას იძლევა შეამციროს ოჯახის ხარჯები ბინის ქირაზე.

ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე ქვეყანაში აუცილებელია ტარდებოდეს საცხოვრისის ისეთი პოლიტიკა, რომელიც ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ბინათმესაკუთრეობას, ხოლო მეორეს მხრივ, არ შეამცირებს ხელმისაწვდომ ფასებში გასაქირავებელი საცხოვრისის რაოდენობას.

სოციალური შერწყმა: სოციალურ შერწყმას, როგორც სოციალური ერთობის ხელისშემწყობ საშუალებას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგები. მომხრეები თვლიან, რომ სტიგმატიზების თავიდან აცილების მიზნით დიდი სოციალური საცხოვრისების შექმნა არამიზანშეწონილია (Dandolova 2003). მიუხედავად იმისა, რომ „გეტოს“ ტიპის კონცენტრირებულ სოციალურ საცხოვრისებში არსებობს ძლიერი სოციალური კაპიტალი, მისი მეშვეობით მიღებული სიკეთე იშვიათად ეხმარება მის მიმღებს დასძლიოს თავისი სიღარიბე (Portes and Landolt 1996: 20). ამიტომ ხდება სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ჯგუფების შერევა არსებულ საცხოვრისებში, რაც სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან არსებულ საცხოვრისებს უკვე ჩამოყალიბებული აქვთ თავიანთი ხასიათი და იდენტობა. სოციალური ერთობის მომხრე საზოგადოება უნდა იყოს უფრო ტოლერანტული და პატივი სცეს მრავალფეროვნებას. იმისათვის, რომ შემუშავდეს საუკეთესო სტრატეგიები ზემოაღნიშნულის მისაღწევად კარგად შესასწავლია რა ტიპის სოციალური შერწყმა უფრო იმუშავებს ამა თუ იმ საზოგადოებაში თუ სამეზობლოში.

ინტეგრირების პოლიტიკა: საცხოვრისის პოლიტიკა მოქცეულია ინფრასტრუქტურის, დაგეგმვის და მომსახურების მიწოდების ფართო სისტემაში. სამწუხაროდ, ხშირად ისინი ერთმანეთთან კოორდინაციაში არ არიან, ხანდახან კი ხდება, რომ სულაც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. თავისი პოტენციალის სრულად გამოყენებისათვის, სოციალური საცხოვრისი უნდა იყოს ინტეგრირებული დასაქმების, ტრანსპორტის, ურბანული დაგეგმარების, ჯანდაცვის, განათლების და სხვა სახელმწიფო პოლიტიკებთან. მაგალითად, დასაქმება და საცხოვრისის ბაზრები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და იგივე უნდა

იყოს მათი მარეგულირებელი პოლიტიკის დონეზეც. ევროპის მრავალ ქვეყანაში დიდი ინდუსტრიული წარმოებები დაიხურა და ადგილი დაეთმო მომსახურების მიწოდებას. შედეგად, ხელმისაწვდომი საცხოვრისი აღარ მდებარეობს მომსახურების სფეროს მახლობლად (Whitehead 2002). ამან შექმნა ხელმისაწვდომი საცხოვრისის კრიზისი, რომელიც მომსახურების სფეროში მოღვაწე დაბალშემოსავლიან პერსონალს უქმნის სერიოზულ პრობლემებს ღირსეული და ხელმისაწვდომი საცხოვრისის პოვნაში. მეორეს მხრივ, თავისუფალი მიწის მოძიების სირთულე და მისი მაღალი საბაზრო ფასი ხელს უშლის სოციალური საცხოვრისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს უპასუხონ არსებულ საჭიროებებს. ამ შემთხვევაში მიწისა და ურბანულ დაგეგმარებასთან საცხოვრისის ინტეგრირებული პოლიტიკა, გადამწყვეტ როლს თამაშობს. საცხოვრისის და ურბანული დაგეგმარების მიმართ ინტეგრირებული მიდგომები აუცილებელია ისეთი სამეზობლოების ფორმირებისათვის, სადაც იქნება სატრანსპორტო ხაზების, ჯანდაცვის, სკოლების, კომუნიკაციების, საცალო ვაჭრობის და სხვა ისეთი ობიექტების წვდომა, რომლებიც ადგილობრივ საჭიროებებს უპასუხებენ (Burdett et al. 2004), სადაც სოციალური საცხოვრისის ერთეულები და მათი მიმდებარე ტერიტორიები ჰარმონიულად ინტეგრირებული იქნება მეზობლად მდებარე საცხოვრებელ უბნებში (Dandolova 2003).

გამოყენებული ლიტერატურა:

Guidelines on Social Housing, Principles and Expamles. (2006). Economic Comission for Europe, Geneva, United Nations, New York and Geneve. Chapter VII, The Role of Social Housing in Social Cohesion.

თავი 6: სოციალური საცხოვრისის მომსახურება – ქართული გამოცდილება

სოციალური საცხოვრისის განვითარების ისტორია საქართველოში

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოში სოციალური საცხოვრისის მომსახურების დანერგვასა და საცხოვრისების მშენებლობაში. სწორედ ამ სააგენტოს მიერ განხორციელდა საქართველოში პირველად პილოტური პროექტი „სოციალური საცხოვრისი მხარდამჭერ გარემოში", რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო საბინაო პოლიტიკის ადვოკატობას და საქართველოს მთავრობას უსახლკარობის დაძლევის კონკრეტულ გზას სთავაზობდა.

საქართველოში, სადაც უკანასკნელი ოცწლეულის მანძილზე დიდია იძულებით გადაადგილებული და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვი, სოციალური საცხოვრისი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს (სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები, სატრენინგო მასალების კრებული (2012). საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დეკემბერი).

ბოლო წლებში მიღწეული საგრძნობი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს. 2004 წლიდან 2008 წლამდე საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა 6.8 %-ს შეადგენდა. ეს ზრდა დროებით შეჩერდა მხოლოდ 2008 წლის შუა პერიოდში, როდესაც ქვეყანას რუსეთთან კონფლიქტი და გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაატყდა თავს. ორმაგი შოკის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად აღდგა და 2010-2011 წლებში ზრდის მაჩვენებელი თითქმის კრიზისამდელ დონეს დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, სიღარიბე კვლავაც პრობლემად რჩება. სიღარიბის მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონსა და მოსახლეობის ჯგუფში. შემოსავლების უთანაბრობა მაღალია. შეფასებების მიხედვით, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 10%-ია, ხოლო ნაკლებად კონსერვატიული ზღვრის გამოყენების შემთხვევაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 45 % ცხოვრობს (გასმანი, ფ. ბერულავა, გ. თოქმაზაშვილი, მ. (2013). ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში).

ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში 270 000 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების კონფლიქტების შედეგად. ამ რაოდენობის დაახლოებით ნახევარი ცხოვრობდა სახელმწიფო კოლექტიურ ცენტრებში. 2008-2010 წლებში მიმდინარეობდა ამ ცენტრების მზარდი პრივატიზაცია, რის შედეგადაც იძულებით გადაადგილებულ პირებს მოუხდათ საცხოვრებლის დატოვება. ეს პროცესი კი მათთვის საკმაოდ მძიმე იყო, რადგან იძულებულები იყვნენ, უარი ეთქვათ იმ სამეზობლოს მხარდაჭერასა და არაფორმალური თანადგომის ქსელზე, რაც თავად შექმნეს ბოლო წლების განმავლობაში.

დევნილთა დიდი ნაწილი დღემდე მძიმე სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია, მათ შორის საცხოვრისის მხრივადაც. აღსანიშნავია, რომ მათთვის ცხოვრების სათანადო დონის უზრუნველყოფისათვის ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა და დაამტკიცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიით განსაზღვრულია სახელმწიფოს ორი უმთავრესი მიზანი: 1. პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად, უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის და მხარდაჭერის აღმოჩენა იმ დევნილთათვის, რომლებიც სტიქიურად დაბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებლ ადგილზე; 2. დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია.

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ძირითადი საჭიროებაა ადექვატური საცხოვრისი. საცხოვრისის უფლების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც: „უფლება ღირსეულ საცხოვრისზე არის ღირსეული ცხოვრების უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტი“ (10.12.1948, მუხლი 25).

სამწუხაროდ, უსახლკარობა შეიძლება პიროვნული წარუმატებლობის შედეგად შეაფასონ ხშირად საზოგადოებაში, არადა სინამდვილეში უსახლკარობა გამოწვეულია პირის ინდივიდუალური მდგომარეობისა და ხელისშემშლელი სტრუქტური ფაქტორების ურთიერთგავლენით. როგორც წესი, ადამიანის ცხოვრებაში სხვადასხვა სახის პრობლემები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იჩენს თავს და შემდეგ მთავრდება კრიზისული მომენტით, როდესაც ადამიანი ხდება უსახლკარო.

სხვადასხვა პიროვნულმა და სოციალურმა ფაქტორებმა შეიძლება მიიყვანოს ადამიანი უსახლკარობამდე. ამ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია, (1) ინდივიდუალური ფაქტორები, (2) ოჯახის ისტორია და (3) ინსტიტუციონალიზაციის გამოცდილება. ინდივიდუალური ფაქტორები მოიცავს მაგალითად ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება, დაბალი კვალიფიკაციის დონე, სოციალური თანადგომის ქსელის არარსებობა, ვალები, ცუდი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, კონფლიქტები, ურთიერთობების გაწყვეტა საყვარელ ადამიანებთან და ადრეული ასაკიდან კანონთან კონფლიქტში ყოფნა. ოჯახის ისტორია მოიცავს ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტს, სექსუალურ და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლის გამოცდილებას ბავშვობაში ან ახალგაზრდობაში, მშობლებს, რომლებიც დამოკიდებულები იყვნენ მავნე ნივთიერებაზე და ოჯახის უსახლკარობის წინა გამოცდილებას. ასევე, საყურადღებოა ინსტიტუციონალიზაციის გამოცდილება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო ბავშვზე ზრუნვის სისტემაში გაზრდას, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილებას და სხვა. ზემოთ აღწერილ სირთულეებთან გამკლავება საკმაოდ რთულია და როგორც წესი, საჭიროებს მხარდაჭერას საჯარო სამსახურებისგან, ოჯახისა და მეგობრებისგან და, რა თქმა უნდა, მოითხოვს, ადამიანისა თუ ოჯახისგან, რომელიც გასაჭირში იმყოფება დაუღალავ შრომასა და მონდომებას. საჯარო სამსახურების დახმარება შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის ინტერვენციას, რჩევას, კონსულტირებას, ტრენინგებს, ალტერნატიული საცხოვრისის შეთავაზებას და სხვა. მთავარი დაშვება კი ის არის, რომ ადამიანს შეუძლია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სიძნელეს უფრო მეტი ალბათობით წარმატებულად გაუმკლავდეს, თუ მას აქვს უსაფრთხო და ადექვატური თავშესაფარი სახლის სახით.

უსახლკარობის სტრუქტურული მიზეზები ძირითად არის სოციალური და ეკონომიკური ბუნების და ხშირ შემთხვევაში სცილდება ინდივიდის ან ოჯახის კონტროლს. ეს მიზეზები შეიძლება იყოს სიღარიბე, ხელმისაწვდომი სახლების სიმცირე/ან არ არსებობა საბინაო ბაზარზე, საბინაო პოლიტიკის არარსებობა, და სხვა. ეს პრობლემები კი საჭიროებს გრძელვადიან პოლიტიკის ჭრილში განხილვასა და გადაჭრას, ისეთი როგორიცაა მაგ. საბინაო ბენეფიტების სისტემა, ხელმისაწვდომი სახლების/ბინების მშენებლობა, იმის უზრუნველყოფა, რომ ეკონომიკური ზრდით ისარგებლოს საზოგადოების სხვადასხვა დაუცველმა ჯგუფებმა და სხვა.

საქართველოში არსებული მდგომარეობა საცხოვრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგნაირად შეფასდეს: საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო საბინაო პოლიტიკა და ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა. საბინაო ბაზარი ხასიათდება ბინების მშენებლობის ბუმით რამდენიმე სამშენებლო მონოპოლისტი კომპანიის მიერ, რომლებიც მხოლოდ ორიენტირებულები არიან კომერციული ბინების მშენებლობაზე. უძრავ ქონებაზე ფასები გაზრდილია და სახელმწიფო სექტორის მონაწილეობა საბინაო სექტორში ძალიან მცირე ან თითქმის არ არსებობს. ამ ფონზე საქართველოს საბინაო ბაზარზე შეუძლებელია ღარიბი და სოციალურად დაუცველი ადამიანისათვის ბინის შეძენა. ამას ემატება საზოგადოებაში გამეფებული ტოლერანტულობის მაღალი ხარისხი

ძალადობის სხვადასხვა ფორმების მიმართ. ამგვარად, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები ადექვატური საცხოვრისის მწვავე საჭიროების წინაშე დგანან.

შესაბამისად, ადექვატური საცხოვრისის არ-არსებობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემად შეიძლება შეფასდეს დღეს საქართველოში. ამ ფონზე, სოციალური საცხოვრისის საკითხი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ჩვენს ქვეყანაში.

სოციალური საცხოვრისი საქართველოში ასოცირდება ფართო საზოგადოებისთვის სუბსიდირებულ სახლებთან, რადგან საბჭოთა პერიოდში საბინაო სექტორი ხასიათდებოდა ძირითადად სუბსიდირებული საცხოვრისებით. ძირითადად ამ ტიპის სახლების მშენებლობა მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში. ხალხს შეეძლო ამ სახლებში ცხოვრება დაბალი რენტის გადახდის პირობებში. მაცხოვრებლები იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს, რაც რენტის ღირებულების მცირე პროცენტს შეადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საკუთრება ამ სუბსიდირებულ საცხოვრებლებზე სახელმწიფოდან კერძო მფლობელების ხელში გადავიდა (Housing Policies in Eastern Europe and the Soviet Union, By John Sillince, Routledge, 1990). თუმცა, აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ინიციატივა „სოციალური საცხოვრისი მხარდამჭერ გარემოში“ არ არის განკუთვნილი ფართო საზოგადოებისთვის და იგი ორიენტირებულია ღარიბი და დაუცველი პირების საცხოვრისის საჭიროების დაკმაყოფილებაზე, ნაცვლად ფართო საზოგადოებისა.

საქართველოში სოციალური საცხოვრისები 2008 წლამდე არ არსებობდა. იძულებით გადაადგილებული პირების კოლექტიური დასახლებების გარდა, არ არსებობდა და დღემდე არ არსებობს ღარიბი და დაუცველი ჯგუფების საბინაო პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო პოლიტიკა და პროგრამები, გარდა იმ ერთეული შემთხვევებისა, როდესაც ზოგი მუნიციპალიტეტი გარკვეული ხნის მანძილზე ფარავს უსახლკარო ოჯახის მიერ დაქირავებული ბინის ქირას.

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SDC) 2008 წელს დაიწყო საქართველოში პროექტის „სოციალური საცხოვრისი მხარდამჭერ გარემოში“ განხორციელება გაეროს განვითარების პროგრამასა და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან თანამშრომლობით. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პილოტური პროექტი იდეასა და სტიმულს სთავაზობდა ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას სოციალური საცხოვრისების მშენებლობისათვის. მთავარი მიზანია, საქართველოს მთავრობამ კონცეფცია „სოციალური საცხოვრისი მხარდამჭერ გარემოში“ აქციოს ადგილობრივი სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ნაწილად.

გაეროს განვითარების პროგრამის მთავარი ამოცანა იყო სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით სოციალური მუშაობის მომსახურების განვითარება სოციალური საცხოვრისში და მუნიციპალიტეტების პროფესიული შესაძლებლობების განვითარება ამ მიმართულებით.

ამ პროექტის ფარგლებში 2008 წელს პირველად თბილისში ოთხი სოციალური საცხოვრისი აშენდა. 2010 წელს სოციალური საცხოვრისი გაიხსნა გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში, ხოლო თბილისში დაემატა ორი სახლი. 2013 წელს კი სოციალურმა საცხოვრისმა ფუნქციონირება დაიწყო რუსთავსა და ბოლნისში, ასევე, დაემატა ბათუმში ერთი, ხოლო თბილისში ორი სახლი. დღეისათვის საქართველოში 19 სოციალური სახლი ფუნქციონირებს, რომელშიც ცხოვრობს 500-ზე მეტი მოსახლე[4]. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ადგილობრივ თვითმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ინიციატივას მხარს უჭერდა სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიც, როგორებიცაა მაგ. გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, იტალიის საელ-

[4] 2013 წლის აგვისტოს მონაცემებით

ჩო. დღეისათვის პროექტის ფარგლებში აშენებული სოციალური საცხოვრისები შესაბამისი ადგილობრივი თვითმართველობის საკუთრებაშია და მათ მიერ ადმინისტრირება.

სოციალური საცხოვრისის მიზნები

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, საქართველოში სოციალური საცხოვრისი, ეს არის სახელმწიფოს, კერძოდ კი, ადგილობრივი თვითმართველობის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი, რომელიც განკუთვნილია დაუცველი ჯგუფებისათვის. ასეთი საცხოვრისის მიზანია, მის ბინადართა ღირსეული საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა იმ დრომდე, სანამ მობინადრეს არ ექნება საკუთარი საცხოვრებელი პირობების დამოუკიდებლად უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

სოციალური საცხოვრისი ორიენტირებულია სამეზობლოს მხარდაჭერაზე, რათა შესაძლებელი იყოს საზოგადოების სოციალურად და ეკონომიკურად ყველაზე დაუცველი თემების მდგრადი განვითარება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანების სოციალურ ინტეგრაციას სოციალურ საცხოვრისში შესახლებით. საქართველოში, ისევე როგორც განვითარებულ და სხვა გარდამავალ ქვეყნებში, სოციალური საცხოვრისის გარემომ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანთა დამოუკიდებელ ცხოვრებასა და სოციალურ ინტეგრაციას, რაც თავის მხრივ მიანიჭებთ მათ პიროვნულ დამოუკიდებლობას, პირადი ცხოვრების უფლებას, დაცულობის შეგრძნებას და ამავდროულად მისცემთ მათ სხვადასხვა პოტენციალის მქონე ადამიანებთან ერთად ცხოვრების შესაძლებლობას და სამომავლო განვითარების პერსპექტივებს (სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები, სატრენინგო მასალების კრებული (2012). საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დეკემბერი).

ასევე, აღსანიშნავია, რომ სოციალურ საცხოვრისში მაცხოვრებელი ადამიანების გარდა, სოციალური საცხოვრისი დადებით ზემოქმედებას ახდენს ადგილობრივი თემის ცხოვრებაზეც. კერძოდ, ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას, კრიმინალური სიტუაციის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი თანამონაწილეობის გაძლიერებასა და თემში სოციალური სტაბილურობისა და სამართლიანობის დამკვიდრებას.

სოციალური საცხოვრისის მიზნობრივი ჯგუფი – შეფასება და შერჩევა

სოციალური საცხოვრისი განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ომის, სტიქიური უბედურებების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სოციალური პრობლემების და სხვა მიზეზების გამო იძულებულნი არიან, შეიცვალონ საცხოვრებელი პირობები. თუმცა, სოციალური საცხოვრისის მეშვეობით მათ აქვთ არაინსტიტუციურ გარემოში დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალება.

„სოციალური საცხოვრისი მხარდამჭერ გარემოში“ სთავაზობს მუნიციპალურ სოციალურ მომსახურებას იმ ადამიანებს, რომელთა შესაძლებლობასაც აღემატება საბინაო პრობლემების მოგვარება და ასევე, ესაჭიროება ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა ან სოციალური კეთილდღეობის სხვა დახმარების ფორმა მოკლე ან გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში.

საქართველოში სოციალური საცხოვრისის მობინადრეების შერჩევის საბაზისო კრიტერიუმები იყო სიღარიბის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისათვის ღატაკად აღიარებისათვის მინიჭებული ქულების ზედა დასაშვები ზღვარი, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე ან მის საზღვრებს გარეთ უძრავი ქონების საკუთრებაში არ ქონა (სახლი, მიწა), ხოლო დამატებით კრიტერიუმებად დაწესდა შემდეგ მოწყვლად სოციალურ ჯგუფებისადმი მიკუთვნება: პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ის ახალგაზრდები, რომლებიც ტოვებენ სახელმწიფო ზრუნვას, მარტოხელა მშობელი, მარჩენალდაკარგული ოჯახები.

ბენეფიციართა შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში ადგილობრივ თვითმართველობას მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ.

შეფასების გუნდი იყო მულტიუწყებრივი წარმომადგენლობის. იგი შედგებოდა ადგილობრივი თვითმართველობის სოციალური სამსახურის, ლტოლვილთა და განსახლების

სამინისიტროს თანამშრომლებისგან, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის კვალიფიციური სოციალური მუშაკებისგან.

შეფასებისას გამოიყენებოდა კითხვარი ღია და დახურული კითხვებით, რომელიც როგორც დემოგრაფიულ, ისე ბიო-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა-დაფიქსირებას ემსახურებოდა. კითხვარის ძირითადი ნაწილი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: დემოგრაფიული ინფორმაცია, საცხოვრებელი პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, დამატებით ინფორმაცია ოჯახის შესახებ. საცხოვრებელი პირობების უფრო თვალსაჩინოდ წარმოსადგენად ხდებოდა ფოტოსურათების გადაღება. ოჯახებში ხორციელდებოდა 2 ვიზიტი. გარკვეული ინფორმაცია მხოლოდ იურიდიული დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ ფიქსირდებოდა. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდა კითხვარების სტატისტიკური დამუშავების შედეგად მინიჭებული ქულის საფუძველზე (სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები, სატრენინგო მასალების კრებული (2012). საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დეკემბერი).

შეფასების მეთოდოლოგია იძლეოდა საშუალებას შეფასებულიყო პოტენციური ბენეფიციარი მისი სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით. განისაზღვრა ძირითადი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა შეფასება ღია და დახურული კითხვების საშუალებით. გარდა კითხვარებისა, მობილური ჯგუფის წევრები აკვირდებოდნენ და დოკუმენტურად აღწერდნენ ბენეფიციარის არსებულ მდგომარეობას. ყველაზე კრიტიკული საფეხურია სოციალური მუშაკების მიერ გაცემული რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, თუ ზოგადად რამდენად შეესაბამებოდა მოცემული კანდიდატი იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც საჭიროა სოციალურ საცხოვრისში გადასასვლელად. სოციალურმა მუშაკებმა შეაფასეს ოჯახები სხვადასხვა ასპექტებით: სოციალური ურთიერთობები, საცხოვრებელი პირობები, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული შეფასების მიმართ დამოკიდებულება, კითხვებზე გაცემის უნარი, სურვილი გადავიდეს სოციალურ საცხოვრისში და ა.შ (სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები, სატრენინგო მასალების კრებული (2012). საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დეკემბერი).

გამოყენებული ლიტერატურა:

Economic Comission for Europe, Geneva, United Nations (2006). Guidelines on Social Housing, Principles and Expamles, New York and Geneve

Government of Georgia, United Nations Development Programme (2008), Support to Social Service Capacities and Policies in Georgia,Project Document

Sillince, J. (1990). Housing Policies in Eastern Europe and the Soviet Union.

სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები, სატრენინგო მასალების კრებული, (2012). საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

გასმანი, ფ. ბერულავა, გ. თოქმაზაშვილი, მ. (2013). ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში.

თავი 7: სოციალური მუშაობის პერსპექტივა საცხოვრისთან დაკავშირებით

სოციალური მუშაობა სოციალურ საცხოვრისთან მიმართებაში საჭიროებს უფრო ეფექტური პრაქტიკის განვითარებას, სადაც მატერიალურ პრობლემებთან ერთად ფსიქო-სოციალურ პრობლემებთან გამკლავებაც მოიაზრება.

სოციალურმა მუშაკებმა პირველ რიგში იდენტიფიკაცია უნდა გაუკეთონ პრობლემას და კლიენტთან ერთად იმუშაონ იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ პრობლემის მოგვარება. ეს ნიშნავს არა მხოლოდ კლიენტის იმ სირთულეების განხილვას, რომელსაც ის თავად წამოსწევს, არამედ პრობლემის ყველა შესაძლო გამომწვევი მიზეზების გაანალიზებას, მათ შორის საცხოვრებლის საკითხებსაც ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალურმა მუშაკმა ყოველი შემთხვევის გაანალიზებისას უნდა გაითვალისწინოს, თუ რა როლს ასრულებს კლიენტის საცხოვრებლის მდგომარეობა, პირობები მისი პრობლემის ფორმირებაში.

სოციალური მუშაობის ინტერვენციის ეფექტურობა ყოველთვის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად და ზუსტად არის გაგებული კლიენტის პრობლემის ბუნება და არსი. მაგალითად, კლიენტისთვის ახალ საცხოვრებლის შეთავაზება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი სახლის შეკეთება/გარემონტება შეუძლებელია.

თუმცა საცხოვრებლის პრობლემა სხვა კუთხითაც უნდა განვიხილოთ. კერძოდ, ის შემთხვევები, როდესაც ადამიანებს, რომლებიც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, არ შეუძლიათ ერთმანეთთან შეგუება და არსებობს ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის რისკები და საფრთხის ქვეშ დგება თითოეული წევრის კეთილდღეობა, დამოუკიდებლობა, პირადი უსაფრთხოება და ა.შ. სულ მცირე ერთი ადამიანის გამოსვლა მაინც არის საჭირო, რომ ოჯახში დაწყნარდეს სიტუაცია. ამ შემთხვევაში სოციალურმა მუშაკმა შესაძლოა, უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ოჯახის შიდა ურთიერთობების მოგვარებას.

ზოგჯერ საცხოვრებლის მდგომარეობის გაუარესება თავად ადამიანების შეზღუდული შესაძლებლობებით არის გამოწვეული. ზოგ კლიენტს არ შეუძლია დამოუკიდებლად სახლის საყოფაცხოვრებო პირობების შენარჩუნება და გაძღოლა. ამ შემთხვევაში შესაბამისი ჩარევაა ამ ადამიანების მიმართ მუდმივი კონტროლი და მეთვალყურეობა. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ასეთი ადამიანებიც დაკმაყოფილდნენ საცხოვრებლით.

სოციალური მუშაკებისთვის მთავარი გამოწვევაა შეინარჩუნონ დადებითი დამოკიდებულება და განახორციელონ ანტი-დისკრიმინაციული პრაქტიკა ასეთი მარგინალიზებული ადმიანების მიმართ და შესძლონ მათი პრობლემების პოზიტიური მოგვარება.

უსახლკარო ოჯახები – სოციალური მუშაობის ჩარევები. ისტორიული მიმოხილვა: დიდი ბრიტანეთის მაგალითი

1977 წლამდე დიდ ბრიტანეთში ადგილობრივი სამთავრობო სოციალური მომსახურების დეპარტამენტები იყვნენ პასუხისმგებელნი უსახლკარო ოჯახების საცხოვრისზე. სოციალურ მუშაკებს უნდა მოეგვარებინათ სოციალური საცხოვრისების პრობლემა იმ პირობებში, როდესაც მათ არ შეეძლოთ ჰქონოდათ რაიმე კონტროლი საცხოვრისების განკარგვაზე. ამიტომ ამ პერიოდში უსახლკარობის პრობლემის მოგვარება გახდა ძალიან პრობლემატური და სოციალური მუშაკების საქმიანობაც ამ კუთხით მრავალი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. თუმცა, არ არსებობს ზუსტი ჩანაწერები იმის შესახებ, თუ ამ პერიოდში კონკრეტულად რას საქმიანობდნენ სოციალური მუშაკები უსახლკარო ოჯახებთან მიმართებაში.

1977 წელს საცხოვრისის შესახებ კანონის (the Housing (Homeless Persons) Act) გამოცემის საფუძველზე საცხოვრისის დეპარტამენტი გახდა პასუხისმგებელი უსახლკაროებისთვის საცხოვრისების უზრუნველყოფაზე. ომის შემდგომ პერიოდისთვის ტერმინოლოგიაც კი შეიცვალა. უსახლკარობის ნაცვლად საუბრობდნენ საცხოვრისების საჭიროებაზე. ამრიგად, ადგილობრივი მთავრობა გახდა პასუხისმგებელი საცხოვრისების პრობლემის მოგვარებაზე. ამასთან, სოციალური მომსახურების დეპარტამენტს მოეთხოვებოდა საცხ-

ოვრისის დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობა. ამრიგად, 1977 წლიდან საფუძველი დაედო ინტერსექტორული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას საცხოვრისების პრობლემის გადაწყვეტაზე ადგილობრივი მთავრობის ორ ფრთას შორის: საცხოვრისის დეპარტამენტსა და სოციალური მომსახურების დეპარტამენტს შორის.

მიუხედავად ამ თანამშრომლობის მოთხოვნისა, 80 წლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური მუშობის პერსპექტივა ძალიან მინიმალურად იყო გათვალისწინებული და სოციალური მომსახურების წვლილი არ იყო მოხსენებული. პირიქით, სოციალური მომსახურება მოხსენიებული იყო როგორც უსახლკარობის პრობლემის ფორმირების წყარო. კერძოდ, სახელმწიფო ბავშვზე ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდების წილი საკმაოდ დიდი იყო უსახლკაროთა შორის. თავის მხრივ, სოციალური მომსახურების დეპარტამენტი თავის როლს ხედავდა მხოლოდ იმაში, რომ დაერწმუნებინა საცხოვრისის დეპარტამენტი, რომ დროულად მოეგვარებინა უსახლკარობის პრობლემა. ამასთან, გამოიკვეთა, რომ უსახლკარო ადამიანები, რომლებიც სოციალური მომსახურების მიერ იყვნენ რეფერირებულნი, არ განიხილებოდნენ იმ ადამიანთა რიგში, რომელთაც ენიჭებოდათ საცხოვრისით დაკმაყოფილების უპირატესობა, რაც საკმაოდ დიდ უკმაყოფილებას იწვევდა სოციალურ მუშაკებში.

ამ პერიოდში გაჩნდნენ სოციალური მუშაკები, რომლებმაც უშუალოდ უსახლკაროებთან (მათ შორის უსახლკარო ოჯახებთან) დაიწყეს მუშაობა და ამ მიმართულებით სპეციალიზდებოდნენ, თუმცა ამ სფეროში უფრო მეტად აქტიურობდნენ არასამთავრობო სექტორის სოციალური მუშაკები და ნაკლებად ადგილობრივი მთავრობის სოციალური მუშაკები, რადგანაც ეს უკანასკნელნი უსახლკარო ოჯახებისთვის აღიქმებოდნენ, როგორც მოუქნელნი, სტიგმატიზირებული და საფრთხის შემცველნი. უსახლკარო ოჯახები ფიქრობდნენ, რომ შესაძლოა მათი უსახლკარობა გამხდარიყო მათი ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანის საფუძველი. ადგილობრივ სოციალური მუშაობის ორგანიზაციებს შორის უსახლკარობის სფეროს სოციალური მუშაობის მიმართ გაიზარდა ინტერესი და მხარდაჭერა. თუმცა ეს ეხებოდა მხოლოდ ლონდონს და მის შემოგარენს.

უსახლკარობის პრევენცია

პირის უსახლკაროდ აღიარება მთელ რიგ ბიუროკრატულ პროცედურებს მოიცავს. სახელმწიფო ვალდებულია ოფიციალურად აღიაროს პირი უსახლკაროდ. ამისათვის პირი, რომელსაც სურს მოიპოვოს უსახლკაროს სტატუსი, ვალდებულია გააკეთოს ოფიციალური განაცხადი სპეციალურ განყოფილებაში ე.წ. უსახლკაროთა განყოფილებაში. ეს უკანასკნელი ორგანო იწყებს ოფიციალურ მოკვლევას, რათა დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას უსახლკარობის კანდიდატს. მოკვლევის დასრულებამდე პირი კმაყოფილდება დროებითი საცხოვრებლით. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი უკვე პირს გადაეცემა სახელმწიფო საცხოვრებელი. ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი პირს ასახლებენ დროებითი საცხოვრებლიდან.

სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც გაწერილია 1977 წლის საცხოვრისის შესახებ კანონის ქვემდებარე აქტებით, განსაზღვრავს თანამშრომლობას სოციალური მომსახურების დეპარტამენტსა და საცხოვრისის დეპარტამენტს შორის უსახლკარობის პრევენციის სფეროში. უსახლკარობის რისკის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ამ ორმა დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ერთმანეთს.თუმცა, ორივე სააგენტოს აქვს განსხვავებული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს პრევენცია.

ზემოაღნიშნულ ორ დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის პირველი სფეროა ე.წ. **ქირის გადაუხდელობა.** საცხოვრისის დეპარტამენტი მოელის, რომ სოციალური მუშაკები დაეხმარებიან იმ ადამიანებს, რომლებიც ვერ იხდიან გადასახადებს (ბინის ქირას), რათა თავიდან იქნას აცილებული მათი გამოსახლება. თავის მხრივ, სოციალური მუშაკები უარს ამბობენ მხოლოდ ქირის მომკრებელის როლის შესრულებაზე. თუმცა მეორეს მხრივ, სწორედ ადეკვატურია დაეხმარო იმ ოჯახებს, რომელებიც განიცდიან ფინანსურ სირთულეებს. სწორედ მაშინ, როდესაც ოჯახი გამოსახლების საფრთხის წინაშე დგება, მათ დასახმარებლად უნდა ჩაერთოს სოციალური მომსახურების დეპარტამენტი. ამ კანონის ამოქმედებამ საგრძნობლად შეამცირა უსახლკარობის რიცხვი ქირის გადაუხდელობის საფუძველზე.

მეორე სფერო, სადაც სოციალურ სერვისებთან თანამშრომლობა მოიაზრება, არის **"ოჯახური დავები"**, რაც უსახლკარობის მკაფიოდ გამოხატული მიზეზია. სოციალურმა

მუშაკებმა უნდა შეაფასონ ამ დავის სიმძიმე და უნდა შესთავაზონ ბენეფიციარს კონსულტირება და შემთხვევის მართვა, რომელიც მიმართული იქნება ამ დავის შემსუბუქებაზე, რათა კვლავ შესაძლებელი გახდეს კონფლიქტში მყოფი ოჯახის წევრების ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. სოციალურ მუშაკებს განსაკუთრებით უჭირთ ცოლ-ქმარს შორის ან პარტნიორებს შორის ძალადობის დადასტურება და აღიარება, რადგან მათი პრიორიტეტია ოჯახის მთლიანობის შენარჩუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რისკის წინაშე დგებიან თავად ბავშვები. ასეთ შემთხვევაში, სოციალური მუშაკების აზრით, ქალს თავის შვილებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა შევთავაზოთ დროებითი თავშესაფარი. თუმცა ეს დახმარება ხორციელდება უკვე ბავშვზე ზრუნვის კანონის (Child Care Act) ფარგლებში. თუმცა სოციალურ მომსახურების დეპარატამენტს თავად არ აქვს ისეთი პროგრამა, რომელიც სოციალური საცხოვრისით დააკმაყოფილებდა ასეთ ოჯახებს. საცხოვრისით დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დგება იმის რეალური საფრთხე, რომ ბავშვები აღმოჩნდნენ სახელმწიფო ზრუნვაში.

მესამე სფერო, სადაც ხორციელდება თანამშრომლობა არის **არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების ქონა.** სწორედ იმ ოჯახების უმრავლესობა, რომლებიც რეფერირებულნი არიან სოციალური მომსახურების დეპარტამენტში, ცხოვრობს ასეთ არაადეკვატურ პირობებში. სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვის მოხვედრის ერთ-ერთი პირობად განიხილება საცხოვრებელი პირობების არაადეკვატურობა. "ბავშვი შესაძლოა სახელმწიფო ზრუნვაში მოხვდეს სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის უსახლკარობა შესაძლოა გახდეს მიზეზი". თუმცა, 90-იანი წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ მიზეზით სულ უფრო ნაკლები ბავშვი ხვდება სახელმწიფო ზრუნვაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტის ახსნა შესაძლოა ორგვარად მოხდეს: 1. შესაძლოა საცხოვრისის დეპარტამენტი აკმაყოფილებს იმ ოჯახების განაცხადებს, რომლებიც არაადეკვატურ პირობებში ცხოვრობენ, სულ მცირე დროებითი საცხოვრებლით და 2. სოციალური მომსახურების დეპარტამენტის სოციალური მუშაკები უარს ეუბნებიან ოჯახებს ამ მიზეზით მიიღონ ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაში. შეიძლება ითქვას, რომ **არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების ქონა** 80 წლებიდან დღემდე სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

სოციალური მომსახურების სოციალურ მუშაკებსა და საცხოვრისის დეპარტამენტის მუშაკებს შორის მკაფიო განსხვავებაა მათ მოლოდინებსა და ინტერპრეტაციებს შორის იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს პრევენცია. სოციალური მუშაკები ეხმარებიან ბენეფიციარებს მიმართონ საცხოვრისის დეპარტამენტს, რათა ოფიციალურად მოხდეს მათი უსახლკაროებად დარეგისტრირება, რათა შემდგომში გახდნენ სახელმწიფო საცხოვრისის რეალური კანდიდატები, ხოლო საცხოვრისის დეპარტამენტი კი ცდილობს იყოს ბიუროკრატიული და რაც შეიძლება მეტ ადამიანს უთხრას უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სოციალური მუშაკები ამ საქმეში იყენებენ მოლაპარაკებისა და ადვოკატობის უნარებს. სწორედ ამიტომ ხშირად ოჯახები სწორედაც სოციალურ მუშაკებს მიმართავენ საცხოვრისის პრობლემის მოსაგვარებლად. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საცხოვრისის აპლიკანტების მეოთხედზე მეტმა პირველ რიგში მიმართა სოციალურ მომსახურების სააგენტოს საცხოვრისის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადმიანები არიან მარტოხელა მშობლები ან მარტოხელა ფეხმძიმე ქალები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შვილიანი ოჯახები განიცდიან გარკვეულ საფრთხეს მიმართონ სოციალურ მუშაკებს, რადგან ხედავენ მათი შვილების სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების რისკს.

ამრიგად, საცხოვრისის დეპარტამენტის მუშაკები გარკვეულწილად უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ რეფერალების მიმართ, რომელსაც აკეთებენ სპეციალისტი სოციალური მუშაკები.

დროებითი საცხოვრებელი

არსებობს სხვადასხვა სახის დროებითი საცხოვრებელი, რომლებიც გამოყენებულია, როგორც დროებითი საცხოვრებელი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ოფიციალურად უსახლკაროებად და მათ შესახებ მიმდინარეობს ძიება. მაგ. „ბრედ ენდ ბრექვესტ" ("Bread and Breakfast") სასტუმროები, „შორთ ლაიფ ჰაუზინგი" ("short life" housing"), ადგილობრივი ჰოსტელები და სხვ. აქედან ყველაზე ნაკლებად პოპ-

ულარულია „ბრედ ენდ ბრექვესტ“ (”Bread and Breakfast”), რადგანაც იქ ხვდებიან ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებიც.

დროებით საცხოვრებელში ოჯახები ხვდებიან შემდეგ სირთულეებს: (1) ძირითადი მომსახურების მიუწვდომლობა: განათლება, ჯანდაცვის მომსახურება, სოციალური დაცვის ბენეფიტები, (2) პირადი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ დროებით საცხოვრებელში, ხასიათდებიან დაბალი აკადემიური მოსწრებით და სოციალური ჩამორჩენით. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში ბავშვები სკოლაში საერთოდ არც კი დადიან. ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ „ბრედ ენდ ბრექვესტ“-ში ”(Bread and Breakfast”) ხშირად არაადეკვატურად იკვებებიან, რადგანაც ასეთი ტიპის დროებით საცხოვრებელში არ არის შესაბამისი სამზარეულოები. არსებობს ინფექციის გავრცელების რეალური საფრთხე. სასტუმროები არის გადატვირთული და არ არსებობს პირადი უსაფრთხოების გარანტია, განსაკუთრებით მაღალი რისკის წინაშე არიან ბავშვები (ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ძალადობა და სხვა).

სპეციალისტი სოციალური მუშაკები, რომლებიც დროებით საცხოვრებელში დახმარებას უწევენ ოჯახებს, ცდილობენ მათი შფოთვის შემცირებას ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. სოციალური მუშაკები ახდენენ ოჯახების რეგულარულ ინფორმირებულობას სკოლების, სოციალური დაცვის ოფისების და ა.შ. ადგილმდებარეობის და სხვა საკითხების შესახებ. ცდილობენ მოახდინონ მედიაცია, როცა წარმოიშვება კონფლიქტი დროებითი საცხოვრისის მენეჯერსა და დროებით მაცხოვრებელს შორის, ან დროებით მაცხოვრებლებს შორის. არის შემთხვევები, როდესაც სოციალურ მუშაკებს დროებითი მაცხოვრებლები სთხოვენ საცხოვრისის ადგილის შეცვლას, რაც თავის მხრივ დიდ უკმაყოფილებას იწვევს საცხოვრისის დეპარტამენტის მუშაკების მხრიდან.

ბუნებრივია, ოჯახები, რომლებიც უსახლკარობის პროცესში იმყოფებიან მრავალ სირთულის წინაშე დგანან, სადაც მათ სჭირდებათ სოციალური მუშაკის დახმარება და კონსულტირება. სოციალური მუშაკების მოღვაწეობის მთავარი სფერო მაინც არის ბავშვის დაცვა. ეს გამოიხატება ბავშვის აღზრდის მეთოდებთან დაკავშირებით ოჯახების კონსულტირებაში. რეკომენდაცია კეთდება პროაქტიულ კონსულტირებაზე.

დიდ ბრიტანეთში დღის წესრიგში დადგა საცხოვრისის და სოციალური მომსახურების დეპარტამენტებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის საჭიროება. ძირითადი სირთულეები იკვეთება შემდეგ საკითხებში: (1) ახალგაზრდა, რომელიც ტოვებს სახელმწიფო ზრუნვას, (2) ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ადამიანი, რომელიც ტოვებს ჰოსპიტალს, (3) უსახლკარო ოჯახის დროებითი განთავსება სხვა რაიონში, რაც იწვევს მის დაშორებას უკვე ნაცნობ სოციალურ მუშაკთან , (4) საუკეთესო პრაქტიკის, პროფესიული იდენტიფიკაციის განსაზღვრა ორივე, საცხოვრისის და სოციალური მომსახურების დეპარტამენტების მუშაკთათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Stewart G.& Stewart J., (1999), Social Work and Housing, The Macmillan Press LTD. Chapter 1: A social Work Approach to Housing, pg. 1-21, Chapter 4, Homless Families, pg. 76-91.

თემა 8: სოციალური მუშაობის თანამედროვე პრაქტიკა უსახლკაროებთან: ნარატიული მიდგომა

სოციალური მუშაკები უსახლკარო ოჯახებთან მუშაობისას იყენებენ ინტერვენციის სხვადასხვა მეთოდს. ქვემოთ განხილული იქნება ნარატიული მიდგომა, რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის შედეგად განვითარდა.

შესავალი: უსახლკარობის ზეგავლენა ოჯახების ცხოვრებაზე

უსახლკარო ოჯახების ძირითადი დეპრივაცია უკავშირდება უსაფრთხო, სტანდარტთან მიახლოებული საცხოვრისის უქონლობას (Choi & Snyder, 1999; Fischer, 2000; Goodman, Saxe, & Harvey, 1991; Lindsey, 1998). თუმცა, უსახლკარობა სხვა მატერიალურ დეპრივაციასა და რესურსების ნაკლებობასაც (ეკონომიკური სირთულეები, დასაქმება, განათლება, ჯანმრთელობა) გულისხმობს. ამგვარი ოჯახები განიცდიან მაღალ სტრესს და დემორალიზაციას. ისინი ერთდროულად განიცდიან სხვადასხვა სირთულეებს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ სიტუაციას. ავტორები მიუთითებე, რომ აშშ ში უსახლკარო ოჯახები მრავალი დილემის წინაშე დგანან (Fraenkel, Hameline, & Kowal, 2005). კერძოდ, თუ უსახლკარო ოჯახი პროფესიული ტრენინგის გავლის შედეგად იშოვის ისეთ სამსახურს, სადაც მას სიღარიბის სტანდარტით განსაზღვრულზე ოდნავ მეტი ხელფასი ექნება, მაშინ იგი დაკარგავს იმ ბენეფიტებს, რასაც იღებს სახელმწიფო დახმარებით (საცხოვრისი, ფულადი დახმარება და სხვ.). ასეთი სიტუაცია ამგვარ ოჯახებს უბიძგებს, რომ უარი თქვან პროფესიული განვითარების პროგრამაში ჩართვაზე. ოჯახის ამგვარი საქციელი კი სოციალური მუშაკების მხრიდან აღიქმება, როგორც არა თანამშრომლობითი, არა მოტივაციური, უპასუხისმგებლო და შესაძლოა მათ მიმართ გარკვეული სანქციების გატარების მიზეზიც კი გახდეს.

სხვა გარემოებები, რომელიც ქმნის ფრუსტრაციის, დემორალიზაციის და უიმედობის განცდას არის დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები გამომდინარე სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების დაბალი კვალიფიციკაციიდან და ნაკლებად კონკურენტული უნარ-ჩვევებიდან (Fischer, 2000); უსახლკარო ოჯახები, ასევე, ხასიათდებიან გაწყვეტილი ურთიერთობებით თავიანთ მშობლებსა და ნათესავებთან , რაც შესაძლოა მათი უსახლკარობის ერთ-ერთი მიზეზიც კი იყოს (Fischer, 2000; Lindsey, 1998; Weitzman et al., 1990).

კვლევები აჩვენებს, რომ ფიზიკური სიახლოვის მიუხედავად თავშესაფარში მყოფი ოჯახები არ ქმნიან მხარდამჭერ თემს, რაც შესაძლოა გამხდარიყო კარგი სოციალური კაპიტალი ამგვარი ოჯახებისათვის, თუმცა ერთობლივი შიში და კომფორტული გარემოს და რეკრეაციული აქტივობების ნაკლებობა ამის საშულებას არ იძლევა (Saegert, Thompson, & Warren, 2001).

უფრო მეტი, საცხოვრისის მქონე დაბალ შემოსავლიან ოჯახებთან შედარებით, უსახლკარო ოჯახები ხასიათდებიან მძიმე და ქრონიკული ჯანმრთელობის პრობლემებით ბავშვებში (Bassuk & Friedman, 2004; Miller & Lin, 1988; Pérez-Peña, 2004) და მოზრდილებში (Rog, McCombs-Thornton, Gilbert-Mongelli, Brito, & Holupka, 1995; Santora, 2006), ჯანდაცვის სერვისებისადმი ნაკლები მისაწვდომობით (Fischer, 2000; Hu, Covell, Morgan, & Arcia, 1989) და ფსიქიკური და ქცევითი პრობლემების ფართე სპექტრით როგორც ბავშვებში (Cumella, Grattan, & Vostanis, 1998) , ასევე მათ მშობლებში (Connelly & Crown, 1994; Fox, Barrnett, Davies, & Bird, 1990; Robertson, 1991). რასაკვირველია, ეს ოჯახები ემოციურ/ქცევითი პრობლემებით უსახლკარობამდეც ხასიათდებოდნენ, მაგრამ უსახლკარობამ კიდევ უფრო მეტი სიმწვავით წარმოაჩინა ეს პრობლემები, ზოგმა კი განივითარა უსახლკარობის ტრავმის საპასუხოდ (Bassuk & Friedman, 2004; Goodman et al., 1991). ამასთან, მათი ემოციური და ქცევითი პრობლემების დიაგნოსტირებამ, ფსიქიატრიულმა შეფასებამ და დიაგნოზის დას-

მამ შესაძლოა კიდევ უფრო გაზარდოს მათ მიმართ სტიგმა, რასაც ისინი ისედაც უკვე განიცდიან.

კვლევები აჩვენებს, რომ ქალები, რომლებიც გახდნენ უსახლკაროები ბავშვობაში უფრო მეტი სიხშირით განიცდიდნენ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, სახლკარის მქონე დაბალი შემოსავლების მქონე ქალებთან შედარებით (Browne, Salomon, & Bassuk, 1999; Styron, Janoff-Bulman, & Davidson, 2000, (Bassuk & Rosenberg, 1988; Weitzman et al., 1990). ასევე, უსახლკარო დედები განიცდიდნენ ოჯახურ ძალადობას (Anooshian, 2005). უსახლკარო ოჯახების ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები დიდ წილად (ძილის პრობლემები, სიმორცხვე, დამოკიდებული ქცევა, დეპრესია, ენზაიტი, სწავლის სირთულეები) გამოწვეულია ძალადობის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით (ძალადობის თვითმხილველი) მსხვერპლად ყოფნით. ისინი თავადაც არიან ჩართულნი თვითდამცავ აგრესიულ ქცევებში და ხშირად მიმართავენ აგრესიულ ქცევას თანატოლების მიმართ და სხვა ურთიერთობებშიც (Anooshian, 2005).

თავდაპირველად, ოჯახები ტრანზიციულ საცხოვრისში (ოჯახთა თავშესაფარი) შესახლებით გარკვეულ შეღავათებს განიცდიან, მაგრამ ამავდროულად ისინი მიუთითებენ იმ სირთულეებზეც, რასაც ეჯახებიან თავშესაფარის ხელმძღვანელობასთან და წესებთან შეგუების თვალსაზრისით. კერძოდ, უსაფრთხოების წარმომადგენლებთან, დასაქმების და საცხოვრისის სპეციალისტებთან და სოციალურ მუშაკებთან (childcare workers /case workers) ურთიერთობა მათი მხრიდან განიცდება, როგორც დეჰუმანიზირებული და დამამცირებელი (Fraenkel, et al., 2004; Fraenkel, Kowal, et al., 2005; Fraenkel, Kruk, et al., 2005; LaPointe, 1994). თავშესაფარში მოქმედებს მკაცრი წესები და პროცედურები შესვლაზე და გამოსვლაზე, სტუმრების შემოსვლაზე/მიღებაზე, ღამე წასვლაზე და სხვ. რაც თავშესაფრის მცხოვრებთა მიერ აღიქმება, როგორც ციხის მაგვარი და განიცდება, რომ მათ არ შესწევთ უნარი, აკონტროლონ საკუთარი ოჯახური ცხოვრება (Choi & Snyder, 1999). ოჯახებში ნორმალური ოჯახური იერარქია ირღვევა (სადაც მშობლები მონიტორინგს უწევენ შვილების ქცევას), რადგან თავშესაფარში ცხოვრებით უკვე საცხოვრისის ადმინისტრაცია გადაიქცევა როგორც ბავშვების, ისე მათი მშობლების მთავარ მონიტორად (Boxili & Beaty, 1990). იმის მიუხედავად, რომ თავშესაფარში მაცხოვრებელთა მიმართ მოქმედებს მოქცევის მკაცრი წესები და სანქციები ამ წესების დამრღვევთა მიმართ (Fischer, 2000), ხშირად თავშესაფრის არაადეკვატურობის გამო მშობლები შეშფოთებულნი არიან თავიანთი შვილების და საკუთარი უსაფრთხოების საკითხებით (Choi & Snyder, 1999).

ყველა ზემოთ მოხსენიებული სტრესორების ერთობლიობა უარყოფითად აისახება ოჯახების ფუნქციონირებაზე, მთლიან იდენტობაზე და ხშირად ოჯახი საკუთრი ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებსაც კი იღებს, ერთვება რა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ დაპირისპირების პროცესში (თავშესაფრის ადმინისტრაცია, სოციალური მუშაკი და ა.შ.). უსახლკარო ოჯახები არიან დიდი რისკის წინაშე მოახდინონ საკუთარი თავის ნეგატიური ფორმირება, რაც შემდგომ ხდება განმტკიცებული იმ სტიგმატიზირებული და არასწორი სტერეოტიპებით, რომელიც არსებობს უფრო ფართო კულტურაში უსახლკარო ადამიანების მიმართ (Kondratas, 1991).

უსახლკარო ოჯახებთან მუშაობის ნარატიული პრაქტიკა

ნარატიულ თერაპევტებს აქვთ სხვადასხვა ნიშნით (კლასი, რასა, გენდერი, ეთნიკურობა, სექსუალური ორიენტაცია, ფსიქიატრიული დიაგნოზი, ტრავმატული გამოცდილება, იმიგრაცია და სტატუსი და სხვა) მარგინალიზებულ, დისკრიმინირებულ და გარიყულ ადამიანებთან მუშაობის მრავალმხრივი პრაქტიკა (Aboriginal Health Council of South Australia, 1995; Col- orado, Montgomery, & Tovar, 1998; Epston, White, & «Ben,» 1995; Griffith & Griffith, 1995; Hare-Mustin & Marecek, 1994; Madigan & Epston, 1995; Madsen, 2006; Nichols & Jacques, 1995; Seikkula & Olson, 2003; Sheinberg & Fraenkel, 2001; Waldegrave, Tamasese, Tuhaka, & Campbell, 2003; Weingarten, 1995; Wingard & Lester, 2001).

ნარატიული პრაქტიკა მისაღებია შემდეგი მიზეზების გამო: 1. ეს მიდგომა არ არის თერაპია, არამედ ეს არის ოჯახური/თემური დახმარების პროგრამა, რომელიც პროფესიონალისგან მოითხოვს ნაკლებ ცენტრალიზებულ და დირექტიულ მოქმედებას და უფრო მეტად

ფასილტატორის როლში მოქმედებას; 2. ოჯახებს სჭირდებათ ადამიანი, რომელიც მოუსმენს მათ "უსახლკარობის" ისტორიებს; 3. ეს მიდგომა ფოკუსირდება პიროვნების და მეტყველების ურთიერთზეგავლენებზე. ნარატიულ თერაპია ამ მხრივ უნიკალურია, რადგან უშუალოდ ეხება სტიგმატიზირებულ ენას და "უსახლკარობის" იმიჯებს და ეხმარება ოჯახებს აღდგენაში და საკუთარი თავის განსხვავებულად დანახვაში; 4. ეხმარება ოჯახებს ცვლილებების განხორციელებაში სასურველი მომავლის ექსპლიციტური წარმოსახვით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც წარსული უდიდესი წინააღმდეგობებით იყო აღსავსე, ახლანდელი მდგომარეობა შიშის გამომწვევია, ხოლო უკეთესი მომავალი კი შეუძლებელი (Fraenkel, 1997; Fraenkel & Pinsof, 2001) და 5. შეიცავს შეფასების კომპონენტს, რაც იძლევა ნარატიული პრაქტიკის ეფექტურობის ემპირიულად შემოწმების შესაძლებლობას.

ნარატიული ტექნიკები

დისკუსია და ოჯახური თამაშები: თხრობის და ჩვენების ძალა (The Power of Telling and Witnessing)

ოჯახებს ინდივიდუალურად (მშობლებს და მოზარდებს) და ოჯახურ სადისკუსიო ჯგუფებში აქვთ შესაძლებლობა, რომ მოყვნენ თავიანთი ისტორიები, თუ როგორ გახდნენ უსახლკაროები, რა სირთულეებს შეხვდნენ თავშესაფარში, სიღარიბის პროგრამაში, სამუშაოს დაწყებასთან დაკავშირებით და ამ სირთულეებთან გამკლავების გზების შესახებ. ამ ინტერვიუს აქვს თერაპიული ეფექტი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადამიანები ხედავენ, რომ მათი ისტორია არაა გამორჩეული, რომ არიან სხვა ადამიანებიც, ვინც მსგავსი გამოცდილებით ხასიათდებიან. ეს კი ხელს უწყობს ჯგუფის შეჭიდულობის (კოჰესიურობის) განვითარებას. ასევე, ეძლევათ შესაძლებლობა გასცენ და მიიღონ მნიშვნელოვანი, პრაქტიკული ინფორმაცია პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ (Weine & Laub, 1995; Wingard & Lester, 2001, Yalom, 2005).

ოჯახების ურთიერთდახმარების მიღების და გაწევის შესაძლებლობის გასაზრდელად და ჯგუფური დისკუსიის ხელშეწყობის მიზნით, გამოიყენება ბარათების ტექნიკა. ბარათები ეხება სირთულეებს/გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს. ინდივიდუალურ ინტერვიუებიდან შესაძლებელია ამ სირთულეების იდენტიფიკაცია (საცხოვრისის პასუხისმგებლობების ნაკლებ დროში შესრულება, ჩემი პარტნიორი არ მეხმარება, უიმედობა, ხალხის უარყოფითი კომენტარებთან და დამოკიდებულებებთან გამკლავება, შეშფოთება იმის გამო, რამდენად შესძლებს ბავშვი საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას, როცა მშობლები მუშაობენ, სამუშაოზე წასვლის ახალ განრიგთან შეგუება და სხვ.). მოზარდებთან ინდივიდუალური ინტერვიუს დროს გამოყოფილია სხვა თემები ბარათებისთვის.

ჯგუფური სესიის დაწყების წინ, ყოველ ოჯახს ეძლევა ბარათები და მათ უნდა გადაარჩიონ სამ კატეგორიად: 1. საკითხები, რომლებიც მათთვის არ წარმოადგენს პრობლემას, 2. საკითხები, რომლებიც ნაწილობრივ პრობლემურია და 3. საკითხები, რომლებიც ძალიან პრობლემატურია და შესაბამისი ნუმერაციით ჩაალაგონ კონვერტებში. შემდეგ ფასილიტატორი სთხოვს წრეში პირველ ოჯახს №1 კონვერტიდან ამოიღოს ერთი ბარათი, უპრობლემო საკითხით და აღწეროს, თუ ეს საკითხი რატომ არ წარმოადგენს მისთვის პრობლემას და როგორ ახერხებს ამ პრობლემის მოგვარებას. ამ დროს, სხვა ოჯახმა შესაძლოა თქვას, რომ ეს საკითხი მისთვის №3 კონვერტში აღმოჩნდა, ანუ ყველაზე პრობლემური იყო. საგულისხმოა, რომ ხშირად ოჯახი საკითხს არ განიხილავს პრობლემურად, რადგან ჯერ ამ პრობლემას რეალურად არ შესჯახებია. ასეთი დისკუსია ზრდის ოჯახების ცნობიერებას შესაძლო პრობლემების შესახებ. შემდგომ სესიებში ოჯახებს სთხოვენ ამოიღონ ბარათები მეორე და მესამე კონვერტებიდან და ჩაერთონ დისკუსიაში.

ბარათების დაჯგუფების აქტივობა ეხმარება ოჯახებს თავიანთი კომპეტენტურობის აღიარებაში, ნათელი ხდება, რომ მათ გააჩნიათ გარკვეული კომპეტენციები და მათი მდგომარეობა არაა სრულიად უიმედო.

ბარათების ტექნიკის მეორე ვარიანტია თამაშის ფორმატი, რომელიც მოზარდებთან გამოიყენება. აქაც ბარათების გადარჩევა გამოიყენება დისკუსიის წამოსაწყებად, მაგრამ ამავდროულად გამოიყენება ოჯახური თამაშის აქტივობა "რა არის ჩემი გამოწვევა?" («What's My Challenge?»). ეს წარიმართება, როგორც სატელევიზიო თამაშის შოუ. მშ-

ობლებმა უნდა გამოიცნონ, თუ როგორ გადაარჩიეს მათმა შვილებმა ბარათები (არაა პრობლემური, ნაწილობრივ და ძალიან პრობლემურია) და ისაუბრონ, თუ რას ფიქრობენ მოზარდები თავიანთი გამოწვევების შესახებ. მეორე რაუნდში, კი პირიქით, მოზარდებმა უნდა გამოიცნონ ის, თუ როგორ გადაარჩიეს ბარათები მათმა მშობლებმა. იმ მოზარდებს და მშობლებს, რომლებიც კარგად იცნობენ ერთმანეთს, გადაეცემათ პრიზები.

თავშესაფარში გადარჩენის და წარმატების მიღწევის კო-ავტორიზებული სახელმძღვანელო

ზემოთ მოყვანილი ინტერვიუების და დისკუსიების საფუძველზე შესაძლებელია თავშესაფარში მაცხოვრებელთა თანაავტორობით წიგნის გამოცემა. ეს აქტივობა ეხმარება ოჯახებს გახდნენ კრეატიულები, შექმნან რაიმე ღირებული, რომელიც სხვა ადამიანებს და ოჯახებს დაეხმარება რთული ცხოვრების გაკვალვაში (a sense of generativity: Erikson, 1980/1959)

სიძლიერეების ხაზგასმა და ღირსებაზე ორიენტირებული ისტორიები

ნარატიული თერაპევტი/ფასილიტატორი ოჯახებს ახალისებს გაიხსენონ თავიანთი წარსულიდან ის ისტორიები, რომლებიც ახდენენ მათი პოზიტიური, ღირსეული თვისებების ილუსტრირებას და თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენენ მათ აწმყოზე და მომავალზე.

ფასილიტატორი სთხოვს ჯგუფის წევრებს ისაუბრონ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პიროვნული თვისებები, ოჯახის წევრები, ოჯახური და პიროვნული ისტორიები, სამუშაო და. ყველაფერი, რითიც ამაყობენ.

ექსტერნალიზირებული უსახლკარობა

ოჯახების წასახალისებლად, რომ მათ შეძლონ საკუთარი იდენტურობის დანახვა უსახლკარობისგან დამოუკიდებლად, გამოიყენება ექსტრენალიზაციის ნარატიული პრაქტიკა (White, 1988; White & Epston, 1990). ყოველ ოჯახს ეძლევა ტექსტი: უსახლკარობას მივუჩინოთ თავისი ადგილი (Putting Homelessness in its Place). ტექსტის შინაარსი შემდეგია: ”წლების მანძილზე ოჯახებთან მუშაობამ დაგვანახა, რომ პრობლემებს, რომელსაც განიცდიან ოჯახები, მთლიანად მოიცავს ოჯახებს და ოჯახები მხოლოდ ამ პრობლემების კონტექსტში განიხილავენ საკუთარ თავს. ჩვენ გვჯერა, რომ პრობლემების მიუხედავად, ოჯახებს აქვთ ძალიან ბევრი დადებითი მხარეები და თვისებები, რომლებიც ამ პრობლემების უკან იმალება. ეს საშინაო დავალება დაგეხმარებათ უსახლკარობის პრობლემას მიუჩინოთ თავისი ადგილი და მოახდინოთ თქვენი იდენტობის გამოცალკევება ამ სიტუაციიდან.

ეს არის ინსტრუქცია, თუ რა უნდა გააკეთოთ:

1. პირველ რიგში, დასხედით ერთად და ჩამოთვალეთ, თუ რა ზეგავლენა მოახდინა უსახლკარობამ თქვენს მთლიან ოჯახზე და თითოეულ ოჯახის წევრზე.
2. იფიქრეთ და გაიხსენეთ ის მომენტები, როდესაც უსახლკარობა ნაკლებ ზეგავლენას ახდენდა ან საერთოდ არ ახდენდა ზეგავლენას თქვენს ოჯახზე.
3. დაარქვით შემაჯამებელი სახელი იმას, თუ უსახლკარობა რა ზეგავლენას ახდენს თქვენს ოჯახზე. შეგიძლიათ გამოიყენოთ იუმორი. იყავით კრეატიულები.
4. კვირის მანძილზე დააკვირდით იმ მომენტებს, როცა უსახლკარობა ზეგავლენას არ ან ნაკლებად ახდენდა თქვენზე, თქვენს ოჯახზე და თქვენს საქმიანობაზე. როგორ იგრძენით თავი ინდივიდუალურად ან როგორც ოჯახმა.

მომავალ კვირას ჩვენ თითოეული ოჯახის წევრს შეგეკითხებით, თუ რა სახელი დაარქვით თქვენი უსახლკარობის მდგომარეობას და რატომ. ”

შემდგომ კვირას ოჯახის წევრები უგონებენ სახელებს თავიანთ უსახლკარობას და ყვებიან იმ საფეხურებზე, რაც გაიარეს, რამაც შეამცირა მათთვის უსახლკარობის განცდის შედეგები/ზეგავლენები მათ ცხოვრებაზე (the ‘Lost World.’, ”Morris Island», «Depression Valley», ”Mike Tyson”, ”Lifestyles of the Poor and the Unknown», «Second Chance.»)

აწმყოს და მომავლის სასურველი ნარატივების შექმნა

ავტორები მიუთითებენ დამატებით ტექნიკებზე, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ ოჯახებმა დაიბრუნონ იმედთან, ოცნებებთან და სამომავლო გეგმებთან კავშირი.

ოჯახებს ეძლევათ აქტივობები, რომელიც მათ უნდა გააკეთონ კვირის მანძილზე და მათ სთხოვენ რეფლექსიას ამ აქტივობების განხორციელების გამოცდილების შესახებ მომავალ კვირას ჯგუფურ შეხვედრაზე (Fraenkel, et al, 2009).

საოცნებო სამსახური: ოჯახის წევრებს სთხოვენ მოიფიქრონ მათთვის სასურველი და საოცნებო სამსახური. კარგია, როცა მშობლები უსმენენ შვილებს, რაც შესაძლოა მომავალში მათი მხარდაჭერის საფუძველი გახდეს.

ოჯახის გენოგრამა და სამუშაო ისტორიები: ოჯახებს სთხოვენ დახატონ ოჯახის ხე (ბოლო ორი თაობა) და მიუწერონ ის სამუშაოები, რომელსაც გაფართოებული ოჯახის წევრები იკავებდნენ. შესაძლოა ეს იყოს ახალი თაობისთვის ინსპირაციის წყარო. ორივე, დადებითი თუ ნეგატიური გამოცდილების გაზიარება დასაქმებასთან დაკავშირებით დაეხმარება ოჯახებს განსაზღვრონ სად არიან ახლა და სად უნდათ, რომ იყვნენ მომავალში და რა სჭირდებათ ამისათვის (უნარები, ტრენინგი, განათლება და სხვ).

დაუწერე წერილი შენს მომავალს: ოჯახებს სთხოვენ დაუწერონ წერილი საკუთარ თავს, როგორც წარმოუდგენიათ 2 წლის შემდეგ. წერილი უნდა აღწერდეს, თუ რას აკეთებენ ოჯახის წევრები, რას ფიქრობენ საკუთარ თავზე, რა ექნებათ მატერიალურად, რას საქმიანობებს განახორციელებენ ინდივიდუალურად და ოჯახთან ერთად, და ა.შ.

ნარატიული გამოცდილების არა ლინგვისტური ფორმები

გამოწვევების და მისი გადაჭრის გზების სურათების გადაღება: ოჯახებს აძლევენ ფოტოკამერას და სთხოვენ გადაიღონ ისეთი რაღაცეები, რომელიც წარმოადგენს იმის რეპრეზენტაციას, რაც მოეხმარა მათ პრობლემის/გამოწვევის გადაჭრაში.

მუსიკის გაზიარება: ოჯახებს თხოვენ სხვებსაც გაუზიარონ ის მუსიკა, რომელიც მათ მოეხმარათ პრობლემების დაძლევაში და გაძლიერებაში.

წარმოდგენის დადგმა: ჯგუფის დასრულების ცერემონიისთვის მზადდება წარმოდგენა, სადაც ოჯახის წევრები წარმოადგენენ გამოწვევებს, თუ როგორ გაართვეს თავი ამ გამოწვევებს და მათ იმედებს მომავლისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Fischer, R. L. (2000). Toward self-sufficiency: Evaluating a transitional housing program for homeless families. Policy Studies Journal, 28, 402-420.

Fraenkel, P. (1997). Systems approaches to couple therapy. In W. K. Halford & H. Markman (Eds.), Clinical handbook of marriage and couples interventions (pp. 379-413). Chichester, England: J. Wiley.

Fraenkel, P. (2006). Engaging families as experts: Collaborative family program development. Family Process, 45, 237-257.

Fraenkel, Peter; Hameline, Thomas; Shannon, Michele. Narrative and collaborative practices with families that are homeless, Journal of Marital and Family Therapy.35.3. (Jul 2009): 325-42.

Furman, B., & Ahola, T. (1992). Solution talk: Hosting therapeutic conversations. New York: Norton.

Goodman, L., Saxe, L., & Harvey, M. (1991). Homelessness as psychological trauma: Broadening perspectives. American Psychologist, 46, 1219-1225.

Lindsey, E. (1998). Service providers' perceptions of factors that help or hinder homeless families. Families in Society, 79, 160-172.

White, M. (1988). The externalizing of the problem and the re-authoring of lives and relationships. Dulwich Centre Newsletter, Summer, 3-21.

White, M., & Epston, D. (1990). Narrative means to therapeutic ends. New York: Norton.

Yalom, I. D. (2005). The theory and practice of group psychotherapy (5th ed.). New York: Basic Books.

თემა 9: სოციალური მუშაობის თანამედროვე პრაქტიკა უსახლკარო დედებთან: ფემინისტური მიდგომა

შესავალი

უსახლკაროთა თავშესაფრებში მარტოხელა დედების რიცხვის ზრდა განსაკუთრებულად მოითხოვს კლინიკური სოციალური მუშაობის მომსახურების განვითარებას. განსაკუთრებით ეფექტური ინტერვენციაა მოკლე-ვადიანი ფემინისტური მიდგომა. ტექნიკები მოიცავს მოსმენას და მხარდაჭერას.

სოციალური მუშაობის პროფესიის მისიაა ნაკლებად ბედნიერ, დაუცველ, უუფლებო პოპულაციასთან მუშაობა (Specht & Courtney, 1994). ჯეინ ადამსი, მე-19 საუკუნის ყველაზე გავლენიანი სოციალური მუშაკი, ცდილობდა დახმარებოდა ასეთ ადმიანებს "ადამიანი-გარემო" კონტექსტში და განეხორციელებინა თემური ჩარევები. მის "ჰულ"-ის სახლებში ემიგრანტ დედებს სთავაზობდნენ სხვადასხვა სერვისებს, როგორიცაა დედებისთვის საგანმანათლებლო სერვისები, ბაღები და ადრეული მოვლა ბავშვებისათვის.

დღეს, 21 -ე საუკუნეში, სოციალური მუშაობა უსახლკარო ოჯახებისთვის უნდა დაუბრუნდეს ამ გზას და უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ თავშესაფრით უზრუნველყოფას, არამედ დედებისათვის და მათი ოჯახებისათვის მომსახურების განვითარებას (ჩოლდბერგ, 1999). შემოთავაზებული მოდელი ხაზს უსვამს ქალის განვითარების ფემინისტურ გაგებას მოკლე ვადიან ინტერვენციის კონტექსტში (სულ 6 სესია).

ფემინისტური სოციალური მუშაობა: ძირითადი პრინციპები

ფემინიზმი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობაა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება და მათი გათანასწორება მამაკაცებთან ყველა სფეროში. ზოგიერთ მკვლევარს პირველ ფემინისტად პლატონი მიაჩნდა. ტერმინი „ფემინიზმი", პირველად 1895 წელს გამოიყენა ელის როსიმ, როგორც ქალთა მოძრაობის აქტივისტების იდეოლოგიის აღმნიშვნელი სიტყვა. ფემინიზმი, როგორც თეორია, წარმოიქმნა ქალთა მრავალსაუკუნოვანი დისკრიმინაციის, ისტორიული უსამართლობის, პატრიარქალური წყობის, მამაკაცის დომინირების უალტერნატივობის კრიტიკის შედეგად. რა თქმა უნდა, ფემინისტური თეორია შესაძლოა აღვიქვათ, როგორც კარგად განვითარებულ თეორიად, თუმცა ის ყველაზე კარგად განვითარდა ინგლისურ და ფრანგულ ლიტერატურაში. ფემინისტური თეორიის მთავარი არსი არის ქალისთვის ბიძგის მიცემა. კვლევის მიხედვით, ფემინისტური მიდგომები გადაწყვეტილებების და არჩევანის თავისუფლებას აღიარებს.

ფემინისტური თეორიების ჩამოყალიბება იმისთვის გახდა საჭირო, რომ შეჩერებულიყო ქალებზე ზეწოლა და ქალებს მისცემოდათ უფლება სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულიყვნენ, ასევე, ჰქონოდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ფემინისტური თეორიების უმრავლესობა დაკავშირებულია გენდერთან, სოციალურ კლასთან და კულტურასთან.

რა არის ფემინისტური კლინიკური სოციალური მუშაობა?

ფემინისტური სოციალური მუშაობის მრავალრიცხოვანი განსაზღვრებების და გაგების მიუხედავად, ძირითადი იდეოლოგია ეხება არჩევანის თავისუფლებას და "პოლიტიკური პერსონის" («personal as political») გაგებას. ფემინისტური სოციალური მუშაობის თემები მოიცავს "პატრიარქატის დასრულებას, უფლებამოსილების მინიჭებას" (Bricker-Jenkins & Hooyman, 1986). სოციალური მუშაობის ფემინისტური პრაქტიკა განიხილავს კლიენტს და სოციალურ მუშაკს, როგორც თანასწორუფლებიანს, სადაც არსებობს ორმხრივობის (რეციპროკულობის) და თანაბარუფლებიანობის განცდა. სოციალური მუშაკის და კლიენტის ურთიერთობის ძირითადი მიზანია კლიენტისათვის უფლებამოსილების მინიჭება, კლიენტის გაძლიერება. უფლებამოსილების მინიჭებით ქალს შეუძლია იპოვოს გარემოში ეფექტური ფუნქციონირების საკუთარი გზა. ფემინისტური სოციალური მუშაობა ასახავს

ქალის ფსიქოლოგიური განვითარების უახლეს გაგებას, სადაც აქცენტები კეთდება სიახლოვეზე, ზრუნვაზე, დაკავშირებულობაზე და ურთიერთობის ხარისხზე (Gilligan, 1982; Miller, 1990; Chodorow, 1989).

ფსიქოლოგიური განვითარება დანახულია, როგორც მუდმივად მიმდინარე ერთიანობა და დაკავშირებულობა. ფემინისტური გაგება, ასევე, ხაზს უსვამს დედა-ქალიშვილის ურთიერთობას, როგორც ქალის თვითშეფასების ფორმირების და სოციალურ გარემოსთან შეგუების კრიტიკულ ფაქტორს (Goldberg, 1994). ეს გაგება კრიტიკულია ნებისმიერი სოციალური მუშაობის ინტერვენციისთვის, რომელიც ეხება უსახლკარო დედებს. ბევრ უსახლკარო დედას აქვს პრობლემები საკუთარ დედებთან ურთიერთობებში (ზრუნვა და დაკავშირებულობა) (Goldberg, 1994).

დედა-ქალიშვილის ურთიერთობა, ასევე, ზეგავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. ადრეულ ასაკში მხარდამჭერი და პოზიტიური ზრუნვის გამოცდილება ზეგავლენას ახდენს მომავალში საკუთარ ოჯახში ქალის მიერ საკუთარ შვილებზე მზრუნველობის პრაქტიკაზე (Hausman & Hammen, 1993). ამრიგად, მოსალოდნელია, რომ ქალებს, რომლებიც განიცდიან საკუთარ დედებისგან მზრუნველობის ნაკლებობას, ექნებათ პრობლემები საკუთარი შვილების მიმართ ადეკვატური მზრუნველობის გაწევაში.

ფემინისტური სოციალური მუშაობა ასევე ხაზს უსვამს პოსტმოდერნისტულ იდეოლოგიას. პოსტმოდერნისტული აზროვნება ასახავს რწმენას, რომ არსებობს მრავალი რეალობა და ამ რეალობის გაგების უამრავი გზა (Gross, 1996). იმისათვის, რომ გაიგო ჭეშმარიტება, საჭიროა ამ ჭეშმარიტების დამკვირვებლის მხრიდან გაგება, ამ შემთხვევაში, უსახლკარო დედისგან. პოსტმოდერნიზმი ეძებს მრავალ ჭეშმარიტებას. ისინი უარყოფენ აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობას (Gross, 1996).

Van Den Bergh (1995) საუბრობს პოსტმოდერნისტული აზროვნების ზეგავლენაზე უუფლებო ადამიანების მიმართ. ასეთ ადამიანებს აქვთ "ორმაგი ცოდნა". მათ აქვთ რეალობის ორივეგვარი გაგება: რეალობის/ჭეშმარიტების გაგება უმრავლესობის მხრიდან და უმცირესობის მხრიდან. Hartman (1994), ასევე, მიუთითებს, რომ "დანახული არ შეიძლება დავაშოროთ დამნახავს". უსახლკარო დედებთან ფემინისტური სოციალური მუშაობის ამოსავალი პრინციპია მათი რეალობის "ჭეშმარიტების" გაგება.

ფემინისტური და პოსტმოდერნისტული აზროვნება კრიტიკულია უსახლკარო ქალებთან კლინიკური სოციალური მუშაობის ინტერვენციისთვის. უსახლკარო დედის მიერ დანახული რეალობა განსხვავებულია სოციალური მუშაკის მიერ დანახული რეალობისგან, იმისგან, თუ სოციალური მუშაკი რას ფიქრობს იმის შესახებ, თუ რა იცის ამ ადამიანმა. მისი ისტორიის მოსმენა მისი უსახლკარობის გაგების დასაწყისია.

ფემინისტური თერაპია: ძირითადი მიდგომები

ერთ-ერთი ტექნიკა, რომელიც ფემინიზმთან გამოიყენება არის ფემინისტური თერაპია. იგი აქცენტს აკეთებს და ხელს უწყობს ქალებს, რათა მათ აღმოაჩინონ, თუ როგორ დაარღვიონ სტერეოტიპები და ზოგიერთი ტრადიციული როლები, რამაც შეიძლება დაბლოკოს მათი განვითარება და ზრდა. ამ ტიპის თერაპიისადმი ინტერესი გაიზარდა 1960-იანი წლებიდან, მაშინ როდესაც გააქტიურდა ქალთა მოძრაობები. ფემინისტური თერაპია ფოკუსირებული უნდა იყოს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ასერტულობა, კომუნიკაცია, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა. ფემინისტური თერაპევტების მთავარი მიზანია თანაბარი ურთიერთობებისათვის ზრუნვა და მხარდაჭერა. თერაპევტი მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი არის ერთადერთი „ექსპერტი" საკუთარ საქმეში და ის ცდილობს ხელი შეუწყოს მის განვითარებას. ფემინისტური მიმართულების თერაპევტისთვის კლიენტი ფლობს უნიკალურ პოტენციალს. ჯერალდ კორის მიხედვით ფემინისტური თერაპია ეფუძნება ხუთ ურთიერთდაკავშირებულ პრინციპს:

1. პირადი პოლიტიკურია, რომელიც ახორციელებს სოციალური ცვლილებების ხორცშესხმას.

2. თანასწორი ურთიერთობა კონსულტაციისას კლიენტსა და თერაპევტს შორის. კლიენტმა უნდა იცოდეს, რომ მას აქვს ძალა შეცვალოს და განსაზღვროს საკუთარი ცხოვრება, თერაპევტი კი არის მხოლოდ ინსტრუმენტი და ინფორმაცია.

3. ქალების გამოცდილება პატივსაცემია და მათ უნდა გამოიყენონ პირადი გამოცდილება და ინტუიცია.

4. ქალის პრობლემების გამოწვევაში ჩართულნი არიან, როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორები. ტკივილი და წინააღმდეგობები აღიქმება, როგორც დადებითი დადასტურება ცხოვრების სურვილისა და დარდის გადალახვისა;

5. თერაპევტები აღიარებენ ზეწოლის ინტეგრირებულ მოდელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალებიც და მამაკაცებიც ექვემდებარებიან ზეწოლას და სტერეოტიპებს. ამ რეპრესიულ გამოცდილებას აქვს ღრმა ზეგავლენა რწმენასა და აღქმებზე.

გარდა ამისა, ლენორე ვოლკერი (Lenore Walker) მიუთითებს ფემინისტური თერაპიის ძირითად პოსტულატებზე:

1. თანასწორი ურთიერთობები: თანაბარი ურთიერთობა კლიენტსა და თერაპევტს შორის არის მოდელი კლიენტისთვის სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში.

2. ძალაუფლება: ქალებს ასწავლიან, რათა მოიპოვონ და გამოიყენონ ძალა ურთიერთობებში და პასუხი აგონ შესაძლო შედეგებზე.

3. ქალთა ძლიერი მხარეები: იმდენად, რამდენადაც ტრადიციული თერაპია ფოკუსირებულია ქალის ნაკლისა და სისუსტეების წინ წამოწევაზე, ფემინისტური თერაპიები ასწავლიან ქალებს ეძებონ ძლიერი მხარეები და შეძლონ მათი ეფექტურად გამოყენება.

4. სამედიცინო მოდელი უარყოფილია და ქალთა პრობლემის განხილვა ხდება სოციალურ კონტექსტში.

5. განათლება: ქალებს ასწავლიან შეიძინონ ცოდნა, რომელიც უნდა გამოიყენონ საკუთარი თავის საკეთილდღეოდ.

6. გრძნობათა მიღება და დამტკიცება: ფემინისტური თერაპევტები აფასებენ თვით გამჟღავნების/გამოვლენის მცდელობას და ცდილობენ, ამოიღონ "ჩვენ-ისინი" ბარიერის ტრადიციული თერაპიული ურთიერთობა.

მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ფემინისტური თერაპია არ არის მხოლოდ ქალებისთვის, თერაპიით სარგებლობა დასაშვებია მამაკაცებისთვისაც. გარდა ამისა, არსებობს ცნება, რომ „პირადი პოლიტიკურია". ეს ცნება ნიშნავს, რომ პირადი გამოცდილება არის ჩანერგილი პოლიტიკურ სიტუაციებში, კონტექსტში და რეალობაში.

უსახლკარო დედებთან ფემინისტური მიდგომა

უსახლკარო დედები მოდიან რა თავშესაფარში თავიანთ შვილებთან ერთად, იმყოფებიან დეპრესიის, სიბრაზის, ტკივილის, შეურაცხყოფის სხვადასხვა საფეხურზე. მრავალი მათგანი ასევე არის ალკოჰოლის და არალეგალური ნივთიერების (ნარკოტიკების) მომხმარებელი. ეს საკითხები არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, იმისათვის, რომ დავეხმაროთ დედას უკეთესი ცხოვრების ძიებაში. ეს მიდგომა არის მოკლევადიანი მიდგომა და ხაზს უსვამს ფემინისტურ თეორიას და კლინიკური სოციალური მუშაობის უნარ-ჩვევებს. კერძოდ, კლიენტის ისტორიის მოსმენის უნარ-ჩვევები, მისი დანახვა, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორის, უფლებამოსილების მინიჭებაზე მუშაობა, ძლიერი მხარეების გაგებაში დახმარება, სხვებთან სიახლოვის, დაკავშირებულობის მნიშვნელობის გაგებაში დახმარება ახლა და მომავალში. ეს მიდგომა, ასევე, ხაზს უსვამს თერაპიული ურთიერთობის მნიშვნელობას, რადგან ეს მას დაეხმარება მომავალში სხვებთან მხარდამჭერი და მზრუნველი ურთიერთობების შენებაში.

შინაგანი წვდომის განვითარებაზე ორიენტირებული (insight-oriented) ტექნიკები და კოგნიტური ტექნიკები არის გამოყენებული, ასევე, კლასიკური სოციალური მუშაობის ტექნიკები, როგორიცაა მოსმენა, ინტერპრეტაცია და მხარდაჭერა. ბოლოს, ეს მიდგომა მიმართულია კლიენტის გაძლიერებაზე, სადაც დანახულია უსახლკარო დედა, როგორც უნარიანი, ტალანტიანი, კომპეტენტური, ღირებულების მქონე, საკუთარი აზრის მქონე, ტრავმის მქონე და ჩაგრული (Saleebey, 1996).

Goldberg (1999) მიხედვით, ფემინისტური მიდგომა უსახლკარო დედების მიმართ მოიცავს 6 მნიშვნელოვან ასპექტს:

1. ფემინისტური რწმენა, რომ საჭიროა ქალი კლიენტის გაძლიერება. მისი ბრძოლა პოლიტიკურია და ასევე პიროვნული;

2. სოციალური მუშაობის "ადამიანი-გარემოში" პარადიგმის გამოყენება. თავშესაფარში ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების გაცნობიერება. სახლის დაკარგვის, პარტნიორის ან ქმრის დაკარგვის ზეგავლენის გაცნობიერება. იმის მიუხედავად, რომ ქმარი/პარტნიორი შესაძლოა იყოს მოძალადე, ქალს აქვს მასთან ემოციური კავშირი და საჭიროა ამაზე მუშაობა.

3. დროში შეზღუდული მიდგომა ინტერვენციის მიმართ. კლიენტს სჭირდება თერაპიული ურთიერთობის "კარგი" დასასრული, რადგან მისი სხვა ურთიერთობები იყო ქაოტური, მოულოდნელი და უმწიფარი.

4. წერილობითი კონტრაქტი, რომელიც განვითარებულია სოციალური მუშაკის და კლიენტის მიერ და მასში შეთანხმებულია მიზნები და მისი შესრულების დროითი ჩარჩოები. ეს მნიშვნელოვანია კლიენტის უფლებამოსილების, გაძლიერების განვითარებისათვის და იმისათვის, რომ მას დავეხმაროთ მისი საჭიროებების მოგვარებაში.

5. მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფარში შემთხვევის მენეჯერი არ იყოს კლინიკური სოციალური მუშაკიც. ეს ორი როლი განსხვავებულია. კლინიკური სოციალური მუშაკი ვერ იქნება ეფექტური, თუ მას ასევე დაევალება კლიენტისთვის გარკვეული ბენეფიტების მოპოვება ან ჩამორთმევა.

6. ეს სერვისი უნდა მივაწოდოთ თავშესაფარში. მას ისედაც ბევრი დრო ეხარჯება სამუშაოს ძებნაში და სხვა საქმეებში.

შემთხვევის ანალიზი

"ფ. არის დეპრესიაში მისი მიმდინარე და წარსული ცხოვრების სიტუაციიდან გამომდინარე. მიუხედავად დეპრესიისა, მას შეუძლია თერაპევტთან სამუშაო ურთიერთობის დამყარება. პირველი ორი სესია ეთმობა ორივეს მხრიდან შეფასებას. თერაპევტი ცდილობს მის უკეთ გაგებას, ფ კი ფიქრობს, იმის შესახებ ენდოს თუ არა თერაპევტს. თერაპევტი მას ესაუბრება, როგორც ადამიანი ადამიანს და არა პროფესიონალი კლიენტს. თერაპევტი ცდილობს მასთან ურთიერთობის დამყარებას, ისე რომ ამ ქალმა თავი იგრძნოს უფლებამოსილად, გაძლიერებულად. მისი ძლიერი მხარეა ის, რომ იგი გადარჩა ამ ურთულეს სიტუაციაში. თერაპევტი ამას იმეორებს ხშირად. თერაპევტი დებს კონტრაქტს, რათა ფ. უფრო მეტად ჩაერთოს და აკონტროლოს თერაპიის პროცესი. ასევე ფ-მ იცის, რომ თერაპიის პროცესი დასრულდება 6 სესიის შემდეგ.

მესამე სესიაზე, უკვე ნათელია რომ დამყარებულია ნდობითი ურთიერთობა თერაპევტსა და ფ-ს შორის, რაც არის იმის საფუძველი, რომ ფ-მ უკეთ იგრძნოს თავი.

მესამე, მეოთხე და მეხუთე სესიებზე, ფ მუშაობს თავის ტკივილზე, სიბრაზეზე. ეს პერიოდი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც "სამუშაო პერიოდი". მის გრძნობებზე მუშაობა, მას ეხმარება დეპრესიის დაძლევაში. სხვა პოზიტიური გარემო ცვლილებები – საცხოვრისი და დასაქმება – ეხმარება მისი ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ასევე, ახალ ადამიანებთან დაახლოება სამსახურში, ხელს უწყობს მას დაძლიოს იზოლაცია და განავითაროს დადებითი ურთიერთობები.

თერაპიული ურთიერთობა ხელს უწყობს ახალი ცხოვრებისეული ისტორიის ფორმირებაში. ეს მას მომავალშიც ექნება, როგორც მოდელი სხვა ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ბოლო სესიაზე ფ-ს მოყავს თავისი შვილი. ეს ადასტურებს იმას, რომ იგი მოწყენილია, მაგრამ ემზადება სესიების დასრულებისათვის. თერაპევტი მას ესაუბრება თერაპიის დასრულებაზე"

რასაკვირველია, მოკლე თერაპია, რომელიც 6 სესიისგან შედგება ვერ გაუმკლავდება ქალის ყველა პრობლემას, მაგრამ მისი მთავარია არსია ის, რომ ქალს აღმოუჩინოს დახმარება, მხარდაჭერა, ზრუნვა. თერაპიის პროცესში კრიტიკულია, რომ ქალმა შესძლოს თავისი ისტორიის გაზიარება. მან გაიაზროს ის კოგნიტური დისონანსი, რაც მას ექმნება მისი ცხოვრებისეული სიტუაციის გამო. წარმატებული თერაპიის შედეგად შესაძლებელი ხდება ქალის დეპრესიის დამარცხება. ქალს უვითარდება უფლებამოსილების

და სიძლიერის შეგრძნება, უჩნდება დაკავშირებულობის განცდა, რითაც უმკლავდება იმ იზოლაციას, რასაც მანამდე განიცდიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Auletta, K. (1983) The underclass. New York: Vintage House. Bassuk, E. L., & Rosenberg, L. (1988) Why does family homelessness occur? A case controlled study. American Journal of Public Health, 78, 783-788.

Bassuk, E. L. (1993) Social and economic hardships of homeless and other poor women. American Journal of Orthopsychiatry, 63(3), 340-346.

Bricker-Jenkins, M., & Hooeyman, N. (1986). Not for women only.

Brown, A. (1993) Family violence and homelessness: The relevance of trauma histories in the lives of homeless women. American Journal of Orthpsychiatry, 63(3), 370-381.

Brown, K. S., & Ziefert, M. (1990). A feminist approach to working with homeless women. Af lia, 5(1), 6-20.

Chodorow, N. (1989). Feminism and psychoanalytic theory. New Haven: Yale University Press

Cohen, C. S., & Phillips, M. H. (1997). Building community: Principles for social work practice in housing settings. Social Work, 42(5), 471 -481.

Ewalt, P L. (1996). Social work in an era of diminishing federal responsibility: Setting the practice, policy, and research agenda. Social Work, 41(5), 439-440.

Goldberg, Joan E. A short term approach to intervention with homeless mothers: A role for clinicians in homeless shelters. Families in Society.80.2. (Mar/Apr 1999): 161-168.

Gilligan, C. (1982). In a different voice. Cambridge, MA: Harvard University Press

Goldberg, J. (1994). Mutuality in mother-daughter relationships. Families in Society, 75, 236-242.

Gross, G. (1996). Postmodern social work: No truths outside the gates of Eden. The Journal of Baccalaureate Social Work, 2(1), 63-77. Hagen, J. L., & Ivanoff, A. M. (1988) Homeless women: A high-risk population. Affilia, 3(1), 19-33.

Hartman, A. (1994) The winds of change. Smith College Studies in Social Work, 64, 210-220.

Hausman, B., & Hammen, C. (1993). Parenting in homeless families: The double crisis. American Journal of Orthopsychiatry, 63(3), 358-369.

Jencks, C. (1994) The homeless. Cambridge, MA: Harvard University

Mann, J. (1973). Time limited psychotherapy. Cambridge, MA: Harvard University Press.

Miller, J. B. (1990). The developement of women's sense of self.-In Jordan, et.al (eds). Women's growth in connection (pp. 11-26) New York: Guilford Press.

Saleebey, D. (1996). The strengths perspective in social work practice: Extensions and cautions. Social Work, 41(3), 296-305.

Schiver, J. (1995). Human behavior in the social environment. New York: Allyn and Bacon.

Shutt, R. K., & Garrett, G. R. (1992). Responding to the homeless: Policy and practice. New York: Plenum Press.

Specht, H., & Courtney, M. (1994). Unfaithful angels. New York: The

Free Press.

Stroup, H. (1986). Social welfare pioneers. Chicago, IL: Nelson Hall Publishers.

Van Den Bergh, N. (1995) Feminist practice in the twenty-first century. Washington, DC: NASW Press.

თავი 10: სხვადასხვა ტიპის საცხოვრისის მომსახურება დაუცველი ჯგუფებისათვის: სათემო ზრუნვის მოდელი

სათემო მომსახურებები: ზოგადი მიმოხილვა დიდი ბრიტანეთის მაგალითზე

თემის განსაზღვრებები ძალიან მრავლისმომცველი და ორაზროვანია. მაგ. თემი განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ მსგავსი თვისებები, ინტერესები და სოციალური კავშირები; გეოგრაფიული ერთეული, სადაც ცხოვრობენ ადამიანები; ადამიანთა სოციალური კავშირების კომპლექსური ქსელი და ა.შ. Bayley (1973) განასხვავებს ორ ტერმინს: **ზრუნვას თემში** – ზრუნვა, რომელიც მიმდინარეობს გეოგრაფიულ არეალში, სადაც ცხოვრობენ ადამიანები და **ზრუნვას თემის მიერ** – ზრუნვა, რომელიც ხორციელდება სოციალური ურთიერთობების ქსელის კონტექსტში.

ზრუნვა თემში მოიაზრებს *სახლში დახმარების აღმოჩენას*, როგორიცაა სახლში დახმარებისა და ადაპტაციის მომსახურება, ოკუპაციური თერაპიის მომსახურება, ძიძის მომსახურება, სახლში საკვების მიტანა, გარეცხვაში დახმარება და ა.შ. ასევე აქვე განიხილება ე.წ. *ნორმალიზაცია*, რომლის შემთხვევაში ხაზგასმულია "დამოუკიდებლობის" იდეა. საზოგადოებაში სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების დახმარება. მაგ. მოზრდილთა სატრენინგო ცენტრები ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებისათვის ეხმარება ბენეფიციარებს სოციალური უნარების გამომუშავებაში, სახლის საქმეების მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში და ა.შ.

ზრუნვა თემის მიერ მოიაზრებს *თემის წევრების მიერ ზრუნვას და სათემო მომსახურებას. ზრუნვა თემის წევრების მიერ* გულისხმობს ორმხრივი სოციალური ურთიერთობების ქსელს, რომელიც ორიენტირებულია ერთობლივი დახმარების აღმოჩენაზე და პიროვნული კეთილდღეობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე (Seebohm, 1968). სათემო *მომსახურება* მოიცავს სახელმწიფო და მოხალისეობრივი მომსახურების პაკეტს, მათ შორის სოციალურ გარანტიებს, განათლებას, ჯანდაცვას, საცხოვრისს და სოციალურ მუშაობის მომსახურებას.

სათემო ზრუნვის მოდელისგან განსხვავებით, **რეზიდენტული ზრუნვა** გულისხმობს ზრუნვას 24 საათიანი საცხოვრებლის მიწოდებით. უნდა აღინიშნოს, რომ რეზიდენტული ზრუნვის ქვემოთ დასახელებული სახეები სათემო ზრუნვის შემავსებელია.

Wagner (1988)-ი განასხვავებს რეზიდენტული ზრუნვის სხვადასხვა ტიპებს:

- ✓ გრძელვადიანი ზრუნვა: მოხუცთა სახლები, ბავშვთა სახლები და ა.შ.
- ✓ „რესპაიტ" ზრუნვა: ეს ზრუნვის ტიპი ეხმარება მზრუნველებს შეისვენონ ზრუნვისგან და საკუთარ თავს დაუთმონ დრო.
- ✓ შეფასება: სახლები, ძირითადად ბავშვებისათვის, სადაც ხდება მათი საჭიროებების შეფასება და სათანადო ზრუნვის განსაზღვრა.
- ✓ რეაბილიტაცია: პრობაციის ჰოსტელები ან ჰოსტელები ყოფილი ფსიქიატრიული პაციენტებისათვის, რომელიც ეხმარება მათ თემში დასაბრუნებლად.
- ✓ თერაპია და მკურნალობა: მაგალითები: ჰოსტელები ნივთიერებაზე დამოკიდებული ადამიანებისათვის, ჰოსტელები ფსქიკური პრობლემების მქონე ადმიანებისათვის.
- ✓ ტრენინგი: სახლები და ჰოსტელები შშმ პირებისთვის და დედათა და ბავშვთა თავშესაფრები.
- ✓ გამოჯანმრთელება: საექთნო სახლები ხანდაზმულებისათვის და ზოგიერთი ფსიქიატრიული პაციენტებისათვის.
- ✓ მორგებული (ე.წ. სახლში მოვლის სერვისი) ზრუნვა ხანდაზმულებისათვის და შშმ პირებისათვის.

სათემო ზრუნვის მოდელები მწვავე ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებისათვის

1950 წელს დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 150 000 პაციენტი იმყოფებოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. დეინსტიტუციონალიზაციის შემდეგ, Shepherd (1998)-ის მიხედვით, მათი რიცხვი შემცირდა 30 000-მდე. ბრიტანეთის ჯანდაცვის დეპარტამენტის (Department of Health, 1990) ინიციატივით შემუშავდა უფრო მეტად ინდივიდუალიზირებული ზრუნვის გეგმა და მონიტორინგის სისტემა ე.წ. ზრუნვის პროგრამული მიდგომა და ზრუნვის მართვა (Care Programme Approach (CPA) and care management). უფრო მოგვიანებით, შემოთავაზებულ იქნა ე.წ. სათემო მომსახურების თანამედროვე მოდელი ე.წ. 'ზრუნვის სპექტრი" (Department of Health, 1997). კერძოდ, შემოთავაზებული ზრუნვის ინტერვენციებია:

ა) საცხოვრებელი

სხვადასხვა ტიპის მაღალი დონის დახმარების მქონე საცხოვრისი (მათ შორის 24 საათიანი ძიძის დახმარების სერვისით)

ბ) სამუშაო და დასაქმება

ისეთი სერვისები, რომელიც უკავშირდება სამუშაოს შესაძლებლობების გაზრდას, შეფასება და ტრენინგი, ღია დასაქმება მხარდაჭერის აღმოჩენით, საცხოვრისის ტიპის სოციალური საწარმოები და კოოპერატიული ბიზნესები და ა.შ. (Pozner et al., 1996). აქ მთავარია, ბენეფიციარის საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარებს მოსწონთ ისეთი მომსახურება , რომელთაც აქვთ დადებითი იმიჯი საზოგადოებაში (Dick & Shepherd, 1995).

გ) სპეციალიზირებული სათემო გუნდები

ასეთი გუნდები მუშაობენ მაქსიმუმ 10-15 ბენეფიციართან, გაგრძელებული სამუშაო დღით, ინტენსიური დახმარების აღმოჩენით (ყოველდღიური ვიზიტები). ისინი იყენებენ ასერტიული მოქმედების მოდელს (assertive outreach' model). ასეთი ჯგუფები უფრო მეტად გავრცელებულია აშშ-ში და ავსტრალიაში (Thompson, Griffith & Leaf, 1990; Hambridge & Rosen, 1994). ბოლო დროს კი დიდ ბრიტანეთშიც.

მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ ერთმანეთისაგან "ინტენსიური დახმარების" გუნდები და კრიზისული ინტერვენციის მომსახურება. მართალია ორივე ჯგუფისთვის დამახასიათებელია საერთო ნიშნები (მაგ. ასერტიული მოქმედება, გაგრძელებული სამუშაო საათები, ინტენსიური ვიზიტები), მაგრამ მათი მიზნები განსხვავებულია. კრიზისული გუნდები არიან მოკლე ვადაზე ფოკუსირებულნი და აქცენტს აკეთებენ სიმპტომის გადაჭრაზე, მაშინ როცა ინტენსიური მხარდაჭერის გუნდებს აქვთ ხანგრძლივ ვადიანი პერსპექტივები, მეტი აქცენტებით დახმარებაზე, სოციალური ფუნქციონირების ოპტიმიზაციაზე. კრიზისულ ჯგუფები ეყრდნობიან სამედიცინო ჩარევას და ჰოსპიტალიზაციას, ხოლო ინტენსიური დახმარების ჯგუფები კი ეყრდნობიან პრაქტიკულ დახმარებას, სოციალურ დახმარებას და თემურ აქტივობებში ჩართვის მისაწვდომობის გაზრდას.

დ) სტაციონალური დახმარება

ბუნებრივია, სტაციონალური დახმარება სჭირდებათ ადამიანებს, რომლებიც განიცდიან მწვავე ფსიქიკურ აშლილობებს. მნიშვნელოვანია, რომ ჰოსპიტალის და სათემო მომსახურება მჭიდროდ იყოს ინტეგრირებული. კერძოდ, ჰოსპიტალის გუნდი და სათემო დახმარების სპეციალიზირებული გუნდები მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ.

სათემო ზრუნვის მოდელები ხანდაზმულთათვის

ხანდაზმულთათვის სოციალური სერვისების მიზანია მათთვის დამოუკიდებლად ცხოვრების ხელშეწყობა. მათთვის სოციალური მომსახურება მოიცავს: შინ მოვლის მომსახურებას, დღის ცენტრებს, დროებით რეზიდენტულ ზრუნვას, „რესპაიტ" მომსახურებას.

რეზიდენტული ზრუნვის მომსახურება მოიცავს საცხოვრისს, ხანგრძლივვადიან ჰოსპიტალურ ზრუნვას, კერძო საექთნო სახლებს.

არსებობს რეზიდენტული ზრუნვის სამი მოდელი: ა) ღრმად ხანდაზმულთა სახლი, სადაც განთავსდებიან ხანდაზმული ადამიანები და მათთვის უზრუნველყოფილია ინტენსი-

ური ზრუნვა, ბ) ე.წ. ჰორტიკულტურული სახლი (Horticulture) სთავაზობს ხანდაზმულებს ისეთ გარემოს, სადაც მათ განვითარების მაქსიმალური საშუალება ეძლევათ. გ) ნორმალიზაციის მოდელის მიხედვით, ხანდაზმულები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი თემში. ასეთი მომსახურების სახეებია: ე.წ. მაღალი შეჭიდულობის (”High Dependency”) საცხოვრისი, რომელშიც მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილია სოციალური მომსახურება, მეორე ტიპია ჯგუფური სახლი (”group living”), სადაც ბენეფიციარები ცხოვრობენ პატარა ოჯახურ სახლებში და მათ ეძლევათ შანსი გააკეთონ ის, რაც შეუძლიათ.

სათემო ზრუნვის მოდელები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სტატუსის დადგენა, ასევე, მნიშვნელოვანი ამოცანაა. შეზღუდულობა ხშირად ინტერპრეტირდება, როგორც ჯანმრთელობის პრობლემა. არსებობს ტენდენცია, რომ დაეყრდნონ სამედიცინო მტკიცებულებას, რომ პიროვნების შეზღუდულობის სტატუსი დადგინდეს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, პიროვნების ფუნქციონალური შესაძლებლობის შეფასება. არსებობს სკალების მთელი რიგი, რითაც ფასდება პიროვნების მიერ გარკვეული ამოცანების განხორციელების უნარები (Goldberg & Connolly, 1983). ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული სკალაა კრიჩტონის ქცევის შეფასების სკალა (Crichton Royal Behavioral Rating Scale).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გამოყენებულია პერსონალური სოციალური მომსსახურება, რათა მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ამ ადამიანების დამოუკიდებლობა. ეს მომსახურებაა: სახლში მოვლის სამსახური, სოციალური მხარდაჭერა, დახმარება მზრუნველებისათვის და რეზიდენტული ზრუნვა. ასევე, არის დღის ცენტრები, სადაც უზრუნველყოფილი ტრენინგები ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ამ დღის ცენტრებში ზოგჯერ ასაკობრივი ლიმიტია განსაზღვრული, კერძოდ 65 წლამდე. სპეციალისტი სოციალური მუშაკის ამოცანებია: დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მის მდგომარეობასთან ადაპტაცია/შეგუებაში, რადგანაც ხშირ შემთხვევაში მათ აქვთ დაბალი თვითშეფასება ან განიცდიან სოციალურ გარიყულობას.

1970 წლის ქრონიკული ავადმყოფობის და შეზღუდულობის აქტით განისაზღვრა სოციალური მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ეს მომსახურებებია:

1. მოვალეობა მოიპოვო სპეციფიკური ინფორმაცია შეზღუდულობის შესახებ (დეტალური შეფასების უზრუნველყოფა).
2. საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყო:

- სახლში დახმარება
- რადიო-ტელევიზორით, ბიბლიოთეკით სარგებლობის უზრუნველყოფა
- ადაპტირებული რეკრეაციული და საგანმანათლებლო გარემო/მოწყობილობა
- ადაპტირებული ტრანსპორტი
- დასვენების დღეები
- საკვები
- ადაპტირებული ტელეფონი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადაპტირებული საცხოვრისებით უზრუნველყოფა სახელმწიფოსთვის კრიტიკული და პირველი რიგის ამოცანაა. ამავდროულად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის მნიშვნელოვანია ადაპტირებული ფიზიკური გარემოს შექმნა. ისე რომ, მისი საცხოვრებელი მდებარეობდეს ისეთ ფიზიკურ, სოციალურ გარემოში, რომელიც მორგებულია მის საჭიროებებზე და არ მოითხოვს მისგან ზედმეტ ძალისხმევას.

სათემო ზრუნვის მოდელები საჭიროების მქონე ბავშვებისათვის

დიდ ბრიტანეთში ოჯახის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობას იღებს. ძირითადი საფუძველი, რის

გამოც შეიძლება ბავშვზე იზრუნოს ადგილობრივმა მთავრობამ, განისაზღვრა 1980 წლის ბავშვთა აქტით. ეს საფუძველი შეიძლება გახდეს: ბავშვზე ნებისმიერი ტიპის ძალადობა (უფროსის მხრიდან, ოჯახში სხვა ბავშვის მიერ), ბავშვის მიმართ არაადეკვატური მოპყრობა და ზრუნვა, ბავშვის ზედამხედველობის გარეშე დატოვება, ბავშვის დატოვება განათლების გარეშე, ბავშვისთვის მორალური ზიანის მიყენება, ბავშვის ასოციალური ქცევა.

დიდ ბრიტანეთში ბავშვზე ზრუნვის ძირითადი ფორმებია:

- ბავშვის (ახალგაზრდა დამნაშავეების) განთავსება სპეციალურ სახლებში საკუთარ მშობლებთან ან ნათესავებთან ერთად ზედამხედველობის ქვეშ;
- ბავშვის დროებით განთავსება მინდობით აღზრდაში
- ბავშვის გაშვილება
- სათემო სახლები: ბავშვებისადმი რეზიდენტული ზრუნვა
- სათემო სახლები, სადაც უზრუნველყოფილია განათლების უზრუნველყოფა და რეზიდენტული ზრუნვა.

თავდაპირველად, სანამ მოხდება ბავშვისათვის შესაბამისი მომსახურების შეთავაზება, ბავშვი განთავსდება დაკვირვების და შეფასების ცენტრში, სადაც მიმდინარეობს მისი ინტენსიური შეფასება. ახალგაზრდა დამნაშავეების მიმართ იშვიათად არის გამოყენებული გაშვილება ან მინდობით ოჯახში განთავსება (მხოლოდ 5 %).

მცირე საოჯახო ტიპის სახლები ბავშვებისათვის: საერთაშორისო გამოცდილება

მცირე საოჯახო ტიპის სახლი წარმოადგენს ბიოლოგიურ ოჯახს მიახლოებულ გარემოს, სადაც ბავშვებს შეუძლიათ დღე-ღამის განმავლობაში მზრუნველობისა და სათანადო მომსახურების მიღება. „საცხოვრებელი ბავშვებისათვის და მოზარდებისათვის ეს არის რეზიდენტული ფორმა მაქსიმუმ 10 აღსაზრდელისათვის, რომელიც შეიქმნა როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუცია ბავშვებისთვის ან მოზარდებისათვის" (პოლკოვსკი და ბოროვიეც, 2011).

პოლონური სტანდარტის მიხედვით, სახლი უნდა შედგებოდეს შემდეგი ოთახებისგან – სამზარეულო, სასადილო ოთახი (შესაძლოა მისი გაერთიანება სამზარეულოსთან), სალონი (მისაღები), საძინებლები (მაქსიმუმ სამ ბავშვზე გათვლილი), სულ ცოტა 2 აბაზანა და 2 საპირფარეშო, სათავსოები ტანსაცმლისა და სხვა ნივთების შესანახად. ასევე საშუალო ზომის ოთახი დოკუმენტების უსაფრთხოდ შესანახად და დამატებით სხვა სათავსოები, მოთხოვნილებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. საცხოვრებელი წარმოადგენს დამოუკიდებლად მდგომ კერძო სახლს, 230-დან 300 კვ/მ-დე. პოლონური მოდელის მიხედვით, მცირე საოჯახო ტიპის სახლში დასაქმებულნი არიან ის ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბავშვთან და ოჯახთან მუშაობაზე. არ არის გათვალისწინებული მომსახურე პერსონალის დასაქმება. მომუშავე მზრუნველების ჯგუფი წარმოადგენს ბავშვებთან ინდივიდუალურად მომუშავე 4 მზრუნველისა და 1 ლიდერად არჩეული მზრუნველის ერთობლიობას. მცირე საოჯახო ტიპის სახლის ფუნქციას წარმოადგენს: „ზრუნვისა და აღზრდის უზრუნველყოფა კრიზისში მყოფი ოჯახებისა და ბავშვებისათვის, ბავშვის ინსტიტუციურ მზრუნველობაში ყოფნის დროებითობის განსაკუთრებული გათვალისწინებით" (პოლკოვსკი, ტ. ბოროვიეც, ს. , 2011, გვ.4)

პოლონურ მოდელში „ოჯახის სწრაფ, დაგეგმილ და შედეგიან გაერთიანების" მიღწევაზე პასუხისმგებელნი არიან მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელები.

პოლონური მოდელის თანახმად, მცირე საოჯახო ტიპის სახლები ბავშვების სათანადო მზრუნველობით უზრუნველყოფას ახორციელებენ კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების შესაბამისად. აღნიშნული კატეგორიები და ქვეკატეგორიები მოიცავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ბავშვის უსაფრთხოება, ჰიგიენა, ტანსაცმელი და გარეგნობა, კვება, პირადი სივრცე, ჯანმრთელობა, განათლება, ემოციური მოთხოვნილებები, ხელშეწყობა ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში, მართვის უნარის განვითარება. მნიშვნელოვან ქვეკატეგორიას წარმოადგენს ბავშვის ოჯახთან პოზიტიური მიჯაჭვულობის გაძლიერება, რომლის საბოლოო მიზანიც ბავშვის რეინტეგრაციაა. სოციალური უნარებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ბავშვების მომავლის განმსაზღვრელი წინაპირობაა,

მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელის პრეროგატივას წარმოადგენს (პოლკოვსკი, ტ. ბოროვიეც, ს., 2011).

დოკუმენტაცია, რომელიც მცირე საოჯახო ტიპის სახლში იწარმოება, მოიცავს ინ-ფორმაციას ბავშვის შესახებ, მისი გარემოს შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციების წარ-მოებისა და გაანალიზების მეშვეობით ახდენს აღმზრდელი, თავისი მთავარი მიზნების მიღწევას – რეინტეგრაციას, მინდობით აღზრდას ან ბავშვის მომზადებას დამოუკიდე-ბელი ცხოვრებისათვის. იმისათვის, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლმა სრულფასოვნად შეძლოს ფუნქციონირება და შეასრულოს თავისი მთავარი დანიშნულება, საჭიროა გუნ-დური მუშაობა.

მცირე საოჯახო ტიპის სახლში არსებობს მზრუნველთაგან შემდგარი გუნდი, რომელ-საც მართავს ლიდერი. ეფექტური გუნდის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს წარმოად-გენს: „ნათლად ჩამოყალიბებული ერთობლივი მისია და მიზანი, რომელსაც ეთანხმება გუნდის ყველა წევრი; წარმატებული კომუნიკაცია გუნდის წევრებს შორის, ახალი იდეე-ბის და ემოციების ურთიერთგაზიარება; გუნდის ყველა წევრს შეაქვს თავისი წვლილი და შეუძლია მიიღოს/ გაიზიაროს სხვათა გამოცდილება; გუნდს არჩეული ჰყავს სასურველი ლიდერი; ჯგუფის წევრები თანხმდებიან გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებზე, მონაწილეობას იღებენ საერთო კრებების მუშაობაში; შემუშავებულია, სამუშაოს შეს-რულებისათვის საჭირო მეთოდოლოგია; ურთიერთნდობის მაღალი დონე; ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება ბავშვებთან მიმართებაში; კონფლიქტური სიტუაციებისათვის თავის გართმევის უნარი; პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, გუნდში შეთანხ-მებული პროცედურები“ (პოლკოვსკი, ტ. ბოროვიეც, ს. 2011, გვ 15).

ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინება, მნიშვნელოვნად განაპირობებს მცირე საო-ჯახო ტიპის სახლის წარმატებულ ფუნქციონირებას. მართვის ერთ-ერთი კატეგორია ასევე არის „სახლის საზოგადოება და საერთო წესები“. მზრუნველები და ბავშვები ერთ-დროულად წარმოადგენენ სახლის საზოგადოებას, ისინი ერთად ადგენენ იმ წესებს, რომ-ლებიც საერთოა ყველასათვის. წესები მოიცავს ისეთ საერთო ღონისძიებებს, როგორიცაა კვება, შეკრებები, ექსკურსიები. არსებული წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და ხელმისაწვდომია ყველასათვის. თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და დისციპლინა, ყველა სხვა დანარჩენ კრიტერიუმთან ერთად, განსაზღვრავს მცირე საოჯახო ტიპის სახ-ლის ფუნქციონირების წარმატებულობას და მიზნების მიღწევადობას.

სახლში დასაქმებულნი არიან მზრუნველები, კვირაში 40 საათი და ამასთანავე ბავშვი-სათვის მნიშვნელოვანი მოვლენების დროს. ერთ-ერთ მზრუნველს მინდობილი აქვს ლიდ-ერის ფუნქცია. ასევე დასაქმებულნი არიან დამხმარე მზრუნველი პირები, თუმცა მათ არ ეკისრებათ ბავშვებზე პირადი პასუხისმგებლობა. ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და სხვა სფეროს სპეციალისტები, არ ცხოვრობენ სახლში, თუმცა საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობენ პროფესიული კომპეტენციებიდან გამომდინარე. მცირე საოჯახო ტი-პის სახლები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თითოეულ ბავშვზე გამოყოფილი ვაუჩერის სახით.

ზემოთ განხილული სტანდარტების დაცვით და გათვალისწინებით, ფუნქციონირებენ მცირე საოჯახო ტიპის სახლები უკრაინაში, მათ მართავს „ბავშვთა კეთილდღეობის ფონ-დი“ და მცირე საოჯახო ტიპის სახლები სლოვაკეთში, მართავს ორგანიზაცია „ღიმილი, როგორც საჩუქარი“.

ბრიტანული სტანდარტით მცირე საოჯახო ტიპის სახლი განკუთვნილია 8 ბავშვი-სათვის, ხოლო მცირე საოჯახო ტიპის სახლის 1 ადგილი განკუთვნილია გადაუდებელი შემთხვევებისათვის და სთავაზობს დროებით თავშესაფარს კრიზისულ სიტუაციაში მყოფ ბავშვს.

ბრიტანული სტანდარტით სახლს არ ჰყავს ლიდერი, თუმცა შაბათ-კვირის აღმზრ-დელებთან, „დეიდასა“ და „ბიძასთან“ შედარებით, უპირატესი უფლებებით სარგებლობენ „დედობილი“ და მამობილი“. აღმზრდელებს შორის, ისევე აუცილებელია კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების არსებობა, როგორც ეს ხაზგასმულია პოლონურ მოდელში.

მცირე საოჯახო ტიპის სახლის საინტერესო სტანდარტს გვთავაზობს ავსტრიული მოდელი. ამ მოდელის მიხედვით, სახლის მიზანს წარმოადგენს ბავშვის აღზრდა, ოჯახურ

გარემოში და მისი განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობა. თითოეულ სახლში ცხოვრობს 6 ბავშვი, მათ ჰყავთ „ეს ო ეს“ დედა, რომელიც ზრუნავს ბავშვებზე. უქმნის მათ უსაფრთხო, სტაბილურ და სიყვარულით სავსე გარემოს. აუცილებელია, რომ ბიოლოგიური და-ძმები იზრდებოდნენ ერთ სახლში. „ეს ო ეს“ დედა დამოუკიდებლად უძღვება ოჯახურ ცხოვრებას, თუმცა ბავშვის განვითარებაში ასევე აქტიურად მონაწილეობენ სხვა თანამშრომლებიც: ბავშვთა სოფლის დირექტორი, ბავშვთა სოფლის ლიდერი, „ეს ო ეს“ პედაგოგი, ფსიქოლოგი, ოჯახის ასისტენტები და სხვა პასუხისმგებელი პირები.

„ეს ო ეს“ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ცხოვრობენ ბავშვები 6-დან 15 წლამდე, 15-16 წლის ასაკში, მოზარდები საცხოვრებლად გადადიან „ახალგაზრდულ სახლებში“, რომელიც წარმოადგენს თემში ინტეგრირებულ საცხოვრებელს, სადაც ერთად ცხოვრობს 14-15 ახალგაზრდა. სახლს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი და 4 პედაგოგი, თითოეული მათგანი არის 3-4 ახალგაზრდის მთავარი მზრუნველი პირი.ახალგაზრდული სახლის დანიშნულებას წარმოადგენს მოზარდების დამოუკიდებელ პიროვნებებად აღზრდა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა.

მცირე საოჯახო ტიპის სახლები ბავშვებისათვის: საქართველო

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შედეგად დღეს საქართველოში ფუნქციონირებს ბავშვზე ზრუნვის სხვადასხვა ალტერნატიული ფორმები. მათ შორის ერთ-ერთია თემური ზრუნვა, კერძოდ, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, რომლებიც შეიქნა ავსტრიული, პოლონური და ბრიტანული გამოცდილების საფუძველზე მცირე სახეცვლილებებით. დღეს საქართველოში სულ 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლია. საქართველოში მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ბავშვს ეკუთვნის შემდეგი ტიპის მომსახურებები (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2014):

- 24-საათიანი მომსახურება;
- მინიმუმ 3-ჯერადი კვება, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი;
- ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი ტანისამოსით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა;
- ბავშვის მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და მისი შესრულებისა და პერიოდული გადასინჯვის უზრუნველყოფა
- ყოველდღიური, ყოფითი უნარების სწავლება (თვითმოვლა, საოჯახო აქტივობებში ჩართვა და სხვა);
- პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარება, მათი ინტერესების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;
- აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ხელშეწყობა და მისი თავისუფალი დროის სწორი და მიზნობრივი ორგანიზება;
- კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვა;
- საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება;
- პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში ბავშვის დინამიური მეთვალყურეობის უზრუნველყოფა და საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გაუთვალისწინებელი მომსახურების) მიღების ორგანიზება;
- ბავშვის ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში აღზრდის უზრუნველყოფა, სოციალური მუშაკების მიერ პერიოდული ვიზიტებისა და ბავშვის მდგომარეობასა და განვითარებაზე შესაბამისი მეთვალყურეობის დაწესების მეშვეობით.
- ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს;
- საქართველოს კურორტებზე, ზედიზედ არანაკლებ 12 დღის განმავლობაში, 10 ბავშვზე არანაკლებ 2 მომვლელის თანხლებით ჯგუფური დასვენების უზრუნველყოფა, რო-

მელიც მოიცავს: შესაბამის კურორტამდე და უკან ტრანსპორტირებას და დასვენების ადგილზე კეთილმოწყობილი და ადაპტირებული საცხოვრებლით უზრუნველყოფას; მინიმუმ სამჯერად კვებას, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილისპორტულ-გამაჯანსაღებელ და კულტურულ-სანახაობით ღონისძიებებში ჩართვას; საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

პოლკოვსკი, ტ. ბოროვიეც, ს. (2011). მცირე საოჯახო (სპეციალიზირებული) ტიპის სახლების მეთოდოლოგიისა და მართვის სტანდარტები.

პოლკოვსკი, ტ. ბოროვიეც, ს. (2010). კრიზისში მყოფ ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმის მეთოდი. სატრენინგო პროგრამის თეორიული ნაწილი.

სოციალური მომსახურების სააგენტო, ოფიციალური ვებ-გვერდი. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46

Becker, D.R. & Drake, R.E. (1994). Individual placement and support: A community mental health center approach to vocational rehabilitation. Community Mental Health Journal, 30, 193-206.

Bond, G.R., Drake, R.E., Mueser, K.T. & Becker, D.R. (1997). An update on supported employment for people with severe mental illness. Psychiatric Services, 48, 335-346.

Bond, G.R., Miller, L.D., Krumwied, R.D. & Ward, R.S. (1988). Assertive case management in three CMHCs: A controlled study. Hospital and Community Psychiatry, 39, 411418.

Dick, N. & Shepherd, G. (1995). Work and mental health: A preliminary test of Warr's model in sheltered workshops for the mentally ill. Journal of Mental Health, 3, 387-400.

Hambridge, J.A. & Rosen, A. (1994). Assertive community treatment for the seriously mentally ill in suburban Sydney: a programme description and evaluation. Australian and New Zealand Journal of Psychiatry, 28, 438445.

Marshall, M. (1996). Case management: a dubious practice. British Medical Journal, 312, 523-524.

Marshall, M., Gray, A., Lockwood, A. & Green, R. (1997). Case management for people with severe mental disorders. The Cochrane Library, 1, 1-26

Shepherd, Geoff. Models of community care, Journal of Mental Health7.2 (Apr 1998): 165-177.

Social Housing and the Social Services, (2001). Longman/Institute of Housing: The Housing Practice Series, Part 3: Community Care, pg. 72-121.

Wing, J.K. (1992). Epidemiologically-based Mental Health Needs Assessment. London: Royal College of Psychiatrists Research Unit.

Young, R. (1991). Residential Needs of Severely Disabled Psychiatric Patients _ The case for hospital hostels. London: HMSO.